პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფონი № 8 81

ხელისმოწერის ფასი
მუშ. მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის - 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

სამშაბათი, 23 ივლისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 166 (2512)

დღიური.

- — ანტი - სამხედრო კონფერენცია ვენაში
- — დემონსტრაციები საბჭოთა კავშირის დასაცავად გაიმართა გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში
- — ზეიმი საბჭოთა მფრინავების საპატივსაცემოდ პარიზში
- — საფრანგეთის დეპ. პალატამ დაამტკიცა შეთანხმება ინგლისთან და ამერიკასთან დავალიანების შესახებ
- — გაიხსნა პოლონეთის სოც. პარტიის მემარცხენე ფრთის ყრილობა
- — მღელვარება საფრანგეთის ჯარში
- — საბჭოთა წარმომადგენლობის გამგზავრება საერთაშორისო ანტიიმპერიალისტურ კონგრესზე

დღეს, ივლისის 23-ს, მთავრობის სასახლეში
შესდგება
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა
და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებული სხდომა
დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
საქ. სსრ სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართ. პ. მეგრელიშვილი

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

პურის დამზადება

იმ სასურსათო სიძნელეებთან დაკავშირებით, რომლებსაც ჩვენ განვიცდით, პურის დამზადების ახლანდელ კამპანიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, საქართველო საერთოდ მომხმარებელი ქვეყანაა, ადგილობრივი პური მას არ ყოფნის და გარედან (საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან) გვიხდება ამ პროდუქციის დიდი რაოდენობის შემოზიდვა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივ პურის დამზადებაზე ხელი ავიღოთ. უდავოა, რომ ჩვენში ბევრგან მოიპოვება პურის ზედმეტი, ბაზარზე გასატანი ნაწილი, და ჩვენს ამოცანას შეადგენს ის კერძო შემსყიდველებს არ ჩაუვარდეს, არამედ დაგროვილ იქნას სახელმწიფოს ხელში, რომ შესაძლებელი გახდეს მისი გეგმიანი მიწოდება მუშური მოსახლეობისთვის, ტეხნიკურ კულტურათა მომყვან გლეხებისათვის და სურსათის მხრივ შევიწროვებულ რაიონებისათვის, აგრეთვე თესლეულის ფონდის შექმნა. თავის თავად ცხადია, ყოველივე ამისათვის ოდნავადაც არ იქნება საკმარისი ჩვენში დამზადებული პური, ისევ მოგვიხდება მისი შემოზიდვა, მაგრამ ადგილობრივი რესურსები ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

შემუშავებული გეგმის თანახმად, საქართველოში უნდა დამზადდეს 200.200 ფუთი ხორბალი და 100 ათასი ფუთი ქერი; გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ეკისრება კონტრაქტაციის წესით შეაგროვოს 86 ათას ფუთამდე ხსენებული პროდუქტები, აგრეთვე წინად გლეხებზე სესხად გაცემულ სათესლე მასალის (დაახლოებით 69 ათას ფუთის) აკრეფა. თუმცა პურეულის მოსავალი წელს ჩვენში შედარებით კარგია, მაგრამ ამან არ უნდა შეანელოს ჩვენი მუშაობა დამზადების კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. პური სახელმწიფოს საწყობებში თავის თავად როდი იწყებს დენას; საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ გეგმის მთლიანად შესრულებისათვის.

პურის დამზადება ორ მთავარ ორგანიზაციას ევალება—სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციას. საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას ძველი შეცდომები, როცა დამამზადებელი ორგანიზაციები არა ჯანსაღ კონკურენციით საქმეს აფერხებდნენ; აუცილებლად უნდა მივაღწიოთ მათ შეთანხმებულ გამოსვლას.

ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს დამამზადებელ აპარატის და პურეულის ჩასაბარებელ პუნქტების რაციონალურად მოწყობას. უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, როცა გლეხობას დაუბრკოლებლივ შეეძლება თავის ნაწარმოების გადაცემა დამამზადებელ დაწესებულებებისათვის; ამისათვის მას არ უნდა დასჭირდეს დროის გაცდენა და ჯაფის გაწევა. ესევე ითქმის ანგარიშის გასწორებაზე, რომელიც გამარტივებულ და გაადვილებულ უნდა იქნას.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პურის დამზადების რაიონებში მრეწველობის პროდუქციის შეტანის საკითხი. მისი სათანადო გადაჭრა პურის დამზადების წარმატების ერთ ერთი უმთავრესი პირობაა. ამიტომ უნდა მივიღოთ ყოველი შესაძლებელი ზომა საფაბრიკო-საქარხნო საქონლის საჭირო რაოდენობით გამოყოფისათვის და მის დროზე გადასაგზავნად ადგილებზე. ამასთან უნდა იქნას გათვალისწინებული, თუ რომელ რაიონს რა საქონელი ესაჭიროება უფრო, და ამის მიხედვით მოხდეს მისი განაწილება.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მარტო აპარატული წესით, რაც არ უნდა იყოს კარგად მოწყობილი დამამზადებელი აპარატი, ჩვენ სასურველ შედეგებს ვერ მივაღწევთ პურის დამზადების საქმეში, ისე როგორც სხვა დიდი მნიშვნელობის წამოწყებებში. აქ საჭიროა მთელი სოფლის საბჭოთა საზოგადოებრივობის აქტივობის და ინიციატივის გაშლა, პურის დამზადების კამპანიაში მშრომელ გლეხობის ჩაბმა. რუსეთის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ღარიბ გლეხობის ცხოველმა დაინტერესებამ პურის დამზადების საქმე საგრძნობლად წასწია წინ და ჩვენ იქ მიღებული გამოცდილება, კამპანიაში გლეხობის მოზიდვის იქ უკვე ნაცადი ფორმები და მეთოდები უნდა გამოვიყენოთ, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, რა თქმა უნდა.

ღარიბ-საშუალო გლეხობის ამოძრავება და დარაზმვა აუცილებელია კულაკებთან წარმატებით ბრძოლისათვის. ეჭვი არ არის, რომ კულაკები და ჩარჩები როგორც წინად, ისე ახლაც, ყოველნაირად შეეცდებიან პურის სახელმწიფოებრივი დამზადების საქმის ჩაშლას სხვადასხვა პროვოკაციული ხერხებით. მათი მიზანია—ერთი მხრით გლეხობაში უკმაყოფილების გამოწვევა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, მეორე მხრით—პურის ბაზრის თავიანთ ხელში ჩაგდება და სპეკულიაციის გაწევა. ჩვენ ისინი გადაჭრით უნდა ავლაგმოთ და მათ დაუპირდაპიროთ ღარიბ-საშუალო გლეხობის გაერთიანებული ფრონტი.

თითქო არ ღირს იმაზე შეჩერება, რომ კოლმეურნეობები პირველ რიგში უნდა იდგნენ პურის დამზადების დარგში, ვინაიდან ეს თავის თავად ცხადია, მაგრამ სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ წინანდელ კამპანიაში ზოგან დაშვებულ მოვლენებს ქონდა ადგილი: ზოგიერთი კოლმეურნეობა თავის მოსავალს სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციებს კი არ აბარებდა, არამედ კერძო ბაზარზე ყიდდა, ხელს უწყობდა სპეკულიანტებს და შლიდა სახელმწიფოს დამამზადებელ მუშაობას. ასეთი უმზგავსოება აწი მაინც უნდა იქნას აღკვეთილი.

პურის დამზადება სულ მოკლე ხანში დაიწყება. საჭიროა მუშაობა დაუყოვნებლივ გაიშალოს, რომ მოვახერხოთ კამპანიის გამარჯვებით დამთავრება და დასახულ გეგმის მთელი ასი პროცენტით განხორციელება.

მზადება საერთაშორისო წითელი დღისათვის

ფრანკფურტში--მაინზე გაიხსნა ახალგაზრდობის ანტიიმპერიალისტური კონგრესი

შეერთ. შტატების პოლიტიკური წრეები ამართლებენ საბჭ. კავშირის მოთხოვნილებებს ჩინეთისადმი

რევოლიუციონური ორგანიზაციების დევნა საფრანგეთში.--მთავრობას განზრახული აქვს კომპარტიის აკრძალვა

მაკდონალდი უარს ამბობს მემაღაროეთათვის 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებაზე.

ომის საფრთხის წინააღმდეგ

მზადება პირველ აგვისტოსათვის

ვენის მუშები საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე

ვენა, 21 ივლისი. მოხდა ომის საწინააღმდეგო კონფერენცია, რომელიც მოწვეულ იქნა ვენის კომუნისტური პარტიისა და რევოლიუციონური ორგანიზაციების მიერ. კონფერენციას დაესწრო 189 დელეგატი, რომელთაგან 145 დელეგატი არჩეულ იქნა საწარმოებში.

ომის საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლი ბერლინის კომიტეტის სახელით კონფერენციას მიესალმა გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატი კომუნისტი პიკი.

კონფერენციამ დაადგინა—მოუწოდოს ვენის და მისი რაიონის მუშებს, რომ მათ 1 აგვისტოს გამოაცხადონ საპროტესტო გაფიცვა ერთი საათით და მონაწილეობა მიიღონ ქუჩის დემონსტრაციაში. ომის საწინააღმდეგო დღის მომზადებისა და ჩატრებისათვის არჩეულ იქნა კომიტეტი, რომელშიც შევიდა 18 სოციალ-დემოკრატი, 7 უპარტიო და 15 კომუნისტი.

კონფერენცია ჩატარებულ იქნა საბჭოთა კავშირის დაცვის ნიშან ქვეშ ჩინელ მილიტარისტებისაგან, რომელთაც იმპერიალისტები აქეზებენ. მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ კონფერენცია, რომელიც სოციალ-დემოკრატი, უპარტიო და კომუნისტი დელეგატ-მუშებისაგან შესდგება, პროტესტს აცხადებს საბჭოთა კავშირზე ყაჩაღური თავდასხმის წინააღმდეგ, რადგან საბჭოთა კავშირი მუდამ სამშვიდობო პოლიტიკას ანხორციელებს.

კონფერენცია მოუწოდებს პროლეტარიატს—შეებრძოლოს ომის საფრთხეს, მიმართულს მშრომელთა სამშობლოს—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ომის შემთხვევაში დაიცვას იგი უკანასკნელი სისხლის წვეთამდე (ადს)

სამზადისი გერმანიაში

ბერლინი, 21 ივლისი. ჩინეთის ხელისუფლების მტაცებლურმა მოქმედებამ და ამის გამო ომის საფრთხის გადიდებამ გაზარდა მოძრაობა ომის საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტების შექმნის სასარგებლოდ. გოტში გერმანიის საწარმოებში მოხდა ადგილობრივი სავაგონო ქარხნების მუშათა წარმომადგენლების კრება, რომელიც ფაბქარხკომების საბჭომ მოიწვია. კრებამ ერთხმად აირჩია ომის საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალური კომიტეტი.

კრებამ დაადგინა აგრეთვე, მიმართოს გოტის მუშებს მოწოდებით—დარაზმონ მთელი ძალები იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლველად.

განსაკუთრებით ბევრი კომიტეტი მოეწყო საქსონიაში, ჰალეს ოლქში, მერზებურგში და ბერლინში. კომუნისტურ გაზეთებში ყოველდღე იბეჭდება იმ საწარმოთა სიები, სადაც მუშები ომის საფრთხის საკითხის გამო კრებებს მართავენ (ადს).

იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი

ბერლინი, 21 ივლისი. ბაზელში (შვეიცარია) დაარსდა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მებრძოლი მუდმივი კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს 1 აგვისტოს დემონსტრაციების მომზადებას და ჩატარებას (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს დელეგატები იმპერიალიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ყრილობაზე

მოსკოვი, 22 ივლისი. 19 ივლისს გერმანიაში იმპერიალიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ყრილობაზე გაემგზავრნენ საკავშირო პროფსაბჭოს დელეგატები ამხ. მელნიჩანსკი და სახაროვი. ყრილობა გაიმართება მაინის ფრანკფურტში (ადს).

ახალგაზრდათა ანტი-იმპერიალისტური კონგრესი

მაინის ფრანკფურტი, 21 ივლისი. გაიხსნა ახალგაზრდათა ანტიიმპერიალისტური კონგრესი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ინდოეთის, ჩინეთის, ინდონეზიის, ლათინურ ამერიკის, ჩრდილოეთ აფრიკის, მონღოლეთის, საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიის, კორეის, ნორვეგიის, შვეციის, ბალკანეთის ქვეყნების, ჰოლანდიის, შვეიცარიის, ბელგიის და გერმანიის წარმომადგენელნი, აგრეთვე ახალგაზრდათა კომინტერნის და წითელი სპორტინტერნის წარმომადგენელნი.

კონგრესი გაიხსნა ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით—ნანკინის მთავრობის პროვოკაციასთან დაკავშირებით. კონგრესს ესწრებიან ანტიმილიტარისტული ლიგის ალმასკომის წევრები.

კონგრესი გახსნა **ლეიბრანდმა** (გერმანია), რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგატები გზაში არიანო. კონგრესი ამ ცნობას მხურვალე ტაშით შეხვდა. საერთაშორისო მდგომარეობის მოკლე მიმოხილვის შემდეგ ლეიბრანდმა დაახასიათა მოვლენათა მამოძრავებელი ძალები შორეულ აღმოსავლეთში და აღნიშნა, რომ ანტიიმპერიალისტური ახალგაზრდობის თანაგრძნობა არის არა ჩინეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღალატის ჩან-კაი-შის მხარეზე, არამედ ჩინეთის და საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების მხარეზე; ეს მასები ვალდებულნი არიან ყოველგვარი საშუალებით უკუაგდონ ნანკინის მთავრობის შემოტევა, რაც სწარმოებს იმპერიალისტების ბრძანებით.

ანტიიმპერიალისტური ლიგის ალმასკომის სახელით კონგრესს მიესალმა საკლატვალა. მან სთქვა, რომ საჭიროა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებაო.

ახალგაზრდა საკლატვალამ ზიზღით დაჰგმო მოქმედება ნანკინის მთავრობისა, რომელიც ომის გამოწვევას სცდილობს.

კონგრესის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: **კოსარევი** (საბჭოთა კავშირი), **რესტი** (ახალგ. კომინტერნი) (გამოტოვებულია)... (ინდოეთი) და ჩინეთის, ინდონეზიის, ჩრდილოეთ აფრიკის, ლათინური ამერიკის, პროფინტერნის, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და ჰოლანდიის წარმომადგენელნი.

მიღებულ იქნა დღის წესრიგი: მშრომელი ახალგაზრდობის ამოცანები იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოსწავლე ახალგაზრდობის მდგომარეობა კოლონიებში, ახალგაზრდათა ეროვნულ-რევოლიუციონური ორგანიზაციების მოქმედება, ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის მშრომელი ახალგაზრდობის ამოცანები კოლონიების განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის ხელისშეწყობის საქმეში, მშრომელი ახალგაზრდობის ცხოვრება და ბრძოლა საბჭოთა კავშირში და არჩევნები.

ამის შემდეგ რესტმა გააკეთა მოხსენება დღის წესრიგის პირველ საკითხზე: მშრომელი ახალგაზრდობის ამოცანები იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„თუ იმპერიალისტები გაბედავენ გადაბიჯონ საბჭოთა საზღვარს,—სთქვა, სხვათა შორის, რესტმა,—რევოლიუციონური ანტიმილიტარისტული ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად ყოველგვარი საშუალებით დაიცავს მშრომელთა სამშობლოს“ (ადს).

მღელვარება საფრანგეთის ჯარისკაცთა შორის

პარიზი, 22 ივლისი. ჩრდილოეთ დეპარტამენტში გრძელდება მღელვარება სათადარიგო ჯარისკაცთა შორის. არაკსსა და დილში მოხდა სათადარიგო ჯარისკაცთა ახალი დემონსტრაციები. ბანაკში, მელის მახლობლად, სათადარიგოებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია სამსახურის ხანგრძლივობის წინააღმდეგ. დემონსტრაციის დროს მღეროდნენ „ინტერნაციონალს“. დააპატიმრეს დემონსტრაციის 4 მონაწილე.

კომკავშირის გაზეთ „ავანგარდ“-ის რედაქტორს ამხ. დენს, რომელსაც, როგორც „ლუმანიტე“-ს რედაქტორს, უკვე მისჯილი აქვს 15 წლის პატიმრობა და 9 ათასი ფრანკი ჯარიმა, გამასწორებელმა სასამართლომ, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე, მიუსაჯა 5 წლის პატიმრობა და 3.000 ფრანკი ჯარიმა „ჯარისკაცების ურჩობისაკენ მოწოდებისათვის“. (ადს).

მაკდონალდი ბოლდუინის პოლიტიკას განაგრძობს

მუშებს უარს ეუბნებიან მოთხოვნილებებზე

ამაო ცდა

ლონდონი, 21 ივლისი. ფეიქართა პროფკავშირებისა და ფაბრიკანტთა წარმომადგენლების თათბირს, რომელიც მოწვეულ იქნა შრომის სამინისტროს „არაოფიციალურ“-ი შუამავლობით, არავითარი შედეგი არ მოჰყვა, რადგან პროფკავშირთა წარმომადგენლებმა მოლაპარაკების პირობად წამოაყენეს ის, რომ მრეწველებმა გააუქმონ ლოკაუტის გამოცხადება, რომელიც დანიშნულია 29 ივლისისათვის. მრეწველებმა გადაჭრით უარჰყვეს ეს. (მრეწველებმა ლოკაუტი გამოაცხადეს იმის გამო, რომ მუშები არ დასთანხმდნენ ხელფასის 2,5 პრ.-ით შემცირებაზე. საქმის მცოდნე წრეებში ფიქრობენ, რომ შრომის სამინისტრო გადადგამს ოფიციალურ ნაბიჯებს შუამდგომლობისათვის. (ადს).

უშედეგო მოლაპარაკება

ლონდონი, 21 ივლისი. მოხდა მემაღაროეთა სრულიად ინგლისის ფედერაციის ალმასკომის ახალი მოლაპარაკება მაკდონალდთან. მოლაპარაკებაში სხვა მინისტრებმაც მიიღეს მონაწილეობა. იმ განცხადებასთან, რომელიც კუკმა გაზეთების წარმომადგენლებს გაუკეთა, ირკვევა, რომ უშედეგოდ დამთავრდა ფედერაციის ალმასკომის ცდა—შესთანხმებოდა მთავრობას. ალმასკომმა ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი დაპირება ბოლდუინის მთავრობის დროს გამოცემული იმ კანონის გაუქმების შესახებ, რომელიც მიწის ქვეშ მომუშავეთათვის 8 საათის სამუშაო დღეს აწესებს. (ადს).

„საბჭოთა ფრთები“ პარიზში

კრება „საბჭოთა ფრთები“-ს გადაფრენის მონაწილეთა პატივსაცემად.

პარიზი, 21 ივლისი. პარიზის საბჭოთა ახალშენის კლუბში გაიმართა საზეიმო კრება „საბჭოთა ფრთები“-ს გადაფრენის მონაწილეთა პატივსაცემად. ექსპედიციის საფრენოსნო ნაწილის ხელმძღვანელებმა ფრენის განვლილი ეტაპები ჩასთვალეს საბჭოთა ავიაციის მნიშვნელოვან მიღწევად.

საფრანგეთის აეროკლუბი ექსპედიციის პატივსაცემად დარბაზობას აწყობს. (ადს.).

პოლონეთის სოც. პარტიის მემარცხენე ფრთის ყრილობა

ვარშავა, 21 ივლისი. გაიხსნა პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის პირველი ყრილობა. ყრილობა იკრიბება პარტიისათვის მძიმე მომენტში, როცა გამოირკვა, რომ პარტიის ცნობილმა მოღვაწეებმა უღალატეს მას და გადავიდნენ ფაშისტების ბანაკში. ერთი მათგანი, ჩუმა, პროვოკატორადაც კი არის გამოცხადებული.

ყრილობის წინ პოლიციამ დააპატიმრა მემარცხენე ფრთის ვარშავის კომიტეტი. საღამოთი, ერთი დღით ადრე ყრილობის გახსნამდე, ჩუმას მომხრეთა ჯგუფი თავს დაესხა მემარცხენე ფრთის შენობას, მაგრამ იგი უკუაგდეს მუშებმა, რომლებიც მახლობლად პროფკავშირის შენობაში იმყოფებოდნენ.

ყრილობაზე დასასწრებლად ჩამოვიდა 190 დელეგატი, რომლებიც 180 ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან.

ყრილობას მიესალმა სეიმის კომფრაქციის წარმომადგენელი სიპულა, გლეხთა თვითდახმარების, პროფკავშირთა ორგანიზაციების და დიდი ფაბრიკების წარმომადგენელნი, რომლებიც ზიზღით გმობდნენ მოღალატეს და პროვოკატორს ჩუმას (ადს).

კომპარტიის დევნა საფრანგეთში

ფართო რეპრესიების დასაწყისი

პარიზი, 21 ივლისი. ბურჟუაზიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ **ჩხრეკა და დაპატიმრება წარმოადგენს ფართო რეპრესიების მხოლოდ დასაწყისს. იგი აცხადებს, რომ მალე პარიზში და პროვინციაში დაიწყება ახალი დაპატიმრებანიო.**

ბურჟუაზიულ გაზეთებს დაუსაბუთებლად მიაჩნიათ ის ბრალდებანი, რომლებიც კომუნისტებს წაუყენეს.

სოციალ-დემოკრატიული „პოპულერ“-ი მოკლე შენიშვნებში კმაყოფილდება იმით, რომ აღნიშნავს—ბრალდება ჯაშუშობაში მეტად ნაჩქარევად არის წამოყენებულიო. (ადს).

რას ესალმებიან ფაშისტები

პარიზი, 21 ივლისი. „ლუმანიტე“-ს ჩხრეკის დროს დაპატიმრებული (იგივე-ფაიარი) სანტოს საპატიმროში მოათავსეს. მას ბრალდება შპიონაჟი და მოპარული დოკუმენტების შენახვა. სანტოს საპატიმროში გადაიყვანეს აგრეთვე „ინტერნაციონალ“-ის რედაქტორი, კომუნისტი კალზანი.

უცხოელი მუშები—პოლონელები და იტალიელები, რომელნიც შეიპყრეს „ლიუმანიტე“-ს რედაქციაში, სადაც ისინი ცნობების მისაღებად იყვნენ, გააძევეს საფრანგეთიდან.

ფაშისტური გაზეთი „ამი დე პეპლ“-ი, რომლის გამომცემელიც კოტია, ულოცავს მთავრობას ბრძოლის დაწყებას კომპარტიის წინააღმდეგ. მაგრამ რადგან ეს ზომები საკმაოდ არ მიაჩნია, მოითხოვს—დაპატიმრებულ იქნან კომპარტიის ც. კ-ის გენერალური მდივანი სემარი და კომკავშირისა და შრომის უნიტარული კონფედერაციის ხელმძღვანელნი. (ადს)

კომპარტიას აკრძალვას უპირებენ

პარიზი, 21 ივლისი. „ლუმანიტე“-ზე თავდასხმის გამო, რესპუბლიკის პროკურორის და დაპატიმრებული კომუნისტის კასოუს საქმის გამომძიებლის მონაწილეობით მოხდა თათბირი ჩხრეკის დროს ნაპოვნი დოკუმენტების შესახებ.

„ლიუმანიტე“ აღნიშნავს, რომ **თათბირის მოწვევის ფაქტი ნათელჰყოფს მთავრობის განზრახვას—კანონს გარეშე დააყენოს კომუნისტური პარტია და მისი ორგანოები.** (ადს).

პროტესტი ვარშავის ყრილობის წინააღმდეგ

ბერლინი, 21 ივლისი. გერმანიაში მცხოვრები პოლონელი მუშების კავშირმა—„მუშათა მთლიანობა“-მ ბერლინში მოაწყო კრება - პროტესტი ვარშავის ყრილობის წინააღმდეგ.

მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ გერმანიის დელეგაცია ამ ყრილობაზე არ ყოფილა გერმანიაში მცხოვრები პოლონელი მუშების წარმომადგენელი, იგი მასებს არ აურჩევიათ, არამედ დანიშნა ეროვნულ-კლერიკალური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ზედაფენამ. შემდეგ ნათქვამია, რომ ყრილობის ფაშისტურმა საორგანიზაციო კომიტეტმა საბჭოთა დელეგაცია არ დაუშვა, რადგან ეს დელეგაცია გამოამჟღავნებდა ყრილობის მტრულ ტენდენციებს მუშათა მიმართ.

ვარშავის ყრილობა მიზნად ისახავს პოლონეთის გარეთ მცხოვრებ პოლონელ მუშათა მასების უფრო მეტად დამონავებას, პოლონელი მუშების ჩაბმას ფაშისტურ და ნახევრადფაშისტურ ორგანიზაციებში და ომის მომზადებაში. სათანადო დეპეშა გაეგზავნა ვარშავის ყრილობას (ადს).

საფრანგეთმა დაამტკიცა

შეთანხმება ამერიკასთან

პარიზი, 22 ივლისი. პალატამ 300 ხმით 292 ხმის წინააღმდეგ დაამტკიცა მელონ-ბერანჟეს შეთანხმება საფრანგეთის ვალის გადახდის შესახებ. (ადს).

მუშების მიტინგი

პარიზი, 21 ივლისი. ლოკაუტგამოცხადებული მშენებელი მუშები შეგროვდნენ იმ ადგილას, სადაც ისინი მუშაობდნენ. აქედან მუშები გაემართნენ უნიტარულ პროფკავშირთა შენობისაკენ. იქ გაიმართა ორი მიტინგი. მონაწილეობას იღებდა 10.000 კაცზე მეტი. ორატორები მოუწოდებდნენ მუშებს გადამჭრელი ბრძოლისაკენ მრეწველებისა და შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ. (ადს)

ყუმბარის აფეთქება

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, აიფენგოში ახალ სამხრეთ უელსში (ავსტრალია), პოლიციის სადგომის მახლობლად 30 ნაბიჯის მანძილზე კვლავ იფეთქა ყუმბარამ. ასეთივე აფეთქება იმავე ადგილას მოხდა 26 მაისს. ყუმბარის აფეთქებას დიდი ზიანი მოჰყვა. (ადს)

კომინტერნის ალმასკომის პლენუმი

ცვლილებები კომინტერნის ალმასკომის პრეზიდიუმში

მოსკოვი, 22 ივლისი. დაამთავრა მუშაობა კომინტერნის ალმასკომის პლენუმმა. პლენუმის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იდგა: საერთაშორისო მდგომარეობა და კომინტერნის ამოცანები (მომხსენებლები **კუუსინენი და მანუილსკი**), ეკონომიური ბრძოლა და კომპარტიის ამოცანები (მომხსენებლები **ტელმანი და ლოზოვსკი**), იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო ბრძოლის დღე (მომხსენებელი **ბარბე**).

მოხსენების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყველა უმნიშვნელოვანესი კომპარტიის წარმომადგენლებმა. პლენუმმა დაადგინა—გაანთავისუფლოს კომინტერნის ალმასკომის პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან **ამხ. ბუხარინი, გიტლოუ, ემბერ-დრო.** პლენუმმა გამორიცხა ალმასკომის შემადგენლობიდან **ილეკი** (ჩეხო-სლოვაკია), **ლოვსტონი** (შეერთებული შტატები), **სპექტორი** (კანადა). პლენუმმა პრეზიდიუმში შეიყვანა ამხ. **გარლანდის** (იტალია), **გოტვალდი** (ჩეხო-სლოვაკია), **რანდოლფი** (შეერთებული შტატები), **გუსევი** (საბჭოთა კავშირი). გარდა ამისა, პლენუმმა პრეზიდიუმის წევრად გადაიყვანა კანდიდატი ამხ. **ლანსკოი** (პოლონეთი), ამოირჩია პრეზიდიუმის წევრად ამერიკის კომპარტიიდან ამხ. **ლედო** (სამხრეთ ამერიკა) და კანდიდატად პრეზიდიუმის წევრობაზე ამხ. **რეიმანი** (ჩეხო-სლოვაკია).

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი

კარახანის ნოტა

პეიპინი, 21 ივლისი. ყველა გაზეთში მოთავსებულია კარახანის უკანასკნელი ნოტა (ადს).

საბჭოთა საელჩოს გამომგზავრება.

პეიპინი, 21 ივლისი. საბჭოთა საელჩო პეიპინში ემზადება დაირენში წასასვლელად, რომ იქიდან საბჭოთა კავშირში გაემგზავროს. (ადს).

სენატორი ბორა საბჭოთა მთავრობის მოქმედების შესახებ.

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. სენატორი ბორა სავსებით იწონებს საბჭოთა მთავრობის მოქმედებას.

„საბჭოთა მთავრობამ“ — განაცხადა ბორამ,—**რომლის ინიციატივითაც დაიდო მოსკოვის ოქმი, პირველმა განახორციელა კელოგის პაქტი. ჩინეთთან კონფლიქტის დაწყებისთანავე მთავრობა ანგარიშს უწევდა ამ პაქტიდან გამომდინარე ვალდებულებებს“.**

ბორა იწონებს საგარეო საქმეთა მინისტრის სტიმსონის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მაგრამ მწუხარებას გამოსთქვამს, რომ „შეერთებული შტატების მთავრობას არ შეუძლია უშუალო ურთიერთობა იქონიოს საბჭოთა კავშირის მთავრობასთან“. (ადს).

ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში აღელვებული არიან.

ვაშინგტონი, 21/ ივლისი. როგორც ჩინეთიდან იუწყებიან, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება წარმოადგენს ნანკინის მთავრობის ასეთივე ნაბიჯების დასაწყისს სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ეს გარემოება აღელვებს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელეებს. მათ შორის იზრდება მისწრაფება—დაუჭირონ მხარი საბჭოთა მთავრობას ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ წრეებს ნეიტრალური პოზიცია უჭირავთ. (ადს).

გერმანიის პრესა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ.

ბერლინი, 21 ივლისი. „ჰამბურგერ ფრემდებლატ“-ი ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობა რამდენადაც შესაძლებელი იყო აჭიანურებდა ჩინეთთან ურთიერთობის გაწყვეტას და ამისათვის იგი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა.

მხოლოდ ჩან-კაი-შის და საგარეო საქმეთა მინისტრის ვან-ჩენ-ტინის თავხედურმა სიტყვებმა წაართვეს საშუალება საბჭოთა მთავრობას კვლავ ემოქმედნა მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის. გაზეთი ფიქრობს, რომ დიდ სახელმწიფოების ამოცანაა—სერიოზულად მოუწოდონ ზომიერებისაკენ ნანკინის მთავრობას.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ი სწერს, რომ ტრანზიტის შეწყვეტა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე საზარალოა სხვა სახელმწიფოებისათვისაც. მაგრამ, გაზეთის აზრით, მიმოსვლის შეწყვეტა ყველაზე უფრო საზარალო ჩინეთისათვის იქნება. (ადს).

„დეილი ჰერალდ“-ი მხარს უჭერს საბჭოთა წინადადებას

ლონდონი, 21 ივლისი. „დეილი ჰერალდ“-ი სწერს: ნანკინის მთავრობას პასუხი და ჩან-კაი-შის დეკლარაცია აშკარად ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება პოლიტიკის შეგნებული აქტი იყო და **კომუნისტური პროპაგანდის მომიზეზება მხოლოდ საბაბს წარმოადგენსო.** როგორც ჩინეთმა, ისე საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს კელოგის პაქტს. ნანკინის მთავრობას უნდა მოვაგონოთ, რომ კელოგის პაქტის დედააზრი მოითხოვს, რომ კონფლიქტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამო უნდა გადასწყდეს მეგობრული მოლაპარაკების გზით, როგორც ამას საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა. (ადს.).

საბჭოთა კავშირის დასაცავად

პროტესტების ტალღა უცხოეთში

პროტესტი ჩინეთის ყაჩაღური მოქმედების წინააღმდეგ

ბერლინი, 21 ივლისი. პოლიციამ აკრძალა კომპარტიის ნიურნბერგის ორგანიზაციის მიერ მოწყობილი საპროტესტო დემონსტრაცია ჩინეთის ყაჩაღური მოქმედების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, დემონსტრაცია მაინც გაიმართა 1.000 მუშის მონაწილეობით. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და გაფანტა ისინი, მაგრამ დემონსტრანტები კვლავ შეგროვდნენ (ადს).

რევოლიუციონერ ჩინელთა მოწოდება

ბერლინი, 21 ივლისი. გერმანიაში მცხოვრებ რევოლიუციონერ ჩინელთა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ პირველმა სწორედ საბჭოთა მუშურ-გლეხურმა სახელმწიფომ სთქვა უარი იმ უფლებაზე და პრივილეგიებზე, რომლებითაც მეფის რუსეთი სარგებლობდა.

მოწოდებაში შემდეგ ნათქვამია: რომ ჩან-კაი-შიმ იმპერიალისტებისაგან და პირველ რიგში ინგლისისაგან მიიღო დავალება—პროვოკაციის საშუალებით ჩაებას ომში საბჭოთა კავშირი. ომის მოსურნენი სცდილობენ საბჭოთა კავშირის მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ, მის სისუსტედ დასახონ; ისინი უფრო და უფრო მეტ თავხედობას იჩენენ. მხოლოდ ერთ ძალას შეუძლია შეუშალოს ხელი იმპერიალისტური ომის წარმოშობას—საერთაშორისო პროლეტარიატს, ჩინეთის ჩაგრულ მუშურ-გლეხურ მასებთან კავშირში.

„ჩვენ მთელი ძალ-ღონით—ნათქვამია, ბოლოს, მოწოდებაში,—უნდა დავიცვათ საბჭოთა კავშირი, რომელიც მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოციალისტურ სამშობლოს წარმოადგენს“ (ადს).

პროტესტი ჩინეთის პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. მოხდა ჩინეთის მთავრობის პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ მიმართული 8 მიტინგი, რომლებიც მოიწვია ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხმა

არტემოვსკი, 22 ივლისი. საოლქო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ათასი მანეთი გადასდო აეროპლანის „არტემოვშჩინა“-ს ასაგებად და გამოიწვია ოლქის ყველა პროფესიონალური ორგანიზაცია მათაც გადასდონ ფული.

არტემოვსკი, 22 ივლისი. ოლქის ყველა საწარმოში მოეწყო საპროტესტო მფრინავი მიტინგები საბჭოთა ნოტაზე ნანკინის თვალთმაქცური პასუხის წინააღმდეგ. მშრომელნი გადაჭრით მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს ჩინელი გენერლების თავხედურ პროვოკაციას. მიღებულია გადაწყვეტილება მესამე სესხზე ხელის მოსაწერად თვიური ხელფასიდან 10—20 და 30 პროცენტის გადადების შესახებ.

დნეპროპეტროვსკი, 22 ივლისი. 20 ივლისს, კვლავ მოეწყო დიდი საპროტესტო დემონსტრაცია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ძალმომრეობით ხელში ჩაგდების წინააღმდეგ დემონსტრაციაში 100.000 მშრომელმა მიიღო მონაწილეობა (ადს).

პსკოვი, 22 ივლისი. დაიწყო ფულის შეკრება აეროპლანის „ზა სოვეტსკი კიტაი“-ს ასაგებად.

გროზნი, 22 ივლისი. ჩინელი მილიტარისტების პროვოკაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, გროზნის მუშათა კრებებზე გროვდება ფული აეროპლანის „გროზნენსკი კრასნოზნამენეც“-ის ასაგებად.

კიევი, 22 ივლისი. ქარხნებსა და საწარმოებში გრძელდება საპროტესტო მიტინგები ჩინელი გენერლების თავხედობის წინააღმდეგ. მუშები მოითხოვენ მესამე სესხის გამოშვების დაჩქარებას. გროვდება ფული აეროპლანის „ოტვეტ კიტაიუ“-ს ასაგებად. ბევრ საწარმოში მუშები კოლექტიურად ეწერებიან თავდაცვა-ავიაქიმში (ადს).

საქართველოში

ჭიათურის მუშების პროტესტი

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის მაღაროების მუშებმა მოისმინეს რა ცნობა ჩინეთის მთავრობის უკანასკნელი ვერაგული გამოსვლის შესახებ,—ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში განაცხადეს:

— **„საჭიროა საბჭოთა კავშირის მთავრობამ გადამწყვეტი ზომები მიიღოს და სათანადო სიმტკიცით შეხვდეს ჩვენზე გამოლაშქრებულ მტერს. მაღაროს მუშები მზად ვართ როგორც ერთი კაცი დავდგეთ ფეხზე და მთავრობის დაძახებისთანავე გავიდეთ ბრძოლის ველზე. ძირს ჩინეთის ყაჩაღური ხელისუფლება, გაუმარჯოს ჩინეთის გასაბჭოებას!**

ზუგდიდი, 22 ივლისი. 16 ივლისს ზუგდიდის მრავალრიცხოვან მუშა-მოსამს. მიტინგმა მოისმინა ცნობა ჩინეთის რეაქციონურ ხელისუფლების ყაჩაღურ თავდასხმის შესახებ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე.

მიტინგი მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან სასტიკ ზომების მიღებას თავაშვებულ რეაქციონერების ასალაგმავათ.

სამტრედია, 22 ივლისი. სამტრედიის პროფკავშირების წევრთა საერთო კრებამ მოისმინა ცნობა ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლების მორიგ თავხედურ გამოსვლის შესახებ. კრება ენერგიულ პროტესტს აცხადებს ჩინეთის მთავრობის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ. საერთო კრება მუშათა კლასთან ერთად აღიარებს, რომ იგი მზად არის იარაღით ხელში დაიცვას საბჭოთა კავშირის წითელი საზღვრები.

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

„დროშა“ № 13
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

კომინტერნის ალმასკომის პლენუმის შედეგები

კომინტერნის ალმასკომის ეხლახან დამთავრებულმა პლენუმმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის.

პლენუმმა ანალიზი გაუკეთა VI კონგრესის შემდგომი პერიოდის მთელ ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებას. ამ ანალიზმა მთლიანად დაადასტურა VI კონგრესის მიერ აღებული ხაზის სისწორე. ამავე დროს პლენუმმა აღრიცხა მთელი ცვლილებანი კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში და მათ ურთიერთობაში საბჭოთა კავშირთან, რაც კი VI კონგრესის შემდეგ მოხდა.

რაში გამოიხატება ეს ცვლილებანი? სრულიადაც არა იმაში, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია უფრო მტკიცედ გამხდარიყო, რომ კაპიტალიზმს მოეხერხებია წინააღმდეგობათა დაძლევა თუნდაც ცალკე ქვეყნების მასშტაბით, თავისი ორგანიზაციული დარაზმულობისა და სახელმწიფო-კაპიტალისტური მეთოდების გამოყენების მეოხებით, რომ მუშათა კლასის მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო (თუნდაც დროებით), რომ რევოლიუციონური ტალღის სიძლიერეს დაეკლო, ომის საფრთხე ნაკლები გამხდარიყო და სხვ., როგორც ფიქრობენ მემარჯვენენი, შემარიგებელნი და ყველანი, ვინც მათ გავლენაში მოექცა.

პირიქით!

პლენუმმა აღნიშნა კაპიტალისტური სტაბილიზაციის შემდგომი შერყევა, მის წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება (მიუხედავად პარიზის კონფერენციისა და ხელისუფლების სათავეში მაკდონალდის მთავრობის ჩადგომისა), მუშათა კლასის მდგომარეობის შემდგომი გაუარესება, იმ კლასის, რომელსაც თანდათან უფრო მძიმედ აწვება კაპიტალისტური რაციონალიზაციის ტვირთი, ომის საფრთხის, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირზე სამხედრო თავდასხმის საფრთხის შემდგომი ზრდა (მიუხედავად კელოგის პაქტისა, მიუხედავად განიარაღების პერმანენტულ კონფერენციებისა და მიუხედავად მაკდონალდის საზეიმო დაპირებისა, რომ ინგლისის მთავრობა საბჭოთა მთავრობას იცნობდა).

მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის ყველა უმთავრეს პუნქტში განვითარება მიდის VI კონგრესის მიერ დახაზულ ხაზით.

VI კონგრესმა აღნიშნა ფაქტი მუშათა მასების გამემარცხენებისა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ის მასშტაბი, რომელიც მიიღო ამ გამემარცხენებამ, საშუალებას გვაძლევს ეხლავე ვთქვათ, რომ, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიც გერმანია, საფრანგეთი და პოლონეთია, თანდათან მატულობს რევოლიუციონური ტალღის აზვირთება.

გაფიცვები რურში, ლოძში, ჩრდილოეთ საფრანგეთში, მუშების საპირველმაისო მასიური რევოლიუციონური გამოსვლები ბერლინში, პირველი მაისის დღესასწაული გერმანიაში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში, გერმანიის კომპარტიის ბრწყინვალე გამარჯვება საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნებში, სასოფლო-სამეურნეო მუშების გაფიცვა პოლონეთში—ყველა ეს ფაქტი თვალსაჩინოდ მოწმობს რევოლიუციონური მღელვარების ზრდას უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში, რის შეჩერებასაც სოციალ-დემოკრატია, ე. ი. კაპიტალიზმის მთავარი დასაყრდენი მუშათა კლასში, ვერ შესძლებს ვერც ცერგიბელების სოციალ-ფაშისტური მეთოდებით და ვერც მთელი მემარცხენე ფრთის მატყუარა, ცრუ „რევოლიუციონური“ ფრაზეოლოგიით.

მთავარი საფრთხე ჩვენი კომპარტიებისათვის მდგომარეობს ეხლანდელ პირობებში, იმაში, რომ ისინი (ან ზოგიერთი მათგანი) შეიძლება უკან ჩამორჩნენ რევოლიუციონურ აზვირთების ზრდას (როგორც დაემართა ეს გერმანიის კომუნისტურ პარტიას, რომელსაც 1923 წელს ბრანდლერი და ტალჰეიმერი მეთაურობდნენ). და ამიტომ ეხლა, როდესაც უკვე შეიძლება ლაპარაკი არა თუ მასების გამემარცხენებაზე, არამედ რევოლიუციონური აზვირთების ფაქტზედაც, მემარჯვენე გადახრებისა და შემარიგებლობის დაძლევის ამოცანა, რაც კომინტერნის VI კონგრესმა კომპარტიების ყურადღების ცენტრში დასვა, კიდევ უფრო აქტუალურად და მწვავედ სდგას. ეხლა ლაპარაკია კომუნისტური პარტიების გაწმენდაზე კუდში მაჩანჩალობის, ოპორტუნისტულ, ნახევრადსოციალისტურ ელემენტებისაგან, რომლებსაც არ სურთ (ან უნარი არა აქვთ) დაინახონ რევოლიუციონური აზვირთების მოახლოვება, რომელნიც იარაღს ჰყრიან კაპიტალიზმისა და სოციალ-დემოკრატიის წინაშე, რომელნიც ჩვენს პარტიებში თამაშობენ მტრული ძალების შინაგანი აგენტურის როლს.

საეჭვოა, რომ კომინტერნის შინაგანი ცხოვრების რომელიმე სხვა პერიოდი ისე მდიდარი ყოფილიყო მოვლენებით, როგორც VI კონგრესის შემდგომი პერიოდი. ამ პერიოდს განმტკიცება და შინაგანი კონსოლიდაცია, ახასიათებდა, ერთის მხრივ, კომპარტიების რასაც თან სდევდა მათი გაწმენდა ოპორტუნისტულ ელემენტებისაგან, ხოლო, მეორეს მხრივ, პარტიული ხელმძღვანელობის კონსოლიდაცია VI კონგრესის ბოლშევიკურ ხაზზე. გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის, ამერიკის, საფრანგეთის და პოლონეთის კომუნისტურმა პარტიებმა ყველაზე სრულად და ღრმად განიცადეს ეს პროცესი. მაგრამ არის მთელი რიგი პარტიებისა, სადაც ეს პროცესი ეს-ეს არის იწყება ან არც კი დაწყებულა. ეს მკაფიოდ აღინიშნა პლენუმზე. პლენუმმა საჭიროდ აღიარა შემდგომი გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე და შემარიგებელ ელემენტებთან კომინტერნის ყველა სექციაში.

კომინტერნის ალმასკომის ახლად დამთავრებულმა პლენუმმა ჯამი გაუკეთა VI კონგრესის შემდგომი პერიოდის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ შედეგებს. ამ პერიოდის მდიდარი გამოცდილების საფუძველზე მან მოგვცა სრული და ვრცელი შეფასება მემარჯვენე ელემენტებისა. ამ ელემენტების პოზიცია უკვე აღარ არის, ან მალე აღარ იქნება, ტაქტიკურად გადახრა, როგორც ეს ოდესღაც ტროცკიზმს დაემართა. მემარჯვენეთა ფაქტიური უთანხმოებანი კომინტერნთან პროგრამულ უთანხმოებად იქცევიან.

მემარჯვენეთა ხაზი მთელ რიგ პარტიებში, შეუთავსებელი ხდება მათ ყოფნასთან კომინტერნში.

ამ პროცესთან ერთად სწარმოებს მეორე პროცესი—მარჯვნივ გადახრა ჯერ კიდევ გუშინ შემარიგებელ და მერყევ ელემენტებისა, რომელნიც ამ ცოტა ხნის წინად ვერ ბედავდნენ დაპირისპირებიათ თავიანთი ხაზი VI კონგრესისათვის და სცდილობდნენ მიეფუჩეჩებიათ უთანხმოებანი კომინტერნთან, მხოლოდ იცავდნენ მემარჯვენეებს, მაგრამ ვერ ბედავდნენ მათთვის სოლიდარობის გამოცხადებას.

ეს ელემენტები ეხლა იკავებენ მემარჯვენეთა განთავისუფლებულ ადგილს. მათ მიერ თავიანთი შეცდომებისა და გადახრების თავგამოდებული დაცვა, კაპიტალისტური სტაბილიზაციის სიდამპლისა და მერყეობის უარყოფა, მის შინაგან წინააღმდეგობათა მიფუჩეჩება, კომპარტიების მიერ მოწყობილი მასიური რევოლიუციონური გამოსვლების ჩაშლის პოლიტიკა (გერმანელ შემარიგებელთა დამოკიდებულება პირველი მაისის ამბებთან),—ყოველივე ეს იქამდე მიიყვანს ამ ხალხს, სადაც მივიდნენ მემარჯვენენი, ე. ი. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ფარგლებს გარედ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში წარმოებული სოციალისტური მშენებლობის წარმატება, რომელიც მიღწეულია კაპიტალისტური ელემენტების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, თანდათან უფრო დიდ როლს თამაშობს მუშათა კლასის რევოლიუციონური ძალების დასარაზმავად, კაპიტალისტურ ქვეყნებში იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ თუ საკავშირო კომპარტიის (ბ) პოლიტიკა წარმოადგენს მძლავრ ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს კომინტერნის ძალების კონსოლიდაციას, თუ საკავშირო კომპარტიასა (ბ) და მის გენერალურ ხაზზე ორიენტაციას იღებენ უცხოეთის კომპარტიები და თავიანთ პოლიტიკას, ტაქტიკას და ორგანიზაციას რევოლიუციონური აზვირთების პირობებს უფარდებენ, სამაგიეროდ კომინტერნის ყველა პარტიების მთელი გახრწნილი, მერყევი და კომუნიზმიდან სოციალ-დემოკრატიისაკენ დაქანებული ელემენტები, აგრეთვე კომინტერნიდან გამორიცხული ოპორტუნისტები, ორიენტაციას იღებენ საკავშირო კომპარტიის (ბ) მემარჯვენე და შემარიგებელ ელემენტებზე. ახლად დამთავრებულმა პლენუმმა ერთხელ კიდევ უაღრესად თვალსაჩინოდ დაამტკიცა ყოველივე ეს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც იდგა პლენუმზე, იყო საკითხი პროფკავშირების შესახებ. პროფინტერნის მე-6 კონგრესის და კომინტერნის VI კონგრესის მიერ დასახული ტაქტიკა, ტაქტიკა მუშათა კლასის საგაფიცვო ბრძოლის დამოუკიდებელი ხელმძღვანელობისა, ამ ბრძოლის სახელმძღვანელოდ ისეთი ორგანოების შექმნისა, რომელნიც უნდა აერთიანებდნენ არა მარტო ორგანიზაციულად შეკავშირებულ, არამედ შეუკავშირებელ მასებსაც, ტაქტიკა პროფკავშირთა გამგეობების და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნების დროს დამოუკიდებელი სიების წამოყენებისა და რეფორმისტული კავშირების შიგნით მუშაობის გაძლიერებისა—ეს ტაქტიკა სავსებით დადასტურდებულ იქნა პლენუმის გადაწყვეტილებებში. ამ ტაქტიკის წარმატებით გატარება უკვე იძლევა ნაყოფს მასების გამორაცხვის საქმეში ამსტერდამის პროფბიუროკრატთან გავლენიდან. იგი წარმოადგენს ერთად-ერთ საშუალებას იმისათვის, რომ აფეთქებულ იქნას რეფორმისტულ პროფკავშირთა აპარატი, რომ ორგანიზაციულად შეკავშირებულ და შეუკავშირებელ პროლეტართა ფართო მასები დარაზმულ იქნან არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ ბრძოლისათვისაც კაპიტალიზმის დასამხობად.

პლენუმმა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება მოახლოვებული ომის წინააღმდეგ ბრძოლისა და 1 აგვისტოს დემონსტრაციის შესახებ. ბურჟუაზიული სოციალ-დემოკრატიული მთავრობები, რომელნიც ახალ ხოცვა-ჟლეტას ამზადებენ, უეჭველად ყოველ ღონეს მიმართავენ, რათა ჩაშალონ ჩვენი დემონსტრაცია. ისინი ვერ შესძლებენ ამას.

მეტად უშუალოდ გრძნობენ მასები ომის საფრთხეს, მეტად ცოცხლად ახსოვთ მათ უკანასკნელი ომის საშინელებანი, მეტად თვალსაჩინოდ ააშკარავებენ თავს სოციალ-ფაშისტური მმართველნი, რომელთა ხელითაც ბურჟუაზია ამზადებს ომს. მეტად მკაფიოდ გვაგონებენ ახალი მსოფლიო იმპერიალისტური ომის საშინელებებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი უკანასკნელი ამბები, რომლის საშუალებითაც ჩინელი გენერლები, საერთაშორისო იმპერიალიზმის კარნახით, თავხედურად სცდილობენ ომის გამოწვევას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

კომუნისტური ინტერნაციონალის ალმასკომის გადაწყვეტილებანი, რომელნიც იძლევიან ეხლანდელი პერიოდის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების ანალიზს სახავენ კომპარტიების უახლოეს ამოცანებს რევოლიუციონური აზვირთების დაწყების პირობებში, უდიდეს როლს ითამაშებენ მუშათა კლასის რევოლიუციონურ ძალთა და კაპიტალისტური ქვეყნების და კოლონიების მშრომელი მასების რევოლიუციონურ ძალთა სტაბილიზაციის საქმეში, კომუნისტური პარტიების კონსოლიდაციის საქმეში კომინტერნის ბოლშევიკურ ხაზზე.

„პრავდა“, 21 ივლისი.

საერთაშორისო წითელი დღისათვის

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ლოზუნგები

1. 15 წლის წინად იმპერიალისტებმა გამოიწვიეს ომი. მილიონობით დაიღუპნენ მუშები და გლეხები. მასები გაღატაკდნენ და განადგურდნენ. მთელი მსოფლიოს პროლეტარებო და ჩაგრულნო, გაჩაღეთ რევოლიუციონური ბრძოლა ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ!

2. გაუმარჯოს კომინტერნს—მსოფლიო პროლეტარიატის შტაბს ომის წინააღმდეგ ბრძოლაში! ბრძოლა პროლეტარული რევოლიუციისათვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა სოციალიზმისათვის!

3. იმპერიალისტები ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს იმპერიალისტური მონობის განსამტკიცებლად. პროლეტარებო, დადექით კომინტერნის დროშის ქვეშ კაპიტალიზმის დამხობისათვის საბრძოლველად!

4. საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის ზრდის საპასუხოდ ბურჟუაზია ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის—პროლეტარული რევოლიუციის დასაყრდენის წინააღმდეგ. ყველანი გამოდით იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლველად და საბჭოთა კავშირის დასაცავად!

5. იმპერიალისტები სოციალ-დემოკრატებთან კავშირში ამზადებენ კონტრ-რევოლიუციონურ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ძირს ომის ორგანიზატორები! გაუმარჯოს კომინტერნს!

6. ძირს ახალი ომის პროვოკატორები, ჩინელი მილიტარისტები—მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტები! გაუმარჯოს ჩინეთის და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ კავშირს!

7. ჩინელი გენერლების და თეთრგვარდიელების ყაჩაღური თავდასხმის საპასუხოდ განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის დაცვა და საბჭოთა ქვეყნის და ჩინეთის მუშათა და გლეხთა ძმური კავშირი!

8. პანების პოლონეთი და ბოიარების რუმინეთი საერთაშორისო იმპერიალიზმის დახმარებით იარაღდებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გაუმარჯოს პოლონეთის და რუმინეთის მუშათა და გლეხთა საერთაშორისო ბრძოლას იმპერიალისტების წინააღმდეგ!

9. მაკდონალდის მთავრობა—იმპერიალიზმის ერთგული ლაქიაა. ძირს ბურჟუაზიის მსახურთა ნიღაბი და გაუმარჯოს ინგლისის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლას!

10. მემარცხენე სოციალ-დემოკრატები პაციფისტური სიტყვებით ეხმარებიან ბურჟუაზიას მოატყუონ მუშები და მოაწყონ ახალი ომი. ბრძოლა სოციალ-დემოკრატიასთან!

11. 4 აგვისტოს სოციალ-იმპერიალიზმი მოახდენს იმის დემონსტრაციას, რომ იგი ერთგულია ბურჟუაზიასთან კავშირისა, და დარაზმავს ძალებს ახალი იმპერიალისტური ომისათვის.

12. 1 აგვისტოს პროლეტარები გამოდიან კომინტერნის დროშით იმპერიალისტურ ომთან და იმპერიალიზმთან საბრძოლველად.

13. 1 აგვისტო არის დღე მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონური ძალების მობილიზაციისა ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ბურჟუაზიისა და მისი ლაქიების—სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

14. გაუმარჯოს საერთაშორისო წითელ დღეს—მსოფლიო პროლეტარიატის ძალების შემოწმებას იმპერიალიზმთან; ომის საფრთხესთან საბრძოლველად და საბჭოთა კავშირის—მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოს—დასაცავად!

15. მშვიდობიანობაზე ლაპარაკით, განიარაღებაზე ლაყბობით და კელოგის თვალთმაქცური პაქტით ბურჟუაზიას და სოციალ-დემოკრატებს სურთ მიჩქმალონ შეიარაღების სწრაფი ზრდა. ძირს ბურჟუაზიული პაციფიზმი, ძირს ერთა ლიგა—ახალი ომის მომზადების იარაღი!

16. ძმური სალამი ბერლინის გმირულ პროლეტარებს და ნეიკელნის და ვედინგის ბარიკადების მამაც დამცველებს. მჭიდროდ დარაზმეთ მებრძოლთა რიგები რევოლიუციონური ინტერნაციონალის დროშის ირგვლივ!

17. პილსუდსკის მომხრეებს შეეშინდათ საბჭოთა დელეგატების და არ დაუშვეს ისინი ვარშავის ყრილობაზე. გაუმარჯოს პოლონეთის და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ მუშათა და გლეხთა ძმურ ერთობას ფაშიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ!

18. გაუმარჯოს რევოლიუციონურ ბრძოლას იმპერიალიზმის ჩაგვრის დასამხობად კოლონიებში და გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას!

19. მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვება მთელ მსოფლიოში მოუღებს ბოლოს იმპერიალისტურ ომებს. ყველა ქვეყნის პროლეტარებო, ემზადეთ—იმპერიალისტური ომი გადავაქციოთ სამოქალაქო ომად! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელ მსოფლიოში!

20. პროლეტარიატი იარაღდება, რათა განაიარაღოს ბურჟუაზია. გაუმარჯოს მუშათა და ჩაგრული ხალხების შეიარაღებულ აჯანყებას კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ!

21. კოლონიების ჩაგრულო ხალხებო, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით იბრძოლეთ იმპერიალისტური მონობის უღლის დასამსხვრევად!

22. გაუმარჯოს მუშათა კლასის მტკიცე კავშირს ჩაგრულებთან და გაყვლეფილებთან მთელ მსოფლიოში!

23. რევოლიუციონური პროლეტარები—„პორაჟენცები“ არიან კაპიტალისტურ ქვეყნებში. რევოლიუციონერო პროლეტარებო, გამოდით საბჭოთა კავშირის—მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოციალისტური სამშობლოს—დასაცავად!

24. გაუმარჯოს წითელ არმიას—მსოფლიო პროლეტარიატის შეიარაღებულ რაზმს!

25. წითელი არმია—ჩაგრულთა მახვილი და პროლეტარული რევოლიუციის იარაღია. გაუმარჯოს წითელ არმიას!

26. მუშათა და გლეხთა ყოველი წარმატება სოციალისტურ მშენებლობაში ახალი ნაბიჯია საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად და ახალი მახვილის ჩაცემაა მსოფლიო იმპერიალიზმისათვის. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს—საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლოს!

28. ჩვენი მშენებლობის უდიდესი ტემპით უძლეველი გავხადოთ საბჭოთა ქვეყანა მსოფლიო კაპიტალთან ბრძოლაში. მედგარი ბრძოლა სოციალიზმის გამარჯვებისათვის!

29. სოციალიზმის მშენებლობა მსოფლიო რევოლიუციონური ბრძოლის ნაწილია. მეტი დისციპლინა და მეტი ორგანიზაციულობა შრომაში! ყველამ მიიღეთ მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში!

30. ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, ბრძოლა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კოლექტივიზაციისათვის! განვახორციელოთ საბჭოთა მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა! გავშალოთ სოციალისტური შეტევა ქალაქად და სოფლად!

31. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და საბჭოთა სოფლის კოლექტივიზაცია საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მთავარი გზაა.

32. პროლეტარიატთან კავშირში და პროლეტარიატის ხელმძღვანელობით სოფლის ღარიბი და საშუალო მასები უკუაგდებენ მსოფლიო იმპერიალიზმს. გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

33. კულაკებს, ნეპმანებს, მეურნეობის დეზორგანიზატორებს, მავნებლებს და ყველა კლასობრივ მტერს ვუპასუხებთ პროლეტარიატის მკაცრი შეტევით. განვამტკიცოთ წითელი არმია და გავშალოთ მშენებლობის ძლევამოსილი შეტევა!

34. მუშათა თვითკრიტიკის ცეცხლით ამოვსწვათ ბიუროკრატიზმის წყლული. აპარატის წმენდით კლასობრივი მტრებისაგან განვამტკიცოთ სოციალისტური მშენებლობა და გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირის თავდაცვა!

35. კულტურის, მეცნიერების და ტეხნიკის ძლიერი განვითარებით უზრუნველვყოთ სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა და გადავაქციოთ საბჭოთა კავშირი მსოფლიო რევოლიუციის შეურყეველ ციხე-სიმაგრედ!

36. ზარმაცი, სამუშაოს გამცდენი, სპეკულიანტი და ბიუროკრატი აფერხებენ სოციალისტურ მშენებლობას და ხელს უწყობენ იმპერიალისტებს, რომლებიც ემზადებიან საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად.

37. ომის საფრთხის ზრდის წინაშე მაღლა ასწიეთ საბჭოთა კავშირის მუშათა და მშრომელთა მებრძოლი ინტერნაციონალიზმის დროშა! მკაცრი შეტევა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ! დაუნდობელი ბრძოლა მემარჯვენეებთან და შემარიგებლებთან, რევოლიუციონური ფრონტის დეზერტირებთან! გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგების და კომინტერნის ლენინურ ერთობას!

38. ტროცკისტები კონტრ-რევოლიუციის ბანაკში არიან კომინტერნის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დაუნდობელი ბრძოლა პროლეტარიატის საქმის მოღალატეებთან!

39. მასების ენტუზიაზმით სოციალისტურ შეჯიბრებაში დავამთავროთ სოციალისტური მშენებლობა და უზრუნველვყოთ სოციალიზმის გამარჯვება!

40. ლენინური კომკავშირი, მუშათა ახალგაზრდობის მებრძოლი რაზმების ორგანიზატორი, პირველ რიგებში იბრძოლებს მოსისხლე მტრის—იმპერიალიზმის წინააღმდეგ. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს!

41. მუშა-ქალებო და გლეხ-ქალებო, გამოდით სოციალისტური ქვეყნის დასაცავად და იმპერიალიზმის ბატონობის რევოლიუციონური გზით დამხობისათვის საბრძოლველად!

42. მაღლა ასწიეთ კომინტერნის—მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ორგანიზატორის დროშა! მთელი მსოფლიოს მუშებო, გლეხებო და ჩაგრულებო, დაირაზმეთ კომინტერნის ირგვლივ!

43. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა გმირული შრომის მთელი გამოცდილება ამტკიცებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინურ პოლიტიკის შეურყეველ სისწორეს. გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას (ბ)—ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორს!

მოსკოვი, 22 ივლისი,

გადმოცემულია ტელეგრაფით.

სტანდარტიზაცია ამიერ-კავკასიის მრეწველობაში

სტანდარტიზაცია არის ერთ-ერთი ძირითადი რაციონალიზატორული ღონისძიება, რომელიც უზრუნველჰყოფს თვითღირებულების, შრომის ნაყოფიერების და ნაწარმოების ხარისხის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დონეს.

მიუხედავად ამისა, როცა ამიერ-კავკასიის ს.მ.უ. საბჭოს სამეცნიერო - ტეხნიკური სამმართველოს რაციონალიზაციისა და სტანდარტიზაციის განყოფილება წინასწარ გაეცნო სტანდარტიზაციის საქმის და დამტკიცებული სრულიად საკავშირო სტანდარტების შესრულების კონტროლის მდგომარეობას ამიერ-კავკასიის მრეწველობაში, გამოირკვა, რომ ამ მუშაობის მოცულობა და ტემპი მეტად მცირეა.

მუშაობის საორგანიზაციო ფორმების არ არსებობისა და სტანდარტების დამუშავების, გატარებისა და კონტროლისათვის ხარჯთაღრიცხვით საჭირო თანხების გადაუდებლობასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მრეწველობის მუშაკთა ფართო წრეები და თვით ადმინისტრატიულ - ტეხნიკური პერსონალის ერთ ნაწილსაც მეტად სუსტი წარმოდგენა აქვთ სტანდარტიზაციის მნიშვნელობაზე და ამოცანებზე და თვით სტანდარტებზედაც.

სტანდარტების დამუშავების საქმეში ნაკლებად არიან ჩაბმულნი ტრესტები, საწარმონი, სამშენებლო კომიტეტი, რესპუბლიკანური ს.მ.უ. საბჭოების ორგანოები.

სრულებით არ არის განვითარებული ადგილობრივი სტანდარტაცია, ე. ი. ტრესტებსა და წარმოებებს არა აქვთ დამუშავებული თავიანთი კერძო, ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმალები და სტანდარტები.

წარმოებაში სუსტად წარმოებს უკვე დამტკიცებული სრულიად საკავშირო სტანდარტების გავრცელება. დამტკიცებული 560 სტანდარტიდან ამ.-კავკასიის მრეწველობაში აქამდის უნდა გამოეყენებიათ 150-დე სავალდებულო სტანდარტი. გამოყენებულ იქნა კი მხოლოდ 20-მდე სტანდარტი.

დღემდე არ არის შემოღებული ისეთი საყურადღებო სტანდარტები, როგორიც არის, მაგალითად, წიწვიანი ხე-ტყის მასალის სტანდარტები (92 და 93), რომლებსაც დიდი მნიშვნელობა მარტო ტყის მრეწველობაში არა აქვთ,—ისინი ეხებიან ისეთი დიდი მომხმარებლების ინტერესებს, როგორიც არის რკინისგზის ტრანსპორტი. ამავე დროს კი ერთი სტანდარტის შემოღების სავალდებულო ვადად დანიშნული იყო 1927 წლის ოქტომბერი, ხოლო მეორის—1928 წლის იანვარი.

უარყოფით როლს ამ შემთხვევაში თამაშობდა ის, რომ არ არსებობდა მოწესრიგებული კონტროლი დამტკიცებულ სტანდარტებზე და ამ საქმეში არ იყვნენ ჩაბმული ამიერ-კავკასიის პალატა, ამ.-კავკასიის ზომისა და წონის შემმოწმებელი პალატები, სამეცნიერო ინსტიტუტები, სინდიკატები და ფაბრიკა-ქარხნების ტეხნიკური კონტროლის ორგანოები.

ხოლო იმას, თუ რამდენად არის საჭირო ასეთი კონტროლი, გვიჩვენებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მოსკოვის ინსპექციის მიერ ამიერკავკასიის თამბაქოს ქარხნებში პაპიროსების სტანდარტული წონის შემოწმებამ გამოარკვია დაწესებული სტანდარტული წონიდან „გადახრა“ შემცირებისაკენ, რომელიც 13 პროცენტს აღწევს.

დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ არ არის კარგად მოწყობილი ამიერ-კავკასიის სტანდარტების ცხრილების ფართოდ გავრცელების საქმე ისეთი მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ, როგორიც არის, მაგალითად, მშენებლობის ხელმძღვანელი ორგანო „ზაკორგსტროი“.

არ შეიძლება გვერდი აუქციოთ სტანდარტიზაციის ისეთ მნიშვნელოვან საკითხსაც, როგორიც არის მიღებული სტანდარტებიდან გადახვევის შესაძლებლობის საკითხი, საკითხი ეგრედ წოდებულ „დაშვებათა“ შესახებ.

სტანდარტებისაგან გადახვევა, დაინტერესებულ უწყებათა შუამდგომლობით, შეიძლება დაკანონდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სტანდარტიზაციის კომიტეტის მიერ.

ამიერ-კავკასიაში უკვე გვაქვს ამ წესის დარღვევის შემთხვევები.

ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში „ზარია ვოსტოკა“-ს № 100-ში გამოაქვეყნა „ჩვეულებრივი საშენებელი აგურის“ ზომა, რომელიც არ ეთანხმება სრულიად საკავშირო სტანდარტს—101-ს.

ეს „გადახვევა“ მთლად სცვლის სტანდარტის ხასიათს, ამცირებს გამოშვებული აგურის ხარისხს. ამავე დროს შრომისა და თავდაცვის საბჭოს თანხმობის გარეშე ასეთი გადახვევა წარმოადგენს საუწყებო გადახრის პრეცედენტს, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სტანდარტიზაციის კომიტეტის უფლებათა დარღვევას, რასაც აგურის წარმოებისა და მოხმარების პრაქტიკაში უკიდურესი არევ-დარევა შეაქვს.

ყველა ეს ფაქტი გვეუბნება იმას, რომ სტანდარტიზაციის საქმეს დღემდე არ ექცეოდა სერიოზული ყურადღება.

ამიტომ ახლო მომავალშივე მიღწეულ უნდა იქნას გადამჭრელი გარდატეხა იმ მხრივ, რომ გაფართოვდეს და გაღრმავდეს მუშაობა ამიერ-კავკასიის მრეწველობის სტანდარტიზაციის საქმეში.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ხუთი წლის განმავლობაში 11.000 სტანდარტის გამოშვება.

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს ვარაუდით, მრეწველობის ხაზით უნდა დამუშავდეს 4 ათასამდე სტანდარტი.

ტეხნიკის განვითარება უნდა მიმდინარეობდეს სრული ნორმალიზაციის, ტეხნიკის ღრმა „დეზინდივიდუალიზაციის“ ნიშან ქვეშ.

თუ ცალკე სტანდარტების რიცხვი, რომლების გამოყენებაც სავალდებულო იყო ამიერ-კავკასიის მრეწველობისთვის, წინა წლების განმავლობაში 50-ს არ აღემატებოდა და მხოლოდ უკანასკნელ 28—29 წელს ავიდა 120-დე, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში, მუშაობის სწრაფი ტემპის გამო, ეს რიცხვი წლების მიხედვით უნდა იყოს:

1929 წლის 1 ოქტომბრისათვის—170
1930 „ „ „ —250
1931 „ „ „ —295
1932 „ „ „ —300
1933 „ „ „ —350

საერთოდ 1933 წლისათვის ეს შეადგენს (დღემდე არსებულთან ერთად) 1.400 სტანდარტამდე.

შედარებისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ დამტკიცებული სტანდარტების რაოდენობით ამი.-კავკასიამ უნდა გაუსწროს ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის შვეცია, ჩეხო-სლოვაკია, ინგლისი და თითქმის უნდა გაუთანასწორდეს ამ მხრივ ყველაზე წინ მდგომ გერმანიას და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს.

სტანდარტი ხდება კანონით, რომელიც ითვალისწინებს და აწესრიგებს ურთიერთობას მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის და ამავე დროს წარმოადგენს არა მარტო გეგმის იარაღს, არამედ იმ ტეხნიკური ხელმძღვანელობის იარაღსაც, რომელიც ს. მ. უ. საბჭომ უნდა განახორციელოს მრეწველობის მიმართ.

ამიტომ ს. მ. უ. საბჭოს სამრეწველო ორგანოთა ქსელში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმ დაწესებულებას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება წარმოების სტანდარტიზაციის დარგში სწორი საორგანიზაციო ფორმების მოცემისათვის და სტანდარტიზაციათა კონტროლისათვის.

ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. საბჭოს შექმნის შემდეგ ასეთი დაწესებულება იქნება სამეცნიერო-ტეხნიკური სამმართველოს რაციონალიზაციისა და სტანდარტიზაციის განყოფილება.

სტანდარტიზაციის საქმეში მის ძირითად ამოცანებს შეადგენს ხელმძღვანელობის გაწევა: წარმოების სტანდარტიზაციის სამუშაოებისათვის ამიერ-კავკასიის მრეწველობაში და მონაწილეობის მიღება დასამტკიცებლად წარმოდგენ სტანდარტების დამუშავებაში; ინსტრუქციების მიცემა, გეგმების შემუშავება და მუშაობის გაერთიანება ამიერ-კავკასიის მრეწველობაში სტანდარტების განხორციელებაზე კონტროლის გაწევის საქმეში, აგრეთვე სტანდარტების შესწავლა და შემოწმება, როგორც ტეხნიკურ, ისე ეკონომიური მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით.

სამეცნიერო-ტეხნიკური სამმართველოს რაციონალიზაციისა და სტანდარტიზაციის განყოფილებამ უკვე გაითვალისწინა მთელი რიგი კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებანი სტანდარტიზაციის სამუშაოთა ორგანიზაციული ჩამოყალიბების სფეროში.

სტანდარტების დამუშავების ხაზით უნდა შესდგეს მრეწველობის სტანდარტიზაციის სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება ისეთი სტანდარტები, რომელთაც მნიშვნელობა ექნებათ მრეწველობის დარგების შიგნით და რომლებიც ხელს შეუწყობენ ქარხნის სპეციალიზაციას, პროდუქციის წარმოებისა და ღირსების გაუმჯობესებას.

ამ გეგმაში აისახება ადგილობრივი სტანდარტიზაციაც, ე. ი. საწარმოთა მიერ თავიანთი კერძო ნორმალების, ადგილობრივი მნიშვნელობის კერძო სტანდარტების დამუშავება.

მომავალი ხუთი წლის განმავლობაში სტანდარტიზაციის ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ რაც შეიძლება მეტ პროდუქციაზე გაავრცელოს სტანდარტები და ტეხნიკური პირობები, არამედ, უმთავრესად იმაშიც, რომ გაავრცელოს იგი ახალი მიმართულებით, აგრეთვე შეცვალოს სტანდარტიზაციის მთელი მეთოდიკა იმ შესაძლებლობათა და ამოცანათა მიხედვით, რომლებიც სტანდარტიზაციას აქვს სოციალისტურ მეურნეობაში.

ამ აზრით, პროდუქციის სტანდარტიზაციასთან ერთად, ყურადღება მიექცევა აგრეთვე სტანდარტიზაციის განვითარებას შემდეგი მიმართულებით:

ა) ნედლეულის სტანდარტიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ღირსების გაუმჯობესებას;

ბ) ტარისა და ჩალაგების სტანდარტიზაცია;

გ) მოწყობილების სტანდარტიზაცია, უმთავრესად მრეწველობის სამთა-მადნო, ლითონის დამმუშავებელ, საფეიქრო, ქიმიურ, საკვებ და სხვა დარგებში;

დ) მშენებლობის სტანდარტიზაცია უმარტივესი დეტალების (ფანჯრები, კარები და სხვ.). სტანდარტებიდან თანდათანი გადასვლით უფრო რთულ ნაწილებზე და მთელ შენობებზე.

უეჭველად ხელს შეუწყობს ფც ეო .

ამ დარგში მუშაობის წარმატებით გაშლას უეჭველად ხელს შეუწყობს სპეციალური კომისია, რომელიც მშენებლობის სტანდარტიზაციის საკითხების დასამუშავებლად უნდა დაარსდეს ამიერ-კავკასიის სააღმშენებლო კომიტეტთან. ამ კომისიის დაარსება უკვე გადაწყვეტილია ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ამ წლის 13 ივნისის დადგენილებით.

სტანდარტების შემუშავების დარგში ხუთწლიანმა გეგმამ უნდა გაითვალისწინოს გადასვლა იმ გამარტივებული ასორტიმენტებიდან და ტეხნიკური პირობებიდან, რომლებიც ამჟამად სტანდარტიზაციის დედა აზრს შეადგენენ, უფრო გაღრმავებულ სტანდარტებზე, რომლებსაც მივიღებთ სპეციალური მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად.

სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტების მუშაობა მომავალში უფრო და უფრო უნდა შეეფარდოს სტანდარტიზაციის დარგში წარმოებულ მუშაობას იმ ვარაუდით, რომ ყოველმა ღონისძიებამ, რომელიც მიმართული იქნება პროდუქციის ღირსების აწევისკენ და საწარმოო მეთოდების გამარტივების, გაიაფების და გაუმჯობესებისაკენ, დაუყონებლივ უნდა ჰპოვოს გამოხატულება სავალდებულო სტანდარტებში და ამრიგად მიიღოს პრაქტიკული გამოყენება წარმოებაში.

ამიერ-კავკასიის მრეწველობაში სტანდარტების შესრულებაზე კონტროლის გაწევის ხაზით მუშაობა მიმართული იქნება არა მარტო გარეგან კონტროლისაკენ, რომლის მიზანიც იქნება იმის თვალყურის დევნება, თუ რამდენად შეეფერება ბაზარზე გამოშვებული ნაწარმოები დაწესებულ სტანდარტებს, არამედ შინაგანი საქარხნო კონტროლის ხაზითაც, რომელიც უზრუნველჰყოფს შესაფერი საქონლის დამზადებას თვით წარმოების შიგნით.

ამის განხორციელება ამიერ-კავკასიის მრეწველობაში მოხდება ორი გზით: საუწყებო სისტემატიური კონტროლით ს. მ. უ. საბჭოს მხრით და ფაქტიური შემოწმებით, რომელსაც გასწევენ ზომისა და წონის პალატები და ამიერ-კავკასიის პალატა.

საუწყებო სისტემატიური კონტროლი მრეწველობაში სტანდარტების გამოყენების მიმართ სამრეწველო ორგანოთა ქსელის სავალდებულო ფუნქციად ხდება ს. მ. უ. საბჭოდან დაწყებული და გათავებული ტრესტებით და საწარმოებით.

ამ ქსელს ეკისრება წარმოებაში გეგმის მიხედვით სტანდარტების გავრცელების ამოცანები, გათვალისწინება იმისა, თუ რომელი საწარმონი რომელ ვადებში უნდა გადავიდნენ პროდუქციის სტანდარტებზე, ამასთან ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ სასტანდარტო წარმოებაზე გადასვლა ხშირად მოითხოვს რეკონსტრუქტიულ მუშაობას კაპიტალურ მშენებლობაში.

სრულიად საკავშირო სტანდარტების მოწესრიგებული აღრიცხვის დროს ისინი სისტემატიურად ადევნებენ თვალყურს მათი შემოღების ვადებს, იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც იწვევს სტანდარტების შემოღება მრეწველობაში, არკვევენ მათს ეფექტიურობას.

ფაქტიური შემოწმება საწარმოთა პერიოდული დათვალიერებისა და პროდუქციის ლაბორატორიული გამოცდის გზით ეკისრება ზომისა და წონის შემმოწმებელ პალატებს და ამიერ-კავკასიის პალატას, ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოების ხელმძღვანელობით. პროდუქციის ანალიზი და შემოწმება ხდება ამიერ-კავკასიის პალატის და შემმოწმებელი პალატების ლაბორატორიებში, საწარმოთა სახელოსნოებში და საწყობებში.

რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოები, მათ ხელქვეით მყოფ მრეწველობაში საერთო ხელმძღვანელობის განხორციელების დროს კონტროლის სამუშაოებში აბამენ: ზომისა და წონის შემმოწმებელ პალატებს, სამეცნიერო ინსტიტუტებს და მათ ლაბორატორიებს, ტრესტებს და საწარმოებს, სარევიზიო საინსპექტორო განყოფილებებს, აგრეთვე შინატეხნიკური კონტროლის ორგანოებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი როლი, რომელიც სტანდარტების კონტროლის საქმეში სინდიკატებს ეკუთვნით.

სინდიკატებმა სპეციალურად უნდა ადევნონ თვალყური იმას, რომ ყველა ხელშეკრულებასა და შეკვეთაში ისეთ მასალასა და ნაწარმოებზე, რომელიც დამტკიცებული სტანდარტების მიხედვით უნდა დამზადდეს, აღინიშნოს სრულიად საკავშირო სტანდარტების ნორმები და ამის შეუსრულებლობის შემთხვევები აცნობონ ს. მ. უ. საბჭოს.

სტანდარტიზაციის დარგში წარმოებული მუშაობის ასეთი ფართო გაშლილი ფრონტი, რომელიც ვრცელდება სამრეწველო ორგანოების მთელს ქსელზე, არ შეიძლება განხორციელდეს მუშებისა და ინჟინერ-ტეხნიკოსთა ფართო მასების მონაწილეობის გარეშე.

ზემოაღნიშნულთან ერთად, რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოების ძირითად ამოცანას წარმოადგენს—ფართოდ გაავრცელონ ცნობები წარმოების სტანდარტიზაციის შესახებ მრეწველობაში და პრაქტიკულად დაიცვან სტანდარტები.

მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიშლება წარმატებით მუშაობა მრეწველობის სტანდარტიზაციის დარგში, თუ კონტროლის საქმეში ფართოდ იქნებიან ჩაბმულნი მრეწველობის მუშაკთა ფართო წრეები, საწარმოო თათბირები, საინჟინერო-სატეხნიკო ძალები და დაუღალავად იმუშავებს სამრეწველო ორგანოების მთელი ქსელი.

ი. გერასიმოვი.

კალანდაძის, ჩიხლაძის და სხვების განცხადება

(ტელეგრაფით ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 22 ივლისი. „პრავდა“-ში გამოქვეყნებულია კალანდაძის, ჩიხლაძის, კირიას, ბასარიას და მთელი რიგი სხვების განცხადება, რომელშიაც ისინი უერთდებიან პრეობრაჟენსკის, რადეკის და სმილგას წერილს, ტროცკისტულ ოპოზიციის დაგმობის შესახებ.

უკანასკნელი ცნობები

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან

მოსკოვი, 22 ივლისი. იმ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც შეიქნა ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტის გამო, საფრანგეთის მთავრობამ მიმართა საბჭოთა კავშირის მთავრობას წინადადებით, რომ იგი იკისრებს შუამავლობას ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისათვის. ეს წინადადება პარიზში უშუალოდ მისცა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა ბრიანმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს საფარანგეთში ამხ. დოვგალევსკის, ხოლო მოსკოვში, ბატონ ბრიანის დავალებით, ეს წინადადება საფრანგეთის ელჩმა ბატონმა ერბეტმა კვირას, 21 ივლისს, გადასცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. კარახანს. გუშინ, 22 ივლისს, კარახანმა საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით პასუხი გასცა საფრანგეთის ამ წინადადებაზე, მან განუცხადა საფრანგეთის ელჩს მოსკოვში ბატონ ერბეტს, რომ „არ შეიძლება სათანადოდ არ იქნას შეფასებული საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადება. მაგრამ საბჭოთა კავშირის მთავრობამ უნდა აღნიშნოს, რომ წინადადება უსაგნო ხდება, იმის გამო, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ უარი სთქვა აღედგინა მის მიერ დარღვეული უფლებრივი ბაზა, რომელიც წარმოადგენდა აუცილებელ წინასწარ პირობას შეთანხმებისათვის, საბჭოთა მთავრობის 13 ივლისის ნოტის თანახმად.

რაც შეეხება შემდგომ შესაძლებელ გართულებათა საკითხს, საბჭოთა კავშირის მთავრობამ უნდა განაცხადოს, რომ არავინ ისე არ ზრუნავს მშვიდობიანობის დაცვისათვის, როგორც საკავშირო მთავრობა, რამდენადაც ეს დამოკიდებულია მასზე. არ არსებობს საფუძველი შეტანილ იქნას ეჭვი იმაში, რომ საბჭოთა კავშირი იყო და რჩება მშვიდობიანობის საქმის ბურჯად“. (ადს).

ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტი და ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატები

ვაშინგტონი, 22 ივლისი. საფრანგეთის საელჩო აცხადებს, რომ მას დღემდე არა აქვს ცნობები, საბჭოთა მთავრობის პასუხის შესახებ იმ დიპლომატიურ ნაბიჯებზე, რომლებიც გადადგა სახელმწიფო მდივანმა ვილსონმა.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს შენიშვნა: საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს მიერ მიღებული ცნობებით, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს არ მიუღია არავითარი ცნობა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გადადგმული რაიმე ნაბიჯების შესახებ, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ (ადს).

წითელი ფრონტელის ქუდის ტარებისათვის

ბერლინი, 22 ივლისი. ცვიკაუში მუშას წითელი ფრონტელის ქუდის ტარებისათვის 3 თვის პატიმრობა მიუსაჯეს (ადს).

გერმანელი სტუდენტები სოხუმში

სოხუმი, 22 ივლისი. ბადენ-ბადენიდან მიღებულია ცნობა, რომ აგვისტოს დამდეგს სოხუმში ჩამოვა გერმანელ სტუდენტთა ექსკურსია 40 კაცის შემადგენლობით. ექსკურსიას ხელმძღვანელობს პროფესორი ბრაქტბერგენი. სოხუმიდან ექსკურსია ავა კლუხორის უღელტეხილზე. ექსკურსია სულ სამ კვირას დარჩება აფხაზეთში (ადს).

ამერიკელები დაინტერესებული არიან

კონცესიებით საბჭოთა კავშირში

ამერიკელები „გლაველექტრო“-ში

მოსკოვი, 22 ივლისი. ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაციის წევრები, ელექტროტეხნიკური ტრესტის „ვესტინჰაუზის“ ვიცე-პრეზიდენტი ბენეტი და ტრესტის ინჟინერი ლილენი მიიღო „გლაველექტრო“-ს უფროსის მოადგილემ ფლაკსერმანმა.

საუბრის დროს დელეგაციის წევრებმა სურვილი გამოსთქვეს გაეცნონ მუშაობის მოცულობას ელექტროფიკაციის დარგში ვესტინჰაუზის ფირმასთან თანამშრომლობას სფეროს გამოსარკვევად. ფლაკსერმანმა დელეგატებს გააცნო ელექტრომშენებლობის ხუთწლიანი გეგმის საფუძვლები. ბენეტმა აღნიშნა, რომ ვესტინჰაუზი, ისევე როგორც სხვა ამერიკული ფირმები, ძალიან არიან დაინტერესებულნი კონცესიებით კავშირში. ფირმას აინტერესებს აგრეთვე ისეთი ცალკე წარმოებების მოწყობის შესაძლებლობა საბჭოთა კავშირში, რომლებიც შემდეგში, საქონლის გასაღების გაფართოვების მიხედვით, შეიძლება დიდად განვითარდნენ.

ამერიკელ დელეგატებს განუცხადეს, რომ „გლაველექტრო“ ამ დღეებში გამოარკვევს მსხვილი ელექტრომშენებლობის რომელი ობიექტების გამო შეიძლება მოლაპარაკება მათი კონცესიის წესით გასაცემად. ამის შემდეგ ვესტინჰაუზის ფირმა წარმოადგენს თავის კონკრეტულ წინადადებებს. (ადს)

1927 წ. სესხის ტირაჟი

მოსკოვი, 22 ივლისი. 20 ივლისს მოხდა 1927 წლის 10 პროცენტიანი შინაგანი სესხის ტირაჟი. გათამაშებულ იქნა: ერთი მოგება—25.000 მანეთიანი, ერთი—10.000 მან., სამი მოგება თითო 5.000 მანეთიანი, 25 მოგება—თითო 1.000 მანეთიანი.

25.000 მანეთის მოგება ხვდა ობლიგაციას № 015838, სერიას 06. 10.000 მანეთის მოგება ხვდა ობლიგაციას № 114873, სერიას 016; 5.000 მანეთის მოგება ხვდა: სერიას 09, № 069993; სერიას 010, № 101750; სერია 05, № 158593-ს. (ადს).

ხუთწლიანი გეგმა მასებში

მოსკოვი, 22 ივლისი. განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ გადასწყვიტა, გაატაროს განათლების დაწესებულებებში სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდისათვის მთელი რიგი ღონისძიებანი. ყველა ტეხნიკუმის ეკონომიური პოლიტიკის პროგრამებში შეტანილი იქნება ცალკე ციკლი ხუთწლიანი გეგმის გასაშუქებლად. გადაწყვეტილია წერა-კითხვის მცირემცოდნეთათვის გამოიცეს ბროშურა, რომელშიაც ხუთწლიანი გეგმა პოპულიარულად იქნება გაშუქებული, მოეწყობა აგრეთვე დაუსწრებელი მოკლე ვადიან კურსები ხუთწლიანი გეგმის შესასწავლად მუშათა და გლეხთა აქტივისათვის და სხვ (ადს).

ინდუსტრიალიზაციის დღის ჩატარება

მოსკოვი, 22 ივლისი. საკავშირო პროფსაბჭოში შესდგა მოსკოვის მსხვილ საწარმოთა წარმომადგენლების თათბირი—6 აგვისტოს ინდუსტრიალიზაციის დღის ჩატარების შესახებ. ბევრ საწარმოში მუშებმა გადასწყვიტეს—ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ჩაატარონ ინდუსტრიალიზაციის დღე (ადს).

როდის ამუშავდება

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა

მოსკოვი, 22 ივლისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანას, მშენებლობის კალენდარული გეგმის შედგენის დროს მხედველობაში მიიღოს ის, რომ ამ ქარხნის ამუშავება უნდა მოხდეს არა 1930—31 წლის მეორე კვარტალში, არამედ 1930 წლის დამლევამდის. (ადს).

მადლობა გერმანელ ექსპერტებს

მოსკოვი, 22 ივლისი. გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. პოლუიანმა მიიღო „ვოლგოდონ“-ის გერმანელი ექსპერტები.

გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის სახელით ამხ. პოლუიანმა მადლობა გამოუცხადა ექსპერტებს მათ მიერ შესრულებულ მუშაობისათვის. გერმანელთა ექსპერტიზამ მოგვცა მრავალი მეტად საყურადღებო მითითება და, უეჭველია, იგი მომავალშიაც ხელს შეუწყობს ვოლგა-კასპიის არხის პროექტის შედგენას. (ადს).

ხულიგნებს ადგილი არა აქვთ პარტიაში

ბაქო, 22 ივლისი. ქალ. ბაქოს მუშები აღშფოთებულნი არიან იმ შემთხვევით, რომელიც მოხდა ზაგულბაში 18 ივლისს, დაახლოვებით საღამოს 11 საათზე. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ლენინ-სურახანის რაიონული კომიტეტის სამი პასუხისმგებელი მუშაკი ლენინის რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის სესინის მეთაურობით მივიდა პლიაჟზე, რომელიც მდებარეობს ბუზოვნასა და ზაგულბას შუა. ისინი მთვრალები იყვნენ და თან ბლომად ჰქონდათ ღვინო და არაყი. ზაგულბაში სასპორტო მოედანზე კომკავშირელი ვაჟები და ქალები თამაშობდნენ. მოსულებმა სთხოვეს მათ—ჩვენც მიგვიღეთ თამაშში. ისინი მიიღეს. თამაშის დროს ისინი ისე დაუშვებლად იქცეოდნენ, რომ ამან ახალგაზრდების აღშფოთება გამოიწვია. როდესაც კომკავშირელები დარწმუნდნენ, რომ მოსულები მთვრალები იყვნენ, სთხოვეს მათ გამოსაძინებლად წასულიყვნენ. ამის საპასუხოდ სესინმა მაუზერი ამოიღო და მუქარა დაუწყო მათ. ერთმა კომკავშირელმა მოინდომა იარაღი აეყარა სესინისათვის, ეცა მას, წააქცია და უპირებდა იარაღის წართმევას. უკვე წაქცეულმა სესინმა გაისროლა რევოლვერი და სერიოზულად დასჭრა კომკავშირელი. სესინის ძმა-ბიჭებმაც იარაღი ამოიღეს. უიარაღო კომკავშირელების ნაწილი ეცა ხულიგნებს და წაართვა მათ რევოლვერები. განიარაღებულები მაინც არ დაწყნარდნენ, დასდევდნენ კომკავშირელებს და მოითხოვდნენ იარაღის დაბრუნებას. ამ დროს ზაგულბაში მივიდა მილიცია და დააპატიმრა თავგასული პასუხისმგებელი მუშაკები. დილის 5 საათზე ზაგულბაში ბუზოვნიდან მივიდა ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი ამხ. ხარაზოვი და მოახდინა პირველი გამოძიება. ორივე საქმე სასწრაფო წესით გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს. მუშები მოითხოვენ დამნაშავეთა სასტიკად დასჯას. (ადს).

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ლენინის რაიონული კომიტეტის დადგენილება

ბაქო, 22 ივლისი. რაიონული კომიტეტისა და რაიონული საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. ზეინალოვის ცნობა იმ უმსგავსოების შესახებ, რომელიც ჩაიდინა რაიონული პარტორგანიზაციის წევრთა ჯგუფმა ბუზოვნასა და ზაგულბაში (სესინი—რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, პავლოვი—ა. კ. პ. (ბ) უჯრედის ყოფილი მდივანი, ტანხელსონი—რიკოვის სახელობის სახელობის კლუბის ყოფილი გამგე). გაერთიანებული პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილი პირები, იმის ნაცვლად, რომ გადაჭრით ებრძოლათ ავადმყოფურ მოვლენებთან, თვითონ აღმოჩნდნენ უმსგავსოების, ხულიგნობისა და დებოშის მონაწილენი და, ამრიგად, გახრწნილი ელემენტები, რაიონული კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რაიონული ორგანიზაციის წევრთა ხსენებულმა ჯგუფმა არათუ სათანადო დასკვნები არ გამოიყვანა საკონტროლო კომისიისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების უკანასკნელი გადაწყვეტილებებიდან, არამედ, პირიქით, თავიანთი საქციელით დაარღვია კიდეც ეს გადაწყვეტილებანი. **ამიტომ რაიონული კომიტეტის პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნული პირების წინააღმდეგ მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები. პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია სესინი, პავლოვი და ტანხელსონი ლოთობისა, დებოშისა და ხულიგნობისათვის გამორიცხულ იქნან აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) რიგებიდან და მოხსნილ იქნან საპასუხისმგებლო მუშაობიდან.** კერძოდ, რაიკომი სთხოვს აზერბეიჯანის ცაკის ფრაქციას—გამოიყვანოს აზერბეიჯანის ცაკის შემადგენლობიდან სესინი, და ბაქოს საბჭოს ფრაქციას—გამოიყვანოს ბაქოს საბჭოს შემადგენლობიდან სესინი და პავლოვი. რაიკომის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ამხ. რუნდაევი (რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი განყოფილების გამგე), დუბნერი (რაიკომის პროპაგანდისტი), ევსტიგნეევი (მეშალაროეთა კავშირის სარაიონო განყოფილების კულტგანყოფილების გამგე), ბარანოვი (ცენტრალურ მუშათა კოოპერატივის ინსტრუქტორი), ტანხელსონი (მეშალაროეთა კავშირის საფაბრიკო-საქარხნო სარაიონო განყოფილების ინსტრუქტორი) დამნაშავენი არიან ზომების მიუღებლობაში, რომ ლოთობას არ ჰქონოდა ადგილი, თუმცა მომხდარ დებოშთან და ხულიგნობასთან მათ არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ. გამოდის რა ამ გარემოებიდან, რაიკომის პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია რუნდაევს, დუბნერს, ევსტიგნეევსა და ბარანოვს გაფრთხილებულ იქნენ, ამასთან მოხსნილ იქნან საპასუხისმგებლო თანამდებობებიდან. რაც შეეხება ტანხელსონს, მისი საქმე გადასცეს აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) საფაბრიკო-საქარხნო რაიკომს და ეთხოვოს აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიას— სასწრაფო წესით განიხილოს ეს საქმე. ეთხოვოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს რიგს გარეშე სასამართლოს წესით გაირჩეს სესინის, პავლოვის და ტანხელსონის საქმე. რაიკომის პრეზიდიუმის ეს დადგენილება განხილულ იქნას უჯრედების აქტივებზე და რაიკომის პლენუმზე, რაიონის აქტივთან ერთად, და ამნაირად უზრუნველყოფილ იქნას თვითკრიტიკის შემდგომი გაშლა, ვისაც არ უნდა ეხებოდეს კრიტიკა; გაგრძელდეს მუშაობა ორგანიზაციის შემოსაკრებად რაიკომის გარშემო აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) კომიტეტისა, ც. კ.-ისა, და საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის იმ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომლებიც შეეხებიან უმსგავსოებს, ყოფა - ცხოვრებითი გახრწნას, პრაქტიკულ მემარჯვენე გადახრას, თვითკრიტიკისათვის ხელის შეშლის შემთხვევებს და სხვა ავადმყოფურ მოვლენებსა და დეფექტებს. (ადს).

უჯრედების გამოძახილი

ბაქო, 22 ივლისი. ლენინის რაიკომის დადგენილება ზაგულბაში მომხდარი უმსგავსოების შესახებ განხილულ იქნა 12 უჯრედში. რაიკომის გადაწყვეტილებას შეუერთდა და მიღებულ გადამჭრელ ზომებს მიესალმა ყველა უჯრედი. (ადს).

ხულიგნები გამორიცხული არიან პარტიიდან

ბაქო, 22 ივლისი. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიამ მოისმინა ლენინის რაიონის მდივნისა და პროკურატურის ცნობა ლოთობის ნიადაგზე წარმოშობილი იმ სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ, რომელიც ჩაიდინა ლენინის რაიონის პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკთა ჯგუფმა, და დაადგინა: **დადასტურებულ იქნას ლენინის რაიკომის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პარტიიდან გამორიცხულ იქნან სესინი, პავლოვი, ტანხელსონი და სამუშაოდან მოხსნილი იქნას მუშაკთა მთელი ჯგუფი: სესინი, პავლოვი, ტანხელსონი, რუდნაევი, დედნერი და სხ.** ყველა სასამართლოს პასუხისგებაში იქნან მიცემული. პროკურატურას წინადადება მიეცა —დაამთავროს ამ საქმის გამოძიება 48 საათის განმავლობაში და მოაწყოს საჩვენებელი პროცესი ლენინის რაიონში. იმავე დროს პარტკოლეგია აღნიშნავს, რომ ლენინის რაიონის პასუხისმგებელ მუშაკების მიერ ჩადენილი დანაშაული არაჩვეულებრივია აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ისტორიაში და მოითხოვს, რომ ის მეტად სასტიკად გაკიცხოს მთელმა ორგანიზაციამ. (ადს).

საჭიროა რადიკალური გარდატეხა

ის სკანდალი, რომელიც საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშათა ყრილობის ფრაქციაზე მოხდა, ერთგვარ ზოგად გაშუქებას საჭიროებს. ეს სკანდალი შემთხვევითი როდია. იგი ახასიათებს ისეთ ზნეჩვეულებათა არსებობას ჩვენს წრეში, რომელთა მიფუჩეჩება შეუძლებელია. მთელი ამ „არასასიამოვნო ისტორიიდან“ მოგვყავს მხოლოდ ერთი ფაქტი: კომკავშირის გაზეთის რედაქტორმა შეურაცხყოფილად ჩასთვალა თავისი თავიც და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, კომკავშირიც, იმიტომ, რომ ის ყრილობის პრეზიდიუმში არ აირჩიეს.

რას მოწმობს ეს? ეს, უწინარეს ყოვლისა, მოწმობს იმას, რომ ჩვენს წრეში ვითარდებიან ისეთი ზნეჩვეულებანი, რომელთაც კომუნიზმთან არაფერი აქვთ საერთო. შეცდომა იქნება იმის ფიქრი, რომ ასეთ ზნეჩვეულებებს მხოლოდ კომკავშირის წრეში აქვს ადგილი. კომკავშირელები ცუდ მაგალითს იღებენ პარტიულ ორგანიზაციებიდან. დააკვირდით ყოველი თათბირის ან ყრილობის მუშაობას, დააკვირდით ყველა ჩვენი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობას. ზოგჯერ შეკრებილთა ნახევარზე მეტი შედის პრეზიდიუმში, სამდივნოში, სარედაქციო კოლეგიაში და ორგანოებში. ხოლო დანარჩენ ნახევარში ბევრი უკმაყოფილოა: რატომ არსად არ აგვირჩიესო. ახლა რამდენი უკმაყოფილებაა ამა თუ იმ ორგანიზაციის არჩევნების დროს! რამდენი ისტერიკა, „ოტსტავკები“ და სხვა უმსგავსოება!

უნდა ითქვას, რომ ჩვენი პრაქტიკა ამ საკითხში უკანასკნელ წლებში უმცირესი წინააღმდეგობის ხაზით მიდის. სამდივნოში ირჩევენ პირებს და წინდაწინვე იციან, რომ არჩეული ამხანაგები სამდივნოში ვერ იმუშავებენ, ასევე სარედაქციო კოლეგიაში და სხვ. როდესაც უმცირესი წინააღმდეგობის ხაზით მივდივართ, ჩვენ თვითონ ვუწყობთ ხელს ისეთ ზნეჩვეულებათა დამკვიდრებას, რომელნიც საეჭვოა, რომ კომუნისტურად ჩაითვალონ. ზოგჯერ საქმე იქამდე მიდის, რომ იმართება „დისკუსია“ იმის შესახებ, თუ რატომ უჭირავს X-ს სიაში მეხუთე ადგილი, ხოლო У-ს მეექვსე. ახალგაზრდობა ბაძავს ყოველსავე ამაში დიდებს და ამით თავის წრეში ისეთ ზნეჩვეულებებს ამკვიდრებს, რომელნიც ზოგჯერ საუცხოვო ახალგაზრდა რევოლიუციონერებსაც კი ამახინჯებენ კომკავშირის ახალგაზრდობის ბანაკში.

კომკავშირის გაზეთის რედაქტორი არ აირჩიეს საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშათა ყრილობის პრეზიდიუმში და ამ გარემოებას იგი განმარტავს, როგორც საქართველოს კომკავშირის შეურაცხყოფას. კიდევ მეტი, რედაქტორი, რომელიც პრეზიდიუმში არ აირჩიეს, „თვითკრიტიკის“ წესით დევნას უწყებს იმას, ვინც გაბედა და ხელი შეუშალა ისეთ მნიშვნელოვან აქტს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ისტორიაში, როგორიც არის კომკავშირის გაზეთის რედაქტორის პრეზიდიუმში არჩევა. რას ჰგავს ეს? რა ზნე - ჩვეულებაა ეს? რა დროიდან დაიწყეს ჩვენში ხელმძღვანელობა ისეთი ტრადიციებით, რომელთაც ძველი, ისტორიულად გარდასული დროის „საუკუნეთა მტვერი ჰფარავს? ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანო და კომკავშირის ორგანიზაციები, რომლებსაც ბევრი წარმატება აქვთ თვითკრიტიკის გაშლის საქმეში, გადაჭრით გაილაშქრებენ ამ ზნეჩვეულებათა წინააღმდეგ.

მაგრამ ბრძოლა ამ [illegible] ანტიკომუნისტურ ზნეჩვეულებებთან კომკავშირიდან როდი უნდა დაიწყოს. ეს პრობლემა გადაჭრით უნდა დაისვას ჩვენს პარტიაში. ამ უკანასკნელ დროს მაზრების ხელმძღვანელი ამხანაგებიც ხუთ - ექვს საათიან მოხსენებებს აკეთებენ. და ეს მაზრის ხელმძღვანელ მუშაკთა ერთ-ერთ მთავარ მიღწევად ითვლება. რას ფიქრობს აუდიტორია, როგორ უყურებს იგი ამ „მიღწევებს“ — ამაზე ჩვენში ცოტას ფიქრობენ, რადგან ეს „არაფერია“. საქმე უნდა დაიწყოს არა კომკავშირიდან, თუმცა მის რიგებშიაც უნდა ვაწარმოოთ უაღრესად სასტიკი ბრძოლა, ვინაიდან ჯერ არავის არ დაუმტკიცებია, რომ უმცროსებმა მხოლოდ უარესი უნდა გადმოიღონ უფროსებისაგან და არა უკეთესი. კომკავშირელები ხომ უფროსები არიან პიონერთა თაობასთან შედარებით. და განა ცოტაა ჩვენში ისეთი შემთხვევები, რომ პიონერები უარესში ბაძავენ კომკავშირს და არა უკეთესში?

ჩვენ ულმობელი სიმკაცრით ვანადგურებდით და ვანადგურებთ ყოველივე იმას, რასაც ეყრდნობოდა ძველი ექსპლოატატორული საზოგადოება, ზნეობისა და კომუნისტური მორალის საკითხები ჩვენ მიგვაჩნია კლასობრივი ბრძოლის საკითხებისადმი დაქვემდებარებულად. თავის სიტყვაში „ახალგაზრდობის კავშირის ამოცანების შესახებ“ ლენინი აცხადებდა:

> **„ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი ზნეობა სავსებით ექვემდებარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს. ჩვენი ზნეობა გამომდინარეობს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებიდან“.**
>
> **„კლასობრივი ბრძოლა გრძელდება და ჩვენი ამოცანაა — ყველა ინტერესი დაუქვემდებაროთ ბრძოლას და ჩვენ ჩვენს კომუნისტურ ზნეობას ამ ამოცანას უმორჩილებთ.**
>
> **ჩვენ ვამბობთ: ზნეობა ის არის, რაც ემსახურება ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების დანგრევას და ყველა მშრომელის გაერთიანებას პროლეტარიატის ირგვლივ, რომელიც ჰქმნის ახალ საზოგადოებას, კომუნისტთა საზოგადოებას“...**
>
> **„კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის“.**

დღეს კომკავშირის გაზეთის რედაქტორი, რომელიც პრეზიდიუმში არ აირჩიეს, და რომელმაც კომკავშირი ჩასთვალა შეურაცხყოფილად, დაუფიქრდეს იმას, რასაც ლენინი ამბობდა. შეეფერება თუ არა კომუნისტურ მორალს კომკავშირელთა ის საქციელი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ყრილობის ფრაქციაზე? ხომ არ აცოცხლებს ეს აქტი იმ ძველი საზოგადოების ტრადიციებს, რომლის საფუძვლებსაც ყოველდღე ამსხვრევს იგივე გმირული კომკავშირი—პარტიის საუკეთესო თანაშემწე საზოგადოების გარდაქმნისათვის ბრძოლაში ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე?

ბრძოლაში ისეთ ფაქტებთან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ყრილობის ფრაქციაზე, პირველ რიგში **გადაჭრით უნდა იბრუნონ პირი** ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა. კომკავშირმა, თავის მხრივ, გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ამ მოვლენებს მთელი იმ ენერგიით, რომელიც კომკავშირს ახასიათებს, ვინაიდან ეს მოვლენები დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებს, ახალი სოციალისტური საზოგადოების შექმნის ამოცანებს.

რუბენი.

ბაქოს პროლეტარიატი ემზადება 1-ლ აგვისტოსათვის

ბაქო, 22 ივლისი. იმ რევოლიუციონურ აქტივობას, რომელითაც ბაქოს საწარმონი და ქარხნები შეხვდნენ შორეული აღმოსავლეთის ამბებს, მოჰყვა ფართო კამპანია საერთაშორისო წითელი დღისათვის მოსამზადებლად. ამ მოძრაობაში ჩაბმულია ყველა პროფკავშირი, მთელი მუშური საზოგადოებრიობა. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის ინიციატივით, 24 ივლისი დაინიშნა აგიტაციის დღედ. ამჟამად 12 საწარმოში მუშებს უკვე შეაქვთ თავიანთი ხელფასის 2 პროცენტი „1-ლი აგვისტოს თავდაცვის“ ფონდში. მეშალაროები და მელითონეები აწყობენ საზეიმო შეხვედრას საშფო სამხედრო ნაწილებთან. მუშათა კლუბები, იმპერიალისტური ომის 15 წლის თავის გამო, ამზადებენ ლიტერატურას და სცენებს. ენერგიულად ემზადებიან ნაციონალურ უმცირესობათა კლუბები, მათ შორის ჩინური კლუბი, რომელიც ამას წინად მოეწყო. მიტინგებად დემონსტრაციები მოეწყობა ყველა დაბასა და დიდ სოფელში. მიწა-ტყის მუშაკთა პროფკავშირი ემზადება სოფლის მოჯამაგირეთა შორის საერთაშორისო დღის ჩასატარებლად. (ადს).

წინასწარი ხელისმოწერა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე

განჯა, 22 ივლისი. დიდის აღფრთოვანებით მიმდინარეობს წინასწარი ჩაწერა ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე. მაუდის ფაბრიკაში „წითელ აზერბეიჯან“-ში ხელის მოწერით შეიკრიბა 3.000 მანეთი. ქალაქის ბანკისა, საფინანსო განყოფილებისა და დამზღვევი სალაროს თანამშრომლები სესხზე ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობით აწერენ ხელს. მათმა ხელის მოწერამ უკვე გადააჭარბა 12.000 მანეთს (ადს).

აღმაშფოთებელი მკვლელობა

ბაქო, 22 ივლისი. 18 ივლისს, შუაღამისას, აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს საექსკურსიო ბაზაში მოჰკლეს ბაზის გამგე—დაწინაურებული მუშა ამხ. მიხეილ სელეევი.

მკვლელობა ჩადენილ იქნა აღმაშფოთებელ პირობებში. ღამის 12 საათზე ამხ. სელეევი წავიდა იმის შესამოწმებლად — სძინავთ თუ არა ექსკურსანტებს. წყლის მუშაკ-ექსკურსანტთა ჯგუფმა, რომელიც ქეიფის გუნებაზე იყო, არ მოისურვა დაშლა. ამხ. სელეევმა გადაჭრით მოსთხოვა მათ — დაშლილიყვნენ. მაშინ ერთმა ექსკურსანტმა იძრო ნაგანი და ესროლა ამხ. სელეევს. ტყვიამ სელეევს თავის ქალა გაუხვრიტა. ამხ. სელეევი იქვე დაეცა. ხულიგნური კამპანია სასწრაფოდ დაიშალა, ხოლო ექსკურსიის ხელმძღვანელს არ სურდა გაეცა მკვლელი. მკვლელი აღმოჩნდა ნიკოლოზ ზლობინი, წყლის მუშაკთა კავშირის წევრი, პარტიული. ზლობინმა განაცხადა —ძალიან მთვრალი ვიყავიო. მაგრამ ამან მას ხელი არ შეუშალა. მკვლელობის შემდეგ ბაღში გაქცეულიყო და რევოლვერი მიწაში ჩაეფლა. მხოლოდ დილით, როდესაც ექსკურსანტებმა მთელი ბაღი გადათხარეს, აღმოაჩინეს ზლობინის რევოლვერი. რევოლვერში შვიდის ნაცვლად მხოლოდ 6 ტყვია აღმოჩნდა. მიხეილ სელეევი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოში როგორც შრომის სასახლის მონტიორი, ხოლო უკანასკნელი არჩევნების დროს გაყვანილ იქნა ბაქოს საბჭოს დეპუტატად. ამხ. სელეევი ყველასათვის საყვარელი, ხოლო, როგორც პარტიული, უმწიკვლო იყო. (ადს)

უძველესი საფლავების აღმოჩენა

ლენინაკანი, 21 ივლისი. ქალაქ ლენინაკანში განათლების მუშაკთა სახლის საძირკვლის ჩაყრის დროს აღმოჩენილ იქნა 4 დიდი საფლავი. თითო საფლავის სიგრძე 4 მეტრს უდრის. საფლავებში იპოვნეს ადამიანის ძვლები, თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ნატეხები, გათხრას ხელმძღვანელობს ერევნის სახელმწ. მუზეუმის წარმომადგენელი. (ადს).

ზღვის მსხვერპლი

(დეპეშით საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ზუგდიდი, 22 ივლისი. ანაკლიაში შავმა ზღვამ გამორიყა აუარებელი დამხრჩვალი, მათ შორის არიან ქალი და ბავშვი. ზღვამ გამოჰყარა სახლის ნანგრევები, ავეჯი და თოფები. იუწყებიან, რომ თოფები თათრულია. გამორიყულთა რიცხვი დიდია.

ა. კოდუა.

24 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი იწვევს

ფართო პარტიულ თათბირს

თბილისში და მის ოლქში კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის საკითხის განსახილველად.

დღის წესრიგშია:

1) წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სამწლიანი გეგმა (თბ. პოლიტგანი),
2) კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა (თბ. განათლების განყოფილება).

თათბირს უნდა დაესწრონ საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილების, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას, თბ. კომიტეტის, რაიკომების, კომკავშირის ცეკას, თბ. კომიტეტის და რაიკომების წარმომადგენლები, მსხვილი უჯრედების აგიტპროპორგანიზატორები, კომუნისტი - პედაგოგები, აგრეთვე განათლების სახ. კომისარიატის, განათლების განყოფილების, მთ. პოლიტგანის და თბ. პოლიტგანის კომუნისტი-მუშაკები, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების, კავშირების ყველა ცენტრ. გამგეობის კულტგანყოფილების გამგეები, მუშკოოპის, ცეკავშირის, სარეწაო კოოპერაციის, ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების და „წერა-კითხვა“-ს კულტმუშაკები.

თათბირი გაიმართება განათლების მუშაკთა სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააცხოველოთ კულტურული მუშაობა

კულტმუშაობა თბილისის ალმასკომის მუშა-მოსამსახურეთა შორის მოისუსტებს

სახლის პატრონი ხელს უშლის სკოლის მუშაობას

მე-10 შრომის სკოლა ემსახურება ღარიბ მუშების შვილებს, რომელთა რიცხვი ამ სკოლაში თანდათან იზრდება და ამჟამად აღწევს ოთხასს. ის მოთავსებულია ლენინის უბანში ბრიგადირის და აუზის ქუჩების კუთხეში, ალექსანდრე ბოიარსკის სახლში. სახლის პირველ სართულში ცხოვრობენ თვითონ სახლის პატრონი და სხვა კერძო პირები, ხოლო მეორე სართული უჭირავს სკოლას, რისთვისაც იღებს 106 მანეთს.

სკოლა განიცდის დიდ გაჭირვებას და მასში ნორმალური მეცადინეობის დაცვა შეუძლებელი ხდება. სიძნელე გამოიხატება იმაში, რომ მარტო მეორე სართული ვერ იტევს ბავშვებს მიუხედავად იმისა, რომ შემოღებულია ორცვლიანი მეცადინეობა. აივანს არა აქვს გალერეა, სადაც შეიძლებოდეს ბავშვების გასეირნება დასვენების დროს, კიბე უვარგისია და საფრთხეს უქადის ბავშვებს; ორი დასაც უვარგისი საპირფარეშო არ არის საკმარისი. ზამთრის აუტანელ ყინვებში კუდება საპირფარეშოსთან. სკოლის შენობას ესაჭიროება შეკეთება და სხვ.

გარდა ამისა საბინაო დეკრეტით უკმაყოფილო სახლის პატრონი ბოიარსკი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს აიძულოს როგორც სკოლა აგრეთვე საბჭოთა მუშა-მოსამსახურენიც გაანთავისუფლონ შენობა. ამიტომ ის მტრულად იქცევა: სცემს ბავშვებს, აგინებს, ლანძღავს გამგეს, მასწავლებლებს და სხ. მუდამ დარღვეულია სკოლაში წესრიგი და მყუდროება.

ამ არანორმალურ გარემოებას, სკოლასთან არსებულმა დამხმარე საბჭომ თავის დროზე მიაქცია ყურადღება და მრავალჯერ აღძრა შუამდგომლობა განათლების განყოფილების წინაშე და სთხოვა სკოლას მიქცეოდა სათანადო ყურადღება. ის მოითხოვდა სკოლის შენობის გაფართოებას კერძო პირების გამოსახლების საშუალებით. შენობის სათანადოდ შეკეთებას, აივანზე გალერიის გაკეთებას და საპირფარეშოების გამრავლებას. საბჭომ ასეთი განცხადება განიმეორა რამოდენიმეჯერ, მაგრამ ამაოდ, განათლების განყოფილებამ განაცხადა, რომ სახლი კერძო პირს ეკუთვნის და სხვის სახლზე ხარჯების გაწევა განყოფილებას არ შეუძლიაო. განათლების განყოფილება პირდება სკოლას, რომ აღძრულია შუამდგომლობა თბილისში კერძო პირებიდან ოცი სასკოლო შენობის შესყიდვაზე, რომელ-რიცხვშიც შედის მე-10 შრომის სკოლის შენობაცო; ეს საკითხი იმყოფება უმაღლეს ორგანოებში, საიდანაც პასუხის მიღებისთანავე თქვენი თხოვნა დაკმაყოფილდებაო, მაგრამ ვერც ამას ველირსეთ. შემდეგ ჩატარდა სახლების ჩამორთმევაც. გვეგონა ახლა მაინც მოეწყობოდა ამ სკოლის საქმე, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა, ბოიარსკი იღბლიანი კაცი გამოდგა და სახლი დარჩა სიაში შეუტანელი. რა მიზეზით მოხდა ეს, ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ ის კი ვიცით, რომ მის გვერდზე პატარა სახლების შეტანილი,აღმოჩნდენ სიაში და ეს ვეებერთელა სახლი, რომელიც, გარდა სარდაფის და დარაბებისა, შესდგება 18 ოთახისაგან შეუმჩნეველი და ჩამოურთმეველი დარჩა.

დახელოვნებული სახლის პატრონი არც აფერისტობას ერიდება; ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევს მისი შვილი პავლე ბოიარსკი, აი მაგალითიც: ამას წინეთ პავლე ბოიარსკიმ, მამის წაქეზებით რკინის გზის მემუხრუჭე ვინმე კელენჯერიძეს მიაქირავა ერთი ოთახი 250 მანეთად. კელენჯერიძემ ბეთ მისცა 60 მ. ხუთი დღის განმავლობაში ამ ოჯახში დიდი დროების ტარება იყო სხვის ხარჯზე, მაგრამ როდესაც საკითხი ჩასახლებაზე მიდგა, სახლის პატრონმა დამქირავებელი კელენჯერიძე პანღურის ცემით გამოაგდო და უპასუხა: ჩემ შვილს ვინ მისცა უფლება ოთახის გაქირავებისაო. ამრიგად კელენჯერიძეს შეუჭამეს 60 მანეთი.

მერე, ვინ არის ეს ბოიარსკი. ის არის ძველი ხულიგანი, მურტალი ხელობის პატრონი, რომელმაც რკინის გზაზე მწონავათ ყოფნის დროს 40 მანეთი ჯამაგირიდან აიშენა — **45.000 მანეთიანი სახლი.**

დღესაც კარგად აქვს მას საქმე. ამ ოჯახიდან ყველა ესე იგი 4 მსახურობს, თვითონ დიდი ხანი არაა, რაც პენსია დაუნიშნეს და სახლიდანაც **150 მანეთამდე ღებულობს თვეში.**

ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება განათლების განყოფილებამ და ხელისუფლებამ. ოთხასი ბავშის ინტერესი არ უნდა გაიცვალოს ერთი პიროვნების ინტერესში და ეს სახლი უნდა ჩამოერთვას ბოიარსკის, გამოსახლდეს იქიდან ყველა კერძო პირები და შეკეთდეს ისე, რომ სკოლას შეეძლოს თავისუფლად და წყნარად არსებობა.

ხელს აწერს 7 კაცი.

უყურადღებო თეატრი

(ქუთაისი)

ქუთაისის თეატრს ჯერ კიდევ არ ღირსებია თეატრის სახის მიცემა. ყველასათვის ნათელია, რომ ქუთაისი წარსულზე შედარებით დიდათ შეიცვალა: ამუშავდა ქარხნები, ამოძრავდა ყოველი კუთხე ქუთაისის ქალაქის და მისი მაზრის, მაგრამ თეატრი, რომელიც დღემდე სატუსაღოს შენობას წარმოადგენს, სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. დღეს, როდესაც ქუთაისი უკვე ოლქად არის გამოცხადებული, ქუთაისის ალმასკომმა უნდა იზრუნოს თეატრის გაშენებისათვის.

თეატრის ირგვლივ მჭედლები მუშაობენ. მოსალოდნელია ცეცხლის გაჩენა და თეატრის გადაბუგვა, მაგრამ ამას არავინ ყურადღებას არ აქცევს. თეატრში ანტი-სანიტარული მდგომარეობაა გამეფებული; იატაკი დამპალია, ქანდარა უვარგისი; სცენა დიდი და დარბაზი პატარა; სცენის ქვეშ სარდაფი მუდამ წყლითაა სავსე; უბინობის გამო ფუჭდება და ლპება რამოდენიმე ათასი მანეთის ტანსაცმლები და დეკორაციები; არ აქვს „ფოიე“, არც საჰაერო; არ უვარგა სახანძრო მოწყობილობა და სხვა, რაც საგრძნობ დაღს ასვამს თეატრის კეთილ საქმიანობას. არა ერთხელ ყოფილა თეატრის კეთილმოწყობის შესახებ აღძრული საკითხი ალმასკომის წინაშე, მაგრამ არავის ყურადღება არ მიუქცევია. ალმასკომი, არ ზოგავს არავითარ ღონეს და საშუალებას იმისათვის, რომ ექნეს სეზონი კარგი ძალების შემადგენლობით. თეატრი კი, რომელიც უფრო საჭათმეს წარმოადგენს, ვიდრე თეატრს, ამის შესახებ წვრილმან თანხასაც ვერ იმეტებს. დროა თეატრის კეთილმოწყობაზე და მის გაშენებისათვის იზრუნოს ქალაქის ალმასკომმა.

მკალ-ვარდი.

მნიშვნელოვანი ექსკურსია

თბილისის საბჭოს კომუნალური სექციის ბიუროს ხელმძღვანელობით კვირას 20 ივლისს მოეწყო მასიური ექსკურსია ნატახტარში.

დილის 7 საათზე კომუნალური სექციის 120-მდე წევრი ახალი წყალსადენის დირექტორი ამხ. ფარნიევისა და ინჟ. დიასამიძის მეთაურობით გაემგზავრნენ ნატახტარის წყალსადენზე წარმოებული მუშაობის გასაცნობად და დასათვალიერებლად. ექსკურსია მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული და მასიური ხასიათის იყო.

არაგვის ხეობის და მუხრანის ველის გეოლოგიური დახასიათების შემდეგ ამხ. დიასამიძემ საბჭოს წევრებს დაწვრილებით გაცნო წყალსადენის ნაგებობათა ტექნიკური მხარე.

წყალსადენის დათვალიერების შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრენ წყალსადენის მუშები, მოსამსახურეები და ადგილობრივი გლეხობა. ამხ. ხახაშვილი, კომუნალური სექციისა და ბიუროს სახელით მიესალმა წყალსადენის მუშებსა და ტექნიკურ ძალთა შემადგენლობას და აღნიშნა ნატახტარის წყალსადენის აგების უდიდესი მნიშვნელობა, როგორც თბილისის მოსახლეობის, ისე ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთათვის. დირექტორმა ამხ. ფარნიევმა და მუშების, გლეხების და მომუშავე ტექნიკური ძალების წარმომადგენლებმა.

ინჟენერი დიასამიძე განმარტებას აძლევს საბჭოს წევრებს

—:—

მიტინგის დასრულების შემდეგ ექსკურსია გაემგზავრა დუშეთში.

აქ ამხ. ხახაშვილის ინიციატივით კვლავ გაიმართა მიტინგი, რომელმაც მიიღო გრანდიოზული ხასიათი.

ქალაქის ბაღში, უქმე დღის გამო, შეკრებილი იყო დიდძალი გლეხობა ახლო-მახლო სოფლებიდან. თბილისის საბჭოს წევრების ჩასვლა საუცხოვო შემთხვევათ გადაიქცა აქ მიტინგის მოსაწყობად.

მიტინგზე, რომელზედაც გაშუქებული იყო დღევანდელი მომენტი და საბჭოთა რესპუბლიკებში წარმოებული სოციალისტური აღმშენებლობა, მონაწილეობა მიიღო თბილისის საბჭოს წევრების გარდა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და მუშებისა და გლეხების წარმომადგენლებმა. ასე ნაყოფიერად ჩატარდა კომუნალური სექციის ექსკურსია.

ჯაფარ-შაშა.

თბილისის ალმასკომის კომუნალური სექციის მიტინგი ნატახტარში

როდის შეიმუშავებენ პროგრამას

(განათლ. კომისარ. საყურადღებოდ).

თბილისში არსებობს ამხ. ა. ენუქიძის სახელობის ინდუსტრიალური ტეხნიკუმი, რომელიც თავისი ვრცელი და შინაარსიანი პროგრამით ამზადებს და უშვებს თეორეტიულად და პრაქტიკულად საკმაოდ მომზადებულ სპეციალისტებს; მექანიკოსებს, აღმშენებლებს, ელექტრო-ტეხნიკებს და სხვა.

აღნიშნულ სასწავლებელ კურსდამთავრებულთ, პედაგოგიურ საბჭოს მიერ ეძლევათ მოწმობა თავისი სპეციალობაში ტეხნიკოსის წოდებასთან დაკავშირებულ ყოველივე უფლებებით. ამ მოწმობის ძალით კურსდამთავრებულს, სამი წლის პრაქტიკის შემდეგ, უფლება აქვს ჩააბაროს გამოცდა გან. კომისარიატის მიერ სპეციალურად შემუშავებულ პროგრამით და შევიდეს თავისი სპეციალობის უმაღლეს სასწავლებელში. ეს დამტკიცებულია ს.ს.ს.ც.კ. და ს.ს.ს.რ. კომის; საბჭოს მიერ მიღებული № 82 დადგენილებით, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „კომუნისტი“-ს მიმდინარე წლის 2 ივლისის №-ში.

სასწავლებელი 1921 წლიდან სისტემატიურად უშვებს ტეხნიკოსებს, რომელნიც მუშაობენ რესპუბლიკის სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში, მაგრამ ეს მთელი კადრი ახალგაზრდა სპეციალისტებისა, არ არის თავის დანიშნულებისამებრ გამოყენებული. ხშირია შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის ტეხნიკოსი ასრულებს სხვადასხვა სამუშაოს, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ მის სპეციალობასთან. ამას ის სჩადის იმ იმედით, რომ დღეს თუ არა ხვალ გამოვა პროგრამა, რის შემდეგ შეეძლება გარკვეულად ჩამოაყალიბოს თავისი სპეციალობა. მიუხედავად იმისა, რომ 21 წლიდან უკვე მე-9 წელი მიდის, პროგრამა არამც თუ არ არის შემუშავებული, არამედ აზრათაც არავის მოსვლია მისი დამუშავება და შედგენა.

პროგრამის, რაც შეიძლება, ადრე დამუშავება დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს წარმოებას, გარკვეულ გზაზე დააყენებს კურსდამთავრებულთ და ნაწილობრივ შეივსება ის ნაკლი, რომელსაც ადგილი აქვს სპეციალისტების რიცხვობრივ სიმცირის გამო. კურსდამთავრებულები, საკმაო თეორიასთან ერთად ფართოდ არიან გაწვრთნილნი პრაქტიკულადაც, როგორც უფრო მჭიდრო კავშირში მყოფნი მუშურ მასასთან. მათი რაციონალურად გამოყენება დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს მეურნეობას.

სათანადო ორგანომ უნდა მიიღოს ზომები ამ პროგრამის შესამუშავებლად.

ა. გუჯიაშვილი.

ამერიკელი მოგზაურები თბილისში

თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკელი მოგზაურები—ლეზლი ვან-დიუზენი და პატიკ დონალდი, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარონ დედა მიწის გარშემო შემოვლაში. ისინი მიემგზავრებიან ნიუ-იორკიდან ატლანტიკის ოკეანეთი და უკან ნიუ-იორკშივე უნდა დაბრუნდნენ წყნარი ოკეანეთი.

მათი მარშრუტი ასეთია: ნიუ-იორკი—ლიონი - პარიზი - ბერლინი - ვარშავა -თბილისი -თეირანი - კალკუტა - ჰონგ-კონგი, ახალი გვინეის კუნძულები და ნიუ-იორკი.

თავის მოგზაურობისას ისინი სარგებლობენ იმ სატრანსპორტო საშუალებებით, რომელიც არის ამა თუ იმ ქვეყანაში. კერძოთ, ევროპაში და საბჭოთა კავშირში მათ იმგზავრეს ჰაეროპლანებით, სპარსეთში განზრახული აქვთ რკინის გზით მოგზაურობა, ხოლო ინდოეთში მოუხდებათ ფეხით სიარულიც.

ნიუ-იორკიდან აღნიშნული მოგზაურები გამოვიდნენ ერთი თვის წინათ ხოლო პარიზი დასტოვეს 18 ივლისს.

მათი ვარაუდით დედამიწის გარშემო შემოვლას ისინი მოასწრებენ სამ თვეში.

იტალიელი ალპინისტების ჩამოსვლა

გუშინ დილით თბილისში ჩამოვიდა იტალიელი ალპინისტების ექსპედიცია დოქტორ ანდრეა პოლიტიარის და ვლადიმირო დოუგანის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ ექსპედიციას დავალებული აქვს იალბუზზე და კავკასიონის შეუსწავლელი მწვერვალებზე ასვლა სხვადასხვა დაკვირვებების მოსახდენად.

ექსპედიციის ხელმძღვანელმა ანდრეა პოლიტიარიმ ექსპედიციის მიზნების შესახებ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— იტალიელი ალპინისტებისათვის, ჯერჯერობით უცნობია კავკასიონის ქედის უდიდესი ნაწილი. კავკასიონის ქედი კი ალპინიზმის თვალსაზრისით ყველაზე უფრო საინტერესოა და წარმოადგენს ისეთ ადგილს, სადაც შესაძლებელია მომავალ საგულისხმო სამეცნიერო ხასიათის დაკვირვებათა მოხდენა.

ჩვენი ექსპედიცია მოწყობილი და გამოგზავნილია იტალიელ ალპინისტების კლუბის ინიციატივით. ექსპედიციის წევრები კი შეარჩია ტრიესტის კლუბმა. ჩვენი მთავარი მიზანი მარტო იმაში არ მდგომარეობს, რომ იალბუზის მწვერვალზე ავიდეთ. ჩვენ განზრახვა გვაქვს ავიდეთ და გამოვიკვლიოთ კავკასიონის ქედის ისეთი მწვერვალებიც, რომლებზედაც ჯერ არ ყოფილა ადამიანი და რომლის შესახებაც ალპინისტურ ლიტერატურაში არ არის ცნობები.

გარდა ამისა, იტალიელ ალპინისტების კლუბის საკლიმატიზაციო სექციამ ჩვენ დაგვავალა რამდენიმე საკითხის შესწავლა, რისთვისაც საჭირო იქნება შევისწავლოთ კავკასიონის ქედის ალპიური ზონის ფლორა და ფაუნა.

ჩვენი ექსპედიციის მუშაობა გასტანს დაახლოვებით 2 თვენახევარს. დიდი სურვილი გვაქვს ვინახულოთ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებსაც შეუძლიანთ ჩვენთვის საჭირო ცნობების მოწოდება და დახმარების აღმოჩენა.

23 ივლისს დილით ჩვენი ექსპედიცია გაემგზავრება ნალჩიკისაკენ, საიდანაც გავემართებით იალბუზზე ასასვლელად.

გლეხკომების მუშაობის გასაუმჯობესებლად

(თათბირი ა.-კავკასიის ცაკში)

20 ივლისს ა.-კ. ცაკში გაიხსნა ამიერ-კავკასიის გლეხკომების წარმომადგენელთა თათბირი. გლეხკომების მორიგი ამოცანების შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის სოფლად მუშაობის განყოფილების წარმომადგენელი ამხ. ტაგიევი, რომელმაც აღნიშნა, რომ დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ყურადღება მიპყრობილია სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციაზე, გლეხკომებს, როგორც მშრომელი გლეხობის მასიურ ორგანიზაციებს სოფლად, ეძლევათ განსაკუთრებული მნიშვნელობა. მათ ეკისრებათ პარტიისა და ხელისუფლების ხაზის სწორად გატარება სოფლად, ხელის შეწყობა სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნისათვის და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ გლეხკომები საგრძნობლად გაიზარდნენ და მოღონიერდნენ, მათ მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს: ძირითადი ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ არიან ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული; ნათლად არა აქვთ გათვალისწინებული თავისი ამოცანები; სათანადოდ ვერ აფასებენ კლასთა ბრძოლას სოფლად; ღარიბი გლეხობის მანქანა-იარაღებით უზრუნველყოფის საქმეში ვერ იჩენენ სათანადო ინიციატივას; ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ღარიბი და საშუალო გლეხობის საწარმოო გაერთიანებას; გლეხკომების მუშაობაში შემჩნეულია კომერციული გადახრა: სუსტად არის დაყენებული საზოგადოებრივი მუშაობა (სხვადასხვა კამპანიებში მონაწილეობა) და სხვა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ორგანიზაციულ ზრდასთან და ეკონომიურ გაძლიერებასთან ერთად გლეხკომებმა უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღონ და გააძლიერონ კოლმეურნეობათა მშენებლობა: ხელი უნდა შეუწყონ კოლექტიურ დამხმარე საწარმოთა მოწყობას (შემკეთებელი სახელოსნოები, გამქირავებელი პუნქტები და სხვ.); აქტიური მონაწილეობა მიიღონ სესხების რეალიზაციის საქმეში; გლეხკომებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ ღარიბი და საშუალო გლეხობისათვის დანიშნული სესხი არ მიეცეს შეძლებულ გლეხს და რომ გაცემული სესხი დანიშნულებისამებრ იქნეს გამოყენებული; გლეხკომების საწარმოებში უმთავრესად უნდა მიიზიდონ ღარიბი და საშუალო გლეხობა; მოაწყონ სას. მეურნეობს პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოები და სხვ.; ხელი უნდა შეუწყოს კონტრაქტაციის პოპულარიზაციას და ჩატარებას; აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მშრომელი გლეხობის სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციაში შეკავშირების საქმეში და ამ მიზნის განსახორციელებლად უნდა შექმნან ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში შესაკავშირებელი ფონდი; გლეხკომებმა თავის მიზნად უნდა დაისახონ პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებათა და დირექტივების თავის დროზე განხორციელებისათვის პრაქტიკულად ხელის შეწყობა.

გლეხკომების წარსული მუშაობის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდნენ ადგილების წარმომადგენლები. მოსმენილი იქნა აგრეთვე მოხსენებები გლეხთა სახლების მუშაობის შესახებ.

როგორც მოხსენებიდან და აგრეთვე კამათიდან გამოირკვა, თუმცა გლეხკომები დღითიდღე იზრდებიან და ძლიერდებიან, მაგრამ მათ მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს დეფექტებს. ეს დეფექტები უმთავრესად ხელმძღვანელობის სისუსტის შედეგია. რესპუბლიკანური ცენტრი გლეხკომებს მეტად სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ, ხოლო ადგილობრივი მუშაკები ზოგჯერ სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ამ ორგანიზაციას. ადგილობრივი საბჭოები დროგამოშვებით ისმენენ გლეხკომების მოხსენებებს, მაგრამ ამას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოსდევს, ვინაიდან მოხსენებას „იღებენ ცნობად“ და ამით კმაყოფილდებიან. გარდა ამისა, გლეხკომებში სამუშაოდ ხშირად იგზავნებიან შეუფერებელი და მოუმზადებელი მუშაკები.

გლეხკომებისადმი სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ არც სამეურნეო და სახელმწიფო ორგანიზაციები. გლეხკომებს ათანაბრებენ სამეურნეო ორგანიზაციებთან და აწერენ საგრძნობლად დიდ გადასახადებს. სას.-სამ. კოოპერაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს გლეხკომებთან არსებულ სას.-სამ. გაერთიანებების უზრუნველყოფას მანქანა-იარაღებით; გლეხკომების მუშაკებს ტვირთავენ სხვადასხვა დავალებებით და სხვ.

ამხანაგები საჭიროდ სცნობენ გლეხკომებში პროლეტარული გავლენის გაძლიერებას და გლეხკომების ამიერ-კავკასიის ბიუროს მოწყობას, ა.-კ. გლეხკომის მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

კამათის დამთავრების შემდეგ 22 ივლისს საღამოს მოსმენილი იქნა ამხ. ტაგიევის საბოლოო სიტყვა, შემდეგ განხილულ და დამტკიცებული იქნა რეზოლიუცია და პრაქტიკული ღონისძიებები გლეხკომების და გლეხთა სახლების მუშაობის გასაუმჯობესებლად, რის შემდეგაც თათბირი დაიხურა.

ნათესების მდგომარეობა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს ცნობით, ახალციხის მაზრაში მოსავალი დაზიანებულია სეტყვით. ბორჩალოს მაზრის დაბლობ ადგილებში სწარმოებს პურეულის მოსავლის აკრეფა; სენაკის მაზრაში ხორბლისა და ჭვავის აკრეფა დამთავრდა, დესეტინაზე მოვიდა ხორბალი 35 და ჭვავი 40 ფუთი. მაზრაში დაიღუპა 255 ჰექტარი სიმინდის ნათესი. შორაპნის მაზრაში 80 ჰექტარ ვენახის 60 პროცენტი ვააფუჭა სეტყვამ.

15 ივლისისათვის პურეულის ნათესები მთელ საქართველოში საშუალოდ შეფასებული იყო 3,4 ნიშნათ. შემოდგომაზე ნათესი ხორბალი—3,7, გაზაფხულზე ნათესი ხორბალი—3,3, შემოდგომის ქერი—3,9, გაზაფხულის ქერი—3,4, სიმინდი—3,3, შემოდგომის ჭვავი—2,9, ბამბა—2,9, თამბაქო—2,2, ვენახები—3,5, ხილის ბაღები—2,6 და სათიბები—3,7.

ა. კ. სახკომსაბჭოში

ბათუმის კანალიზაცია

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ განიხილა და მოიწონა ამიერ-კავკ. საამშენებლო კომიტეტის მიერ შემუშავებული ბათუმის კანალიზაციის პროექტი.

ძველი ქართული ხელოვნების გამოფენა გერმანიაში

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო გერმანიაში ძველი ქართული ხელოვნების გამოფენის მოწყობა, ამიერ-კავკ. ფინსახკომს წინადადება მიეცა გამონახოს ამ საქმისთვის საჭირო თანხები.

გეოლოგიური კომიტეტის ამ.-კავკ. განყოფილება

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ საჭიროდ ცნო, რომ ამიერ-კავკ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან მოეწყოს საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გეოლოგიური კომიტეტის განყოფილება.

საქ. ეკონომსაბჭოში

საავადმყოფოს აგება ქ. ზუგდიდში

საამშენებლო-ტეხნიკურ კომიტეტის დასკვნის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ქ. ზუგდიდში საავადმყოფოს შენობის აგების პროექტი.

წინადადება მიეცა ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს შეიტანოს ხსენებულ საავადმყოფოს შენობის ასაგებად საჭირო სახსარი თავის 1929—30 წ. ბიუჯეტში.

ამასთან ერთად წინადადება მიეცა საქართველოს კომუნალურ ბანკს ხსენებულ საავადმყოფოს ასაგებად საჭირო თანხები გაითვალისწინოს ბანკის 1929—30 წ. საკრედიტო გეგმაში.

სარემონტო სახელოსნოების გამოკვლევა

ეკონომიურ საბჭომ დაამტკიცა მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ სარემონტო სახელოსნოების გამოკვლევის თაობაზე გამომუშავებული ღონისძიებანი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და „სოფლის კავშირს“ დაევალათ დაამუშაონ საკითხი ღარიბ გლეხთა მეურნეობისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტის საქმეში შეღავათების დაწესების შესახებ.

მათვე დაევალათ გადასინჯონ სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების ქსელის განვითარების სამწლიანი გეგმა.

წ.-კ. უცოდინარობის წინააღმდეგ

(თათბირი კ. პ. (ბ) 26 კომუნარის სახელობის რაიკომში)

ს. კ. პ. (ბ) 26 კომუნარის სახ. რაიკომში შესდგა ქალთა ორგანიზაციის, შეფორგანიზაციის, უღმერთოთა კავშირის, განათლების ორგანოების და სხვ. წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც გარჩეული იქნა საკითხი წ.-კ. უცოდინარობის და უკულტურობის წინააღმდეგ ლაშქრობის ჩატარების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა რაიკომის აგიტპროპგანყოფილების გამგემ ამხ. საკიანმა, რომელმაც აღნიშნა შემდეგი: ლაშქრობის მიზანს შეადგენს წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა ჩვენი რაიონის კულტურული ძალების საშუალებით. პრაქტიკულად ეს უნდა გამოიხატოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდატორების კადრების გამონახვაში და სალიკვიდაციო სკოლების დაარსებაში. ლაშქრობა უნდა ჩატარდეს კ. პ. (ბ) რაიკომის ხელმძღვანელობით და კომკავშირის ,ქალთა ორგანიზაციის, პროფკავშირის, მასწავლებლობის, გაზეთების რედაქციების და სხვათა დახმარებით. მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩატარდეს პირველ აგვისტოდან—პირველ სექტემბრამდე. ეხლავე საჭიროა შექმნილი იქნეს საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხზე პრესის, თათბირების მოწვევის და სხვ. საშუალებით. ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე უფროსი ჯგუფების მოსწავლე ახალგაზრდობამაც.

საჭიროა ეხლავე შეუდგეთ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე მცოდნეთა, ბინების და ლიკვიდატორთა აღრიცხვას, და ვიზრუნოთ საჭირო სახელმძღვანელო წიგნებით და ხელსაწყოებით სკოლების უზრუნველყოფაზე. გარდა ამისა პოლიტგანის, პროფკავშირების, კოოპერაციის და სხვ. წინაშე უნდა დაისვას საკითხი ამ საქმისათვის საჭირო თანხების გადადების შესახებ.

მეცადინეობა უნდა ტარდებოდეს როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური წესით.

წერა-კითხვის შესწავლა კ. პ. (ბ) და ა. ლ. კ. კ. წევრთათვის სავალდებულო უნდა იქნეს (ვინც არ იცის). მცირემცოდნეთათვის შექმნილი უნდა იქნეს თვითგანვითარების წრეები. წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე ამხანაგები, რომლებსაც არ შეუძლიათ წ. კ. უ. სალიკვიდაციო სკოლების და თვითგანვითარების წრეების მეცადინეობაზე დასწრება, მიმაგრებული უნდა იქნენ მასწავლებლებზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშა-მოსამსახურეთა წერა-კითხვის უცოდინარ ოჯახის იმ წევრთა ჩაბმას სკოლებში, რომლებიც წარმოებაში არ მუშაობენ.

მოხსენების და კამათის დამთავრების შემდეგ თათბირმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა ლაშქრობისათვის მოსამზადებელი მუშაობის წარმოება.

მსოფლიო კონტრ-რევოლიუციას

ეს წრიალი,
ეს „ურა-ურა“-ში,
ეს მწივანი ხმა,
ცეცხლის ალი—
ყოფნის ძვრაში,
თან-სიბნელეც, ღრმა...
  თვალი, ფართოდ
დაღებული,
უბე—სისხლის ტბით,
უკამათოდ,
ალგზნებული
მხეცებია ტყით!
  ეს—ყორნები
მოსწივიან
და მოსდევენ მთებს...
მგელ-ფოცხვერები
მოჰკივიან
ჩვენს წითელ საზღვრებს...
  ეს ხომ შავი
ლაშქარია,
სისხლის მწოველთა ხმა,
სუსხით მწვავი
ზამთარია
იქ, მთებს გადაღმა!..
მარა ჯუბებს ჩავიმოსავთ,
წითელს შარიშურს!
მხნედ ვადევნებთ ჩვენც თქვენს მოსვლას
თვალებსა და ყურს!..
აბა, მთები გადმოსთვალეთ,
მოსწყვდით შრომის ზარს,—
სისხლს გაუშვებთ, თქვენსას, ღელეთ,
მიგვცემთ ნაგუბარს!
  არ ეხუმროთ ჩვენს სიმშვიდეს,
ჩვენი თმენის ძალებს!
ვაი, ის თუ შეგვაწუხეთ,
ვგევართ ცეცხლის ჩარხს!
  თავისთავად, რომ ტრიალებს:
თან სცემს და თან ჰქუხს,
მტრის ურდოს, რომ ატრიალებს,
ავლებს ყველგან მუსრს!
  არ ეხუმროთ: ჩამოდექით,
გაუფრთხილდით თავს!..
ჩვენ თვით გავსჭედთ ჩვენის ბექით
მსოფლიოში ზავს!
შრომის მზე და შრომის მთვარე
მოგვყავს, თან რომ გვდევს;
დღეს იმათ ქვეშ შრომის მხარე
გოლიათს ჰგავს, მდევს!..
  წითელ ჯუბებს გავშლით მზეზე
ვრცელ მეწამულ ზღვად,
მაშინ გვიცნობთ ბრძოლის ველზე,
ძლევად, მტრის რისხვად!
  ჩვენ არა ვართ მარტოდ, მხოლოდ,
მთებზეც, მთებს იქით,
მოძმეებათ, ხსნის სიმბოლოთ
მილიონებს ვსთვლით!
  წითელ ჯუბებს გადავიცვამთ...
ცოშ, მათ შარიშურს!
მხნედ გადევნებთ, მტრებო, ჩვენც თვალთ,
მხნედ გადევნებთ ყურს!..

ნოე ზომლეთელი.

რა ხდება ადგილებზე

აბრეშუმის პარკის დამზადება

ქუთაისი, 21 ივლისი. „აბრეშუმი“-ს დამამზადებელი განყოფილების ცნობით, ქუთაისის მაზრაში დამზადებულია 525.080 კილო აბრეშუმის პარკი, ხოლო შარშან ამავე პერიოდის განმავლობაში დამზადებულ იქნა 720. ათასი კილო. ცუდი მოსავალი წელს აიხსნება ატმოსფერის არახელსაყრელი პირობებით. აბრეშუმის პარკის დამზადება ერთ კვირას კიდევ გაგრძელდება. (ადს).

თემსაბჭოების შეჯიბრება

ზესტაფონი, 21 ივლისი. შეჯიბრების ჩამტარებელმა სამაზრო კომისიამ დასახა მუშაობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებას, მუშაობის გამოცოცხლებას სოფლის მეურნეობის დარგში, მოსახლეობის შეკავშირებას კოოპერაციაში 85 პროცენტით, მოსახლეობის კოლექტივიზაციას და გლეხკომების მუშაობის გაუმჯობესებას. სამაზრო კომისიის გეგმა გამოძახილს ჰპოებს თემსაბჭოებში. კიცხის თემსაბჭომ შეჯიბრებაში გამოიწვია საზანოს თემსაბჭო. საბჭოს პლენუმმა აირჩია 10 დელეგატი და გაგზავნა საზანოში ხელშეკრულების დასადებად. საზანოს თემსაბჭომ გამოწვევა მიიღო. შეჯიბრება დაიწყო. აღნიშნული საბჭოები სცდილობენ გაუსწრონ ერთმანეთს მუშაობაში მთელი გლეხობის აქტიური ნაწილის დახმარებით (ადს).

მედსანშრომის კავშირის კონფერენციის შედეგები

ახალქალაქი, 21 ივლისი. მედსანშრომის კავშირის მე-8 სამაზრო კონფერენციამ განიხილა კავშირის ანგარიში, ჯანმრთელობის განყოფილების ანგარიში და აირჩია ახალი გამგეობა. კავშირის სამაზრო განყოფილების მუშაობა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად სცნო. მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი. კამათის დროს ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მთელ მაზრაში არის 15 ექიმი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მაზრის მოსახლეობის საჭიროებას. კონფერენციამ საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს მიმართა თხოვნით,—არ გამოგზავნოს მაზრაში ისეთი ექიმები, რომლებსაც პრაქტიკა არ აქვთ. კონფერენციამ ჯანმრთელობის განყოფილების ყურადღება მიაქცია, იმას, რომ ექიმები ჩაბმულ იქნან საზოგადო მუშაობაში. (ადს).

სოციალისტური შეჯიბრება მერძევეთა არტელებს შორის

ახალქალაქი, 22 ივლისი. მაზრის 12 სარძეო არტელს შორის გამოცხადებულია სოციალისტური შეჯიბრება. არტელების მიერ შემუშავებული შეჯიბრების გეგმა ითვალისწინებს საწარმოო გეგმების და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების სავსებით შესრულებას. ამასთან ერთად, შეჯიბრების პირობად დასახულია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, არტელების ანგარიშგების მოგვარება, არტელებში გლეხობის ჩაბმა და მეურნეობის კულტურულად გაძღოლა. შეჯიბრების ჩასატარებლად მოეწყო სამეულები არტელების წევრთაგან. შეჯიბრებაში ჩამორჩენილი არტელები შეტანილი იქნებიან შავ დაფაზე.(ადს).

პურის დამზადება

გურჯაანი, 21 ივლისი. კახეთის მაზრაში გეგმით გათვალისწინებულია 3.276 ტონა პურის დამზადება. აქედან 2.784 ტონას დაამზადებს სამომხმარებლო კოოპერაცია, ხოლო 491 ტონას—საკრედიტო კოოპერაცია. ჩაბარებული პურის 50 პროცენტში გლეხობა მიიღებს მანუფაქტურას. ხელშეკრულებით დაკვეთილ (კონტრაქტაცია) პურს და ქერს უკვე აბარებენ მიმღებ პუნქტებში. (ადს).

შირაქის საბჭოთა მეურნეობა

გურჯაანი, 21 ივლისი. შირაქის საბჭოთა მეურნეობა უკვე შეუდგა პურის ლეწვას. შირაქიდან მარცვლეულის გასატანად ტრანსპორტის უქონლობის გამო, მარცვლეულის საგრძნობი ნაწილი სათესლედ დარჩება. (ადს)

მზადება 1 აგვისტოსათვის

ბათუმი, 22 ივლისი. ბათუმის პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ენერგიულად ემზადებიან საერთაშორისო წითელი დღის, საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეულის და ფიზკულტურის ორკვირეულის ჩასატარებლად. მუშები დიდ აქტიობას იჩენენ. პროფსაბჭოს მუშებისაგან მოსდის მრავალი მოთხოვნა, რომ წითელ დღეს მიეცეს განსაკუთრებული მნიშვნელობის და ზეიმის ხასიათი. 27 ივლისს დაიწყება ფიზკულტურის ორკვირეულის კლუბებში მოხსენებები წითელი დღის შესახებ. 1 აგვისტოს გაიმართება მასიური დემონსტრაცია და მიტინგები საწარმოებში. (ადს)

თბილისის საშეფო საზ-ბის მესამე კონფერენცია

გუშინ საღამოს დაამთავრა მუშაობა — თბილისის საშეფო საზოგადოების მესამე კონფერენციამ.

კონფერენციამ შემდეგი ამოცანები დაუსახა საშეფო ორგანიზაციებს: ხელისშეწყობა კოლექტივიზაციისათვის, პროლეტარული გავლენის გაძლიერება გლეხობაზე, ქალაქისა და სოფლის საწარმოო კავშირის შექმნა, კულტმუშაობის გაძლიერება კულტურულად ჩამორჩენილ სოფლებში, სოციალისტური შეჯიბრების კამპანიის გადატანა სოფლად და სხვ.

კონფერენციაზე აღნიშნეს, რომ ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის საშეფო მუშაობის ფართო ნიადაგზე დაყენებას, მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა ორგანიზაციებში (პროფესიონალური კავშირები, კომკავშირი, სხვადასხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებანი) არ უწევენ დახმარებას საშეფო ორგანიზაციებს. მხოლოდ საბჭოთა არჩევნების დროს, პროფკავშირებმა აღმოუჩინეს საშეფო საზოგადოებას დახმარება, რაც გამოიხატა მუშათა ბრიგადების გაგზავნაში სოფლად. მუშათა ბრიგადებმა სოფლად დიდი საქმის გაკეთება შესძლეს. მათ ხელი შეუწყეს ღარიბი და საშუალო გლეხობის დარაზმვას კულაკური და საერთოდ ანტი- საბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ და მტკიცე საფუძველი შეუქმნეს გლეხობისა და მუშების დაახლოების საქმეს.

კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე, 22 ივლისს საღამოს, მოსმენილ იქნა ამხ. ბაგრატ მაჩაიძის მოხსენება პროფკავშირებისა და საშეფო საზოგადოების ურთიერთობის შესახებ. ამხ. მაჩაიძემ აღნიშნა, რომ უკანასკნელ დრომდე პროფკავშირები მართლაც გულგრილად ეკიდებოდნენ საშეფო მუშაობას, მაგრამ ამიერიდან ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს და პროფკავშირები ენერგიულად უნდა ჩაებან საშეფო მუშაობაში. პროფკავშირებისა და საშეფო საზოგადოების წინაშე სოფლად მუშაობის დარგში ერთი და იგივე ამოცანები სდგას.

კონკრეტიულად პროფესიონალურმა კავშირებმა შემდეგნაირი დახმარება უნდა აღმოუჩინონ საშეფო ორგანიზაციებს: თავის ადგილობრივი ორგანიზაციების საშუალებით დაეხმარონ მათ გლეხების შესაკავშირებლად კოლექტივებში, უზრუნველჰყონ კულტმუშაკებით, ხელი შეუწყონ გლეხების დარაზმვას სას.-სამეურნეო კოოპერაციაში და სხვ.

ამხ. მაჩაიძის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუციები და ამოირჩია საშეფო საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭო.

მეცნიერება და ტეხნიკა

წყალტუბოს მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები

წყალტუბოს ყოველმხრივი შესწავლა მხოლოდ ეხლა იწყება. თავისი წყლების არაჩვეულებრივი სიუხვით (დებეტი დღე-ღამეში 2 მილიონ ვედრომდე), ზომიერი სითბოთი და ქიმიური შემადგენლობით (ფიზიკური და ქიმიური თვისებებით), წყალტუბო ევროპის მრავალ ცნობილ კურორტს უთანასწორდება და უსწრებს კიდეც, მაგრამ მოწყობის მხრივ იქ ჯერ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. ეს იმიტომ, რომ ამ კურორტს მხოლოდ ეხლა ექცევა სათანადო ყურადღება და ერთი ხელის დაკვრით ასეთი დიდი საქმის გაკეთება შეუძლებელია. ალბათ ამითვე უნდა აიხსნას, რომ მაგ., წყლების მკურნალობითი მნიშვნელობაც ჯერ არ არის შესწავლილი, გამოკვლევები ამ მხრივ არა ხდება სისტემატიურად და გეგმიანად.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ მხოლოდ ზოგიერთ ქალურ (გინეკოლოგიურ) დაავადებათა მკურნალობას წყალტუბოს წყლებით. ასეთი ავადმყოფები ამ კურორტზე ძლიერ ბლომათ მოდიან, მაგრამ, რადგან ხშირად გაურბიან ასეთ დაავადებაზე ლაპარაკს, ვერ ხერხდება ყოველი ასეთი ავადმყოფების რეგისტრაცია, ხშირად ხდება, რომ ქალი მაგ., მხოლოდ სახსრების ტეხვაზე სჩივის და ქალთა ექიმთან არ მიდის, თუმცა, როგორც ეს შემდეგში გამორკვეულა, ის ქალური ავადმყოფობის გამო უფრო იყო მოსული.

ისიც ხდება, რომ აბაზანების მისაღებად ისეთი ავადმყოფი მიდის, რომელსაც ეს ან სრულებით არ ესაჭიროება ან სწყენს კიდეც.

ამიტომ ზედმეტი არ იქნება გაუზიაროთ მკითხველს ზოგიერთი შეხედულება ამ წყლების მნიშვნელობის შესახებ.

ქალურ დაავადებათა მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ საშვილოსნოს დანამატების (კვერცხსავალი და საკვერცხე) ანთებითი პროცესები. ამ ავადმყოფობის დროს ქალი ხშირად მთელი წლობით იტანჯება და განუწყვეტლივ წამლობაში იმყოფება. ყველაზე უფრო შემაწუხებელი ამ დროს არის სასტიკი ტკივილები წელის, მუცლის ქვედა ნაწილის და საზარდულის არეებში. ამ გაუთავებელი ტკივილების გამო ავადმყოფის შრომის უნარიანობა დაქვეითებულია დიდი ხნით. ხშირად ქალი იძულებულია ლოგინში იწვეს და მოკლებულია მოსვენებას, მადას, ძილს. ტკივილები უფრო მწვავდება თვიურის დროს, ხშირად ქალს ეკარგება შვილოსნობის უნარიც. ეს ტკივილები გამოწვეულია დანამატების ანთებით, რომელსაც შემდეგში, როდესაც პროცესი ხრონიკულ ხასიათს მიიღებს თან დაჰყვება ძლიერი შეხორცებები და შეწებებანი საშვილოსნოს ირგვლივ ეს შეხორცებები ერთმანეთს დაუკავშირებს საშვილოსნოს, მის დანამატებს, ნაწლავებს, და სხვ. ზოგჯერ ვითარდება აგრეთვე ჩირქგროვა კვერცხსავლისა, რომლის ირგვლივაც შემოჯახშულია ყველა მახლობელი ორგანოები. ეს სიმსივნე ხან მამაკაცის მუშტის ოდენა ხდება, ხან კი, როდესაც ქსოვილები ძლიერ არ არის შეცვლილი და დანგრეული, წარმოადგენს მხოლოდ დანამატების გამკვრივებას.

გინეკოლოგს ხშირად უხდება ასეთი ავადმყოფის წამლობა ოპერაციით. მაგრამ ოპერაცია აქ უკანასკნელი საშუალებაა, მანამ კი უნდა სხვა ყოველგვარი საშუალება ამოიწუროს. ამ საშუალებათა შორის წყალტუბოს წყლებს ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს. ხშირად ხდება, რომ პირველი აბაზანების შემდეგვე ავადმყოფის თვითგრძნობა უმჯობესდება, ტკივილები ეკარგება ავადმყოფს, მოსდის ძილი, მადა და სხვ. ზოგჯერ ორგანიზმი რეაქციით უპასუხებს—პირველ აბაზანებს დაჰყვება ტკივილების გამწვავება და სხვ., მაგრამ ისევ მალე იკლებს.

ამას ადასტურებს ყველა გინეკოლოგი, რომელსაც კი წყალტუბოში გამოკვლევა უწარმოებია (მაგ. მგალობელი, ელიაშვილი) და პირადათ არა ერთხელ ვყოფილვარ ამის მოწამე. ხშირად ხდება, რომ საგრძნობი ოდენობის სიმსივნე წამლობის კურსის ბოლოს თითქმის გამქრალი კიდეც (29—30 აბაზანა).

წყალტუბოს წყლების მოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ ის იწვევს ანთებითი ხასიათის შეხორცების, შეწებების და შესიების გაქრობას, გალევას, შესრუტვას. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ წყალტუბოზე თითქმის ყველა უშვილო ქალი მიდის. თუ ეს უშვილობა გამოწვეულია ზემოაღნიშნული ანთებითი პროცესით და თუ ამ პროცესით ძლიერ არ არის დანგრეული შვილოსნობისათვის აუცილებელი ორგანოები (საკვერცხე, კვერცხსავალი), აბაზანების წყალობით ანთებითი მოვლენები უნდა გაქრეს, ნაწიბურები გაილიოს და ქალს შვილოსნობის უნარიც უნდა დაუბრუნდეს ამ თეორიული ხასიათის მოსაზრებას წყალტუბოს წყლები ხშირად სინამდვილეში ფაქტად აქცევენ. მაგრამ ექიმმა ყოველ ცალკე შემთხვევაში წამლობამდე უნდა იცოდეს ავადმყოფის მდგომარეობა.

მეტად საინტერესოა პრივ.-დოც. მგალობელის ახალი გამოკვლევა, წარმოებული წარსულ წელს. ეს გამოკვლევები თუმცა მცირერიცხოვანია, მაგრამ მაინც გარკვეული და საყურადღებო შედეგებია მიღებული. მოხდენილია ცდები კურდღლებზე: ერთი და იგივე დედისაგან შობილი ბაჭიები გაყოფილ იყო ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფს აბანავებდნენ სამკურნალო წყლებში, მეორეს კი ჩვეულებრივ გამთბარ წყალში. ბანაობის გარდა სხვა პირობები—კვება, ბინა და სხვ. ყველა ბაჭიებისათვის ერთნაირი იყო. ერთი თვის შემდეგ ორივე ჯგუფის ბაჭიებს საკვერცხეები ამოჰკვეთეს და აღმოჩნდა შემდეგი: ჯერ უბრალო შეხედვითაც აბაზანებმიღებული (საცდელი) ბაჭიების საკვერცხეები გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე მეორე ჯგუფის (საკონტროლო), რომლებსაც უბრალო თბილ წყალში აბანავებდნენ. მიკროსკოპულმა გამოკვლევამ კი ეს მთლად ცხადჰყო: პირველი ბაჭიების (საცდელი) საკვერცხეები თავისი აგებულებით უდრიდა სამი თვის ბაჭიის საკვერცხეს. მეორე ბაჭიების საკვერცხეების აგებულება კი ეთანაბრებოდა თავის ჰასაკს—ერთი თვის ბაჭიის საკვერცხეს. მაშასადამე, წყალტუბოს წყლები აჩქარებენ საკვერცხეების „მომწიფებას“, ზრდას, იმდენად, რომ ერთი თვის ბაჭიას სამთვიანი ბაჭიის საკვერცხეები აქვს.

დაკვირვებები ავადმყოფებზე სავსებით ადასტურებენ ამ ექსპერიმენტალურად მიღებულ შედეგებს. წყალტუბოში ისეთი ქალებიც მოდიან, რომლების უშვილობა არ არის გამოწვეული ზემოხსენებული ანთებით ან რაიმე სხვა დაავადებით. ასეთ შემთხვევაში უშვილობა ზოგჯერ შეიძლება აიხსნას, მაგ., საკვერცხეების ნაკლები განვითარებით, ერთგვარი სისუსტით, რის წინააღმდეგაც როგორც ბაჭიებზე მოხდენილმა ცდებმა გვაჩვენეს, წყალტუბო ასე კარგად მოქმედობს,

ყოველგვარი სიმსივნეების დროს (ფიბრომა, კისტა და სხვ. ავთვისებიანი სიმსივნეები), რასაკვირველია, წყალტუბოს არავითარი სარგებლობის მოტანა (გარდა ზიანისა ზოგიერთ შემთხვევაში) არ შეუძლია. ამიტომ, ექიმის რჩევა-დარიგების მიუღებლად არც ერთი ავადმყოფი არ უნდა წავიდეს წყალტუბოში, რომ უკან დაბრუნება არ დასჭირდეს.

კარგია წყალტუბო, როდესაც ხანში შესულ ქალს სხვადასხვა მოვლენები ემართება (ალები, ტკივილები და სხვ.), აგრეთვე როდესაც ქალს დედათ წესის მხრივ რაიმე აწუხებს. ორსულებს მეტადრე პირველ თვეებში აბაზანები ფრთხილად უნდა დაენიშნოს, თუმცა მუცლის მოშლა მეტად იშვიათად ხდება.

ექ. ა. უსტიაშვილი.

შხამიანი გაზები და მათთან ბრძოლა

(წერილი გერმანიიდან)

გერმანიის საჰაერო თავდაცვის კონფერენციაზე, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ დასრულდა ბერლინში, შარლოტენბურგის უმაღლეს ტეხნიკური სასწავლებლის პროფ. პშორმა გააკეთა მოხსენება შხამიანი გაზებისა და მათთან ბრძოლის შესახებ. მომხსენებლის აზრით, ფიზიკური ზიანი, რომელსაც შხამიანი გაზები იწვევს, გაცილებით ნაკლებ საშიშია იმ მორალურ ეფექტთან შედარებით, რომელსაც ქიმიური შეტევა ახდენს სამოქალაქო მოსახლეობაზე. მსოფლიო ომის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ შხამიანი ნივთიერებანი წარმოადგენენ მტერთან ბრძოლის მძლავრ იარაღს არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგშიც.

თანამედროვე ქიმია იცნობს ათამდე შხამიან გაზს, რომლებიც შეიძლება დაიყოს ხუთ ჯგუფად. თითეულ მათგანს სხვადასხვა მოქმედება აქვს და მოითხოვს თავდაცვის სხვადასხვა ღონისძიებებს. პირველი, შედარებით უვნებელი ჯგუფია—ე. წ. ცრემლმადენი გაზები. რომლებიც იწვევენ შეუჩერებელ ცრემლთა დენას და თვალის ლორწოვანი გარსის ანთებას, ხანგრძლივი მოქმედების შედეგად კი — დაბრმავებასაც.

მეორე ჯგუფის გაზები მოქმედობენ უმთავრესად ფილტვებზე, აზიანებენ მათ, იწვევენ სულის ხუთვას და სიკვდილს. ამ ჯგუფს ეკუთვნის ფოსგენი. შემდეგი ჯგუფია—გაზები, რომლებიც შეიცავენ სინილის მჟავას ან მათ შენაერთებს. ეს გაზები უმთავრესად მოქმედობენ ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე, იწვევენ დამბლას და სხვ. უფრო ძლიერ მოქმედობს ე. წ. „წიწაკას გაზების“ ჯგუფი. ისინი მოქმედობენ არა მარტო სუნთქვის ორგანოებზე, არამედ მთელ კანზე, იწვევენ დაჩირქებას, რომელიც ძნელი მოსარჩენია და სხეულის დაწვას. ჩვეულებრივი ნიღაბი უძლურია ამ გაზების წინაშე, რომლებიც ტანსაცმელშიც კი ატანენ. ამ გაზებიდან თავის დაცვა შეიძლება მხოლოდ სპეციალური ჰერმეტიული ტანსაცმელის საშუალებით. დაბოლოს, მეხუთე ჯგუფს ეკუთვნიან—ჯერ კიდევ კარგად შეუსწავლელი ამონიუმის შენაერთები, რომლებიც უმთავრესად სუნთქვის ორგანოებზე მოქმედობენ.

გაზებთან ბრძოლის უნივერსალური საშუალება არ არსებობს. ყველაზე ხშირად იხმარება ნიღაბები, რომლებიც ორგვარი ტიპისაა. მაგრამ მხოლოდ ნიღაბებზე იმედის დამყარება არ შეიძლება, რადგან ზოგიერთი გაზები რამდენიმე დღით სწამლავს მთელ რაიონს „ნიღაბის ტარება კი რამდენიმე საათზე მეტი დროს განმავლობაში ძნელია. ერთგვარი სარგებლობის მოტანა შეუძლია თავშესაფარებს—გაზებისათვის შეუვალ შენობებს. ასეთი თავშესაფარები უნდა შეიცავდნენ სურსათ-სანოვაგის საწყობებს და წყლის მარაგს, რადგან ზოგიერთი შხამიანი გაზები სწამლავენ სასურსათო პროდუქტებს და წყალს, მაგრამ გაზებით შეტევასთან ყველაზე სიმედო საშუალებას წარმოადგენს მტრის აეროპლანების განდევნა ზარბაზნების ცეცხლით და კონტრ საჰაერო შეტევით.

ჰამბურგის კლინიკის უფროსმა ექიმმა კონფერენციას გააცნო, თუ რა მსხვერპლი მოჰყვა ფოსგენის აფეთქებას ჰამბურგში (1928 წ.). ბალონები ფოსგენით, რომლებსაც, ოფიციალური ცნობებით, სამრეწველო დანიშნულება ჰქონდა, ხმების მიხედვით კი—ომის შემდეგ დარჩენილ მარაგს წარმოადგენდა, აფეთქდა და გაზი გავრცელდა ქუჩებში. მოწამვლის პირველი მსხვერპლნი კლინიკაში მიიყვანეს რამდენიმე წუთის შემდეგ, რამდენიმე ათეული კაცი მოკვდა, რამდენიმე ასეულმა საკმაოდ ხანგრძლივი დრო დაჰყო საავადმყოფოში. სამკურნალო საშუალებას წარმოადგენდა—ვანები და დასვენება. ავადმყოფთა უმრავლესობა განიკურნა, მაგრამ მათი შრომის უნარიანობა დაქვეითებულია.

კონფერენციაზე ცალკე მოხსენება იქნა მოსმენილი გაზისაგან თავდაცვის ორგანიზაციის შესახებ. მომხსენებელმა საჭიროდ სცნო ყველა დიდ ქალაქებში განსაკუთრებული სანიტარული ჯგუფების მოწყობა, მოსახლეობაში გაზების, მათთან ბრძოლისა და მათი თვისებების შესახებ ცნობების გავრცელება, პოპულარული კურსების მოწყობა და აგრეთვე სპეციალური სიგნალიზაციის მოწყობა მოსახლეობის გასაფრთხილებლად მოახლოვებული საფრთხის შესახებ.

ა. ვ—ლი.

ბერლინი, 8 ივლისი.

რადიუმის ახალი წყაროები

პორტუგალიაში აღმოაჩინეს რადიუმის მდიდარი საბუდოები. დაიწყო მადნის დამუშავება. იმედი აქვთ, რომ წლიურად დაამზადებენ 20 გრამ რადიუმს. დღემდე რადიუმის მოპოების მთავარ წყაროს წარმოადგენდა მადაროები ბელგიის კონგოში (აფრიკა). გრამი რადიუმი ამჟამად ღირს 120.000 მანეთი.

ცხოველთა „მეექვსე გრძნობის“ შესახებ

დიდი ხანია უკვე აღნიშნულია, რომ ცხოველებს აქვთ სივრცეში გზის სისწორით გაკვლევის შესანიშნავი უნარი. ამგვარი „მეექვსე გრძნობის“ კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს საფოსტო მტრედების უნარი—სისწორით გზის გაკვლევისა სახლისაკენ, თუ გინდ უკანასკნელიდან ასეული კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდნენ. მეორე მაგალითს წარმოადგენენ ვირთხები, რომლებიც არაჩვეულებრივი სისწრაფით იკვლევს გზას ლაბირინტში და რახან ერთჯერ იპოვეს სწორი გზა, მეორეჯერ აღარ იბნევიან. დიდი ხნის განმავლობაში ეს უნარი გამოცანას წარმოადგენდა. ამ მოვლენის ასახსნელად წამოყენებულ იქნა სხვადასხვა მოსაზრებები, მაგალითად ის, რომ ცხოველებს დიდი მხედველობითი მეხსიერება აქვთ და სხვ. მაგრამ ყველა ეს მოსაზრებები არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ამ რამდენიმე ხნის წინად ამერიკელმა ფიზიოლოგმა შეპერდმა გააკეთა აღმოჩენა, რომელიც ნაწილობრივ ნათელს ჰფენს ცხოველთა ამ უცნაურ თავისებურობას. ცდების ობიექტს წარმოადგენდნენ ვირთხები, რომლებიც მოთავსებული იყვნენ მავთულებიდან გაკეთებულ ლაბირინტში, რომელშიც დაყრილი იყო საჭმელი. ცხოველები ჩქარა პოულობდნენ გამოსავალს ლაბორატორიიდან და იკვლევდნენ გზას საჭმლისაკენ. მაგრამ სურათი ერთბაშად იცვლებოდა, როცა ლაბირინტის ხის იატაკზე დააგეს რეზინა. ვირთხებმა გზა ველარ გაიკვლიეს. შეპერდმა აქედან დაასკვნა, რომ ცხოველები გზას იკვლევდნენ თავიანთი თათების ხმის მიხედვით. ამ ხმებს სხვადასხვა სიმაღლე აქვთ ცხოველის მდგომარეობის მიხედვით. ეს სხვადასხვაობა მეტად უმნიშვნელოა იმისათვის, რომ შეამჩნიოს ადამიანმა, მაგრამ ცხოველის მახვილი ყური ადვილად ერკვევა მასში.

—:—

ინგლისის ექსპედიცია სამხრეთ პოლიუსისაკენ

პირველ აგვისტოს ლონდონიდან სამხრეთ-პოლიუსისაკენ გაიგზავნება ინგლისის ახალი ექსპედიცია პოლიარული ქვეყნების ცნობილ მკვლევარის მოუსონის მეთაურობით. ექსპედიციის გაგზავნა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ანტარქტიკაში ამჟამად იმყოფება ამერიკელ ბერდის ექსპედიცია, რომელმაც მთელი რიგი აღმოჩენები გააკეთა.ამერიკელების ექსპედიციის მიღწევებმა დიდი შეშფოთება გამოიწვია ინგლისში. საქმე იმაშია, რომ სამხრეთ-პოლიარული მატერიკი—ვიკტორია—ინგლისის საკუთრებათ ითვლება და თუმცა ამჟამად მხოლოდ ვეშაპებზე მონადირეთა ბაზას წარმოადგენს, მაგრამ მომავალში შეიძლება მას სამრეწველო მნიშვნელობა მიეცეს. ინგლისელები შიშობენ, რომ ბერდის აღმოჩენების შედეგად ამერიკელები პრეტენზიებს განაცხადებენ სამხრეთ-პოლიარული მატერიკის ზოგიერთ ნაწილებზე. ტეხნიკური და მეცნიერული თვალსაზრისით ინგლისის ექსპედიცია ამერიკულზე ცუდათ არის მოწყობილი. ინგლისელებს არ აქვთ განზრახვა ნაპირზე გადმოვიდნენ. მათი გემი—„დისკოვერი“—შემოუვლის ე. წ. „ვილკინსის მიწის“ ნაპირს. გემიდან აეროპლანებით გამოიკვლევენ მატერიკის ცენტრალურ ტერიტორიებს.

გერმანიის საამშენებლო ტეხნიკის გამოფენა

გერმანიის სამრეწველო და საზოგადოებრივ წრეებში დიდ ინტერესს იწვევს საამშენებლო ტეხნიკის გამოფენა, რომელიც 1931 წელს უნდა გაიხსნას. განზრახულია გამოფენას მიეცეს მუდმივი ხასიათი. გამოფენა წლიდან-წლამდე შეივსება ახალი ექსპონატებით და განყოფილებებით და 1935 წლისათვის მნახველს სრული წარმოდგენა უნდა მიეცეს გერმანიის საამშენებლო ტეხნიკაზე.

განცხადების გამოფენის მომწყობ კომიტეტს, როგორც გაზეთები იუწყებიან, მიღებული აქვს საამშენებლო საქმესთან დაკავშირებულ 64 უდიდეს წარმოებისა და ორგანიზაციისაგან. ბერლინის ქალაქის თვითმართველობამ გამოფენისათვის გამოჰყო 90 ჰექტარი. გამოფენის წინასწარი გეგმა შედგენილია და გამოყოფილ ტერიტორიაზე უკვე დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა.

გამოფენა გაიხსნება 1931 წ. 16 მაისს და გაგრძელდება 4 ოქტომბრამდე. შემდეგ წლებში გამოფენა ღია იქნება მხოლოდ ზაფხულობით ერთი თვის განმავლობაში, რომელსაც ეწოდება „გერმანიის საამშენებლო ტეხნიკის ერთთვიური“.

გამოფენის პირველ განყოფილებაში, რომელიც 1931 წელს გაიხსნება, მოცემული იქნება თემა: „ახალი მშენებლობა და ბინა“. ეს თემა გაყოფილი იქნება ორ ნაირად: საამშენებლო მრეწველობა და საამშენებლო ხელოვნება. ამ განყოფილებაში ნაჩვენები იქნება, თუ როგორ იქმნება თანამედროვე ბინა, როგორ ხდება საამშენებლო ნედლეულის, ცემენტის, ბეტონის, ხელოვნური ქვების, აგურისა და სხვა საამშენებლო მასალების დამზადება, როგორ იყრება საძირკველი, შენდება კედლები და სხვ. ნაჩვენები იქნება აგრეთვე საპორტო მშენებლობა (სტადიონები, საცურავი აუზები), როგორ ეწყობა სანიმუშო ბაღები,

გამოფენაზე განსაკუთრებული კუთხე დაეთმობა სასოფლო-სამეურნეო მშენებლობას. აქ წარმოდგენილი იქნება ისეთი ექსპონატები, როგორიც მაგ. სანიმუშო სასოფლო სახლი, სამაგალითო შენობა საქონლისათვის, საჩვენებელი სასოფლო სკოლის შენობა და სხვ.

1932 წელს გამოფენას მიემატება ახალი განყოფილება —თანამედროვე სატრანსპორტო მშენებლობა. 1933 წელს მოეწყობა კიდევ ერთი ახალი განყოფილება—მშენებლობა სასოფლო მეურნეობაში, 1934 წელს—განყოფილება: თანამედროვე საოჯახო მეურნეობა და, დაბოლოს, 1935 წელს მოეწყობა სპეციალური გამოფენა თემაზე: „სითბო, სინათლე და ფერი საამშენებლო ტეხნიკაში“.

ფოტოგრაფიული აპარატი კუჭში

ამ რამდენიმე ხნის წინათ ნიუ-იორკში პირველად გამოსცადეს დ-რ ფრანც ბახის (ვენა) მიერ დამზადებულ ფოტო-აპარატის მოქმედება, ეს აპარატი, რომელსაც „გასტროკამერა“ უწოდეს, დანიშნულია სრულიად უჩვეულო მიზნისათვის, სახელდობრ—ცოცხალი ადამიანის კუჭის შიგნითა ნაწილის სურათის მისაღებათ, რათა ექიმებმა შესძლონ სწორი დიაგნოზის დასმა.

ფოტო-აპარატის კამერა შესდგება პატარა ცილინდრიდან (5 სანტ. სიგრძით და სანტ. განით), რომელსაც გარს არტყია 16 ობიექტივი, მოთავსებული ორ რიგათ. კამერის შიგნით, დიაფრაგმების უკან, მოთავსებულია სინათლის მიმართ მგრძნობიარე ფირფიტა. კაცი, რომლის კუჭი გადაღებული უნდა იქნას, ყლაპავს ფოტო-კამერას, მიმაგრებულს წვრილ რეზინის მილზე. ამ მილში მოთავსებულია აკუმულიატორთან (მოწყობილობა, რომელშიც აგროვებენ ელექტრო ენერგიას) შეერთებული მავთული, რომლითაც კამერას აწვდიან ელექტროდენს. ეს ელექტროდენი ანთებს კამერაში მოთავსებულ პაწაწკინტელა ლამპას. კამერის ამ ნაწილს გარს აკრავს რეზინა, რომელიც გახვრეტილია სწორეთ იმ ადგილებში, სადაც ობიექტივებია მოთავსებული.

ამგვარი მოწყობილობის წყალობით კუჭის შიგნითა ნაწილი ნათდება იმდენათ, რომ შესაძლებელი ხდება სურათის გადაღება. როგორც კი ელდენს შეუერთებენ, თექვსმეტივე ობიექტივი იხსნება და კუჭის შიგნითა ნაწილი გადაღებულია ყოველი მხრიდან. სურათები იმდენათ გარკვეული გამოდის, რომ შესაძლებელია მათი გადიდება და ამგვარათ ნათლად გამორკვევა იმის, თუ რა დაზიანება არის კუჭის შიგნით (წყლული, სიმსივნე და სხვ.).

სურათის გადაღების წინ ავადმყოფმა რამდენიმე საათის განმავლობაში არაფერი არ უნდა სჭამოს. სურათის გადასაღებათ საჭიროა სულ რამოდენიმე წამი.

ახალი სალეწი მანქანა

ამერიკაში გასაყიდად გამოვიდა ახალი ტიპის სალეწი მანქანა, რომლის მუშაობის ნაყოფიერება გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი სალეწი მანქანის. ახალი მანქანა პურს ლეწავს ჰაერის ნაკადისა და ცენტრგანშრობილი ძალით. მანქანის ასამუშავებლად საჭიროა ოთხჯერ ნაკლები ძალა, ვიდრე ჩვეულებრივი სალეწი მანქანისათვის. მამოძრავებელი ნაწილების რიცხვი ახალ მანქანაში მინიმუმამდეა დაყვანილი: მასში არ არის არც მბრუნავი ბარაბნები, არც კონვეიერები და არც სხვა ნაწილები, რომლებიც ამძიმებენ ჩვეულებრივ სალეწ მანქანას. ახალი მანქანის მეორე უპირატესობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ის სრულიად არ აფუჭებს ხორბალს.

საბჭოთა მედიკამენტები

საკავშირო ქიმიკო-ფარმაცევტიულმა ინსტიტუტმა დაამთავრა დამაძინებელი წამლების მიღების მეთოდის დამუშავება. ამგვარი წამლები დღემდი საბჭოთა კავშირში არ მზადდებოდა და მთლიანად უცხოეთიდან შემოგვქონდა. ინსტიტუტი ამთავრებს ვერონალისა და მთელ რიგ სხვა წამლების მიღების მეთოდის დამუშავებას. ცდები სწარმოებს საბჭოთა ნედლეულით. მოთხოვნილება ამგვარ წამლებზე დიდია. მაგალითად, საბჭოთა კავშირისათვის ყოველწლიურად საჭიროა 1 ნახ. ათასი კილოგრამი ვერონალი. ინსტიტუტის მიერ დამუშავებული მეთოდები გამოსაყენებლად გადაეცემა მრეწველობას.

ქირურგ. ტუბერკულოზის მკურნალობა იოდით

გერმანელ მეცნიერის ბერგელის ცდებმა გამოარკვია, რომ ტუბერკულიოზის ჩხირების გარსში მოიპოება განსაკუთრებული ნივთიერება „ცხიმ - ცვილი“ რომელიც იცავს მას მავნე გარეშე ზეგავლენისაგან, მაგრამ, რომელიც შეიძლება დაშლილ იქნეს ე. წ. ლიპოლიტიკურ (ცხიმის დამშლელ ფერმენტის საშუალებით. აღმოჩნდა, რომ იოდის შეყვანა სისხლში ადიდებს წითელი სისხლის ბურთულებისა და ხსენებული ფერმენტის რაოდენობას, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს კოხის (ტუბერკულიოზის) ჩხირების დაშლა და დაღუპვა.

იოდის ეს თვისება ავადმყოფებზე გამოსცადა გერმანელმა ექიმმა გოტცმა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ იოდის შეყვანა სისხლში დადებითი გავლენას ახდენს ძვლის, სახსრების და ჯირკვლების ტუბერკულოზის მიმდინარეობაზე. მაგრამ ექ. გოტცის ცდები ჩატარებულ იქნა ავადმყოფების მცირე რიცხვზე.

გოტცის შემდეგ ეს მეთოდი კვლავ შეისწავლა და ავადმყოფთა დიდ რაოდენობაზე გამოსცადა ცნობილმა ქირურგმა, პიროგოვის სახელობის რუს ქირურგთა საზ-ბის საპატიო თავმჯდომარემ—პროფ. ი. ი. გრეკოვმა, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ მეთოდებით სარგებლობდა ობუხოვის საავადმყოფოში (ლენინგრადში). ამჟამად დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იოდის შეყვანით კუნთებში შეიძლება, შედარებით მოკლე ვადაში, მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღება.

იქ, სადაც ცოტაა ჰაერი და მზე, ამ მეთოდს განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ეძლევა.

ფრანგული პრესა იუწყება, რომ გოტც-გრეკოვის მეთოდი დიდის წარმატებით გამოიყენა პროფ. დელბემ, რომელიც პარიზის საექიმო აკადემიაში მუშაობს.

—:—

რადიო ნაოსნობის სამსახურში

ამ რამდენიმე ხნის წინათ ატლანტის ოკეანეზე მოახდინეს რადიოს გამოყენების მეტად საინტერესო ცდა. ინგლისის საბარგო გემი, რომელიც ამერიკიდან ინგლისში ბრუნდებოდა, დაზიანდა 100 მილის მანძილზე ამერიკის ნაპირიდან. კაპიტანმა გადასწყვიტა გემის შესაკეთებლად შეევლო ბერმუდის კუნძულებზე. მან რადიოთი სთხოვა კომპანიის ნიუ-იორკის განყოფილებას სასწრაფოდ გაეგზავნათ ბერმუდის კუნძულებზე გემი-სახელოსნო. მაგრამ განყოფილებაში არ აღმოჩნდა დაზიანებული გემის ნახაზები. მაშინ განყოფილებამ რადიოთი სთხოვა ლონდონს საჭირო ნახაზების გადაცემა რადიოთი, ერთ საათში ნახაზები ლონდონიდან ნიუ-იორკში იქნა გადაცემული სურათების გადამცემ რადიო-აპარატის საშუალებით.

ქრონიკა

დანიელი მრეწველის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა დანიელი მრეწველი ხვოუკელდსენი, რომელიც მიემგზავრება მოსკოვში საკონცესიო საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

ამერიკელი ქიმიკოსის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი ქიმიკოსი ველიამ ნორისი, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირში სამუშაოდ.

სრ. საკავშირო სასროლო შეჯიბრება

მიმდინარე წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში მოსკოვში ჩატარებული იქნება სრ. საკავშირო სასროლო შეჯიბრება.

შეჯიბრებაზე საქ. თავდაცვა-ავიაქიმი გზავნის შემდეგ საუკეთესო მსროლელებს, რომლებმაც პირველობა აიღეს ამიერ-კავკ. სასროლო შეჯიბრებაზე: პოპოვი მიხ., პოპოვი თ., ჯიოევი, რომანენკო, ლოზენოვიჩი, კუზმინი და დავითაშვილი.

ტყის საქმის სპეციალისტების მოწვევა

სახკომსაბჭომ ნება მისცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოიწვიონ საზღვარგარეთიდან ტყის მეურნეობის ორი მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი ტყის განახლება - მელიორაციის დარგში და ორიც ტყის საექსპლოატაციო და ტრანსპორტის დარგში.

წყალსადენი სოფლად

აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასწყვიტა წელს აჭარისტანის 11 სოფელში გაიყვანოს წყალსადენი, რისთვისაც გადადებულია 164.000 მ.

ქალაქის კომენდანტისაგან

ქალაქის კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 23 და 24 ივლისს თბილისის სასროლ მოედანზე (ვაკეზე) საღამოს 9 საათიდან მოხდება თოფების სროლა. 23 და 26 ივლისს კი თოფების და ტყვიამფრქვეველების სროლა მოხდება მლაშე ტბის მიდამოებში.

მისალმება ჯანმრთელობის კომისარიატს

სოფ. ლამის-ყანიდან, ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კომუნის წევრებისაგან, ჯანმრთელობის კომისარიატმა მიიღო შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშა:

„ლამის-ყანის კომუნის წევრები ვაფასებთ იმ უდიდეს დახმარებას, რომელიც აღმოგვიჩინა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ჩვენს კომუნაში საბავშვო ბაგის დაარსებით. კომუნის წევრები ფიცსა ვსდებთ, რომ ვეცდებით მომავალი თაობის ჯანმრთელათ აღზრდას და დაარსებული საბავშვო ბაგის გაფართოებას, რომ ჩვენში საბავშვო ბაგის გარეშე არ დარჩეს არც ერთი ღარიბი გლეხის შვილი“.

სხვადასხვა

◆ სახ. კონსერვატორიასთან მომავალ სასწავლო წლიდან დაარსდება მუშფაკი.

◆ თბილისის მუშათა თეატრი უკვე შეუდგა მუშაობას.

◆ ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო ჟურნალი „ტროპიკული მედიცინის მოამბე“ № 5 და 6. დობროვსკის „კახეთის კლიმატიური მიმოხილვა“. გამოცემა საქ. მიწსახკომის.

„დროშა“ № 13.

გამოვიდა ჟურნალი „დროშა“ № 13. შინაარსი: მიხ. კახიანი — იდეოლოგიური ფრონტი, თ. მ.—ა. პ. ჩეხოვი (ბიოგრაფიული ცნობები), ა. ჩეხოვი—სათანადო ზომები, ნ. მ—ძე — ცეცხლითა და მახვილით (საფრანგეთის დიდი რევოლიუციის 140 წ. თავი), ვახო გორგაძე — მეჯუდას (ლექსი), გ. ქუჩიშვილი — სამეგრელოში (ლექსი), ს. კაკაბაძე—ქართული წიგნის ბეჭდვის 300 წ. თავი, ე. წულაძე — „მისი უდიდებულესობის“ სოციალისტები, პლ. ქიქოძე — პროლეტარული მწერლობის ახალი კადრები (ფრ. ნაროუშვილის შემოქმედების შესახებ), ნ. რ—ძე—ახალი მასალები პუშკინის სიკვდილის შესახებ, უცხოეთისა და ადგილობრივი ფოტოქრონიკა. ჟურნალში მოთავსებულია ორმოცზე მეტი სურათი. ფასი—15 კაპ.

სამოქალაქო სასწავლებლების გასამხედროება

უკვე მესამე წელიწადია, რაც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მსმენელები გადიან წვევამდე მზადებას, რომლის საშუალებით ისინი ითვისებენ სამხედრო ცოდნას.

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებმა, რომლებიც ამთავრებენ ტეხნიკუმებს, ცხრაწლედებს და სხვა ისეთ სასწავლებლებს, რომლებიც ანიჭებს ახალგაზრდობას უნივერსიტეტში შესვლის უფლებას, უნდა ჰქონდეთ წინასწარი სამხედრო მომზადება, რომ გაუადვილდეთ უმაღლესი წვევამდე მზადების გავლა.

მუშფაკებში უკვე შემოღებულია სამხედრო საგნების გავლა სავალდებულო წესით.

მომავალ სამოსწავლო წლიდან ცხრაწლედებში, ტეხნიკუმებში და საბჭოთა პარტსკოლებში შემოღებული იქნება სამხედრო საგნების გავლა სავალდებულო წესით.

სამხედრო საგნებს მთელი წლის განმავლობაში დაეთმობა 60 საათი. ამ ხნის განმავლობაში ხსენებული სკოლების მოწაფეებმა უნდა გაიარონ სროლის საქმე, ტოპოგრაფია, ტაქტიკა და შეითვისონ ყველა ის ცნობები, რომლებიც საჭიროა მებრძოლისათვის.

საქართველოს ტერიტორიალური სამმართველოს ცნობით, მომავალ სამოსწავლო წლიდან სამხედრო საგნების სავალდებულო სწავლება შემოღებული იქნება 60 ცხრაწლედში და 38 ტეხნიკუმში და საბჭოთა პარტსკოლა'ში.

ზეიმი ავჭალის ბანაკში

სომეხი, თურქი და რუსი წითელ-არმიელები სტუმრად ქართველ წითელ არმიელებთან

კვირას 21 ივლისს, საღამოს 5 საათზე № დივიზიის ბანაკს ესტუმრენ აზერბეიჯანის და სომხეთის დივიზიების და კავკასიის № დივიზიის წარმომადგენლები.

სტუმრებს ბანაკისაკენ მიმავალ გზაზე შეეგება ტერიტორიალური დივიზიის სარდლობა. არმიელებმა გაიგეს თუ არა ძვირფასი სტუმრების მისვლა ბანაკად, მოიყარეს თავი ბანაკის დიდ მოედანზე, მალე აქ მოგროვდა მთელი დივიზია. გამოჩნდნენ სტუმრებიც,—რომლებსაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა ტერიტორიალური დივიზიის მეთაურმა ამხ. ვ. გიორგაძემ.

რამოდენიმე ათასი კაცი სულგანაბული უსმენდა დივიზიის მეთაურს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეიქნა შესაძლებელი ძმური კავშირის დამყარება ამიერ-კავკასიის მრავალ ხალხთა შორის. დღევანდელი სტუმრობა ამის საუკეთესო დამამტკიცებელია“—ამბობს ამხ. გიორგაძე.

შემდეგ ამხ. გიორგაძე ამბობს, რომ ეს ძმური კავშირი საუკეთესო პასუხია საბჭოთა კავშირის მტრების მუხანათურ გამოსვლებზე, რომლებიც სცდილობენ დაარღვიონ სიმშვიდე კავშირის აღმოსავლეთ საზღვრებზე.

ძლიერი ვაშა ჰფარავს დივიზიის სარდალის უკანასკნელ სიტყვებს.

საუბრებს ესალმებიან ტერიტორიალური დივიზიის მეთაურები და წითელი არმიელები. ქართველები, რუსები, სომხები, გერმანელები, ოსები, თურქები და სხვა ეროვნებების წარმომადგენელი არმიელები, რომლებიც ამ ჟამად მეცადინეობენ ტერიტორიალური დივიზიის ბანაკში, თავის სამშობლო ენაზე ესალმებიან მოძმე დივიზიების წარმომადგენლებს.

საპასუხო სიტყვებს ამბობენ სტუმრები. თავის სიტყვებში სტუმრები ეხებიან თავისი ნაწილების მიღწევებს, არმიელების ყოფა-ცხოვრებას, უამბობენ მასპინძლებს, თუ როგორ მეცადინეობენ, როგორ ითვისებენ სამხედრო საქმეს რუსი, სომეხი და აზერბეიჯანელი არმიელები.

დიდხანს უამბობენ სტუმრები ქართველ მებრძოლებს თავისი ნაწილების ყოფა-ცხოვრებას. ქართველები უსმენენ მათ. მათ ახარებთ თავისი მეზობლების მიღწევები სამხედრო დარგში, იციან, რომ რამდენათ ძლიერი იქნებიან ეროვნული ნაწილები, იმდენად უზრუნველყოფილი იქნება ამიერ-კავკასიის, მშრომელების მშვიდობიანი საქმიანობა, მიმართული ქვეყნის აღორძინებისაკენ.

მისალმებები გათავდა.

სტუმრები შეუდგნენ ბანაკის გაცნობას.

მეთაურები და არმიელები ათვალიერებინებენ სტუმრებს ბანაკს, ახლად აგებულ შენობებს, ლენკარვებს.

ტერიტორიალური დივიზიის ბანაკი, რომლის მოწყობაში მიიღეს მხურვალე მონაწილეობა საქართველოს მშრომელებმა, სტუმრებზე სტოვებს საუკეთესო შთაბეჭდილებას.

სტუმრების საპატივსაცემოდ იმართება სახელდახელო მხატვრული საღამო. ფიზკულტურნები სცდილობენ დაანახვონ სტუმრებს თავისი მიღწევა.



სტუმრები ეცნობიან № ლეგიონის კედლის გაზეთს

—:—

იწყება სიმღერები. სხვადასხვა ეროვნებების არმიელთა რიცხვი ეჯიბრებიან ერთიმეორეს. ბანაკის მიდამოებში, შორს გაისმის თათრული ტკბილი სიმღერა, გურული კრიმანჭული და რუსულ ხოროს მამაცი შემოძახილი.

სიმღერები მოთავდა. ელექტრო შუქით ჭარბად განათებულ მოედანზე იწყება ცეკვა. ლეკური, ჩაჩნური, უზუნ-დარა სცვლიან ერთი-მეორეს.

ხელი-ხელ ჩაკიდებული, მხარ და მხარ ცეკვავენ სომეხი და ქართველი, რუსი და ოსი. და ასევე ერთად, ძმურად, მაშხანა თოფით ხელში გავლენ სხვადასხვა ეროვნებების არმიელნი თავისი საერთო სამშობლოს —საბჭოთა კავშირის დასაცავად.

მაშხალამ ამცნო ბანაკს, რომ მოახლოებულია ძილის დრო.

არმიელები გაეშურენ თავისი ნაწილების კარავებისაკენ.

ყველას სახეზე სიხარულეა აღბეჭდილი. ყველანი გრძნობენ, რომ ის პატარა ზეიმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა დღეს ავჭალის ბანაკში, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური თანცხოვრების გამოხატულებას.

—ლი.

ხელოვნება

თბილისის სატირის თეატრი

17 ივლისს ხელოვნების მთავარ სმმართველობის პროფსაბჭოს კულტ-განყოფილების წარმომადგენლის და ადგილობრივ კლუბების მუშაკთა თანდასწრებით განხილულ იქნა გუგულის: „სწრაფი ცნობა“ სატ. 1 მოქმ., ვ. სიხარულიძის: „ოჯახური განხრა“ სატ. 1 მოქმ. და 5 სურ. და „გამოგონება“. დადგმა ახ. ჩხარტიშვილის. პიესები მიღებული იქნა და ნება დართულია ზაფხულზე კლუბებში დასადგმელად. დასი შეუდგა მორიგი პროგრამის მზადებას. თეატრს ხელმძღვანელობს გ. ბუზნიკაშვილი, მუდმივ რეჟისორად მოწვეულია არ. ჩხარტიშვილი. მუსიკალური ნაწილის გამგეთ კ. ნარიმანიძე, მხატვარი მ. გოცირიძე. დასის რწმუნებული ვ. სიხარულიძე.

დასის შემადგენლობა: რაისელი რ., დავითაშვილი რ., ნიკოლეიშვილი, ჭავჭავაძე ე., ვაშაძე ი. ფხალაძე ვ. ქურდოვი ვ., ნიჟარაძე პ., პაიჭაძე ვ., ციციაშვილი მ., გულაშვილი მ., ტეხაშვილი მ. და სხვა.

—:—

პროლეტარულ მწერალთა შორის

საზაფხულო პერიოდში პროლეტ. მწერალთა ასოციაციამ შესწყვიტა ლიტერატურული წრეების მუშაობა შემოდგომამდე. ასოციაციამ კოლ-მეურნეობებში და წარმოებებში გაგზავნა ამხანაგები: საქართველოს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების გასაცნობად და შესასწავლად გაემგზავრნენ: ქ. ლორთქიფანიძე და ფრ. ნაროუშვილი; მწერლები მგზავრობას მოანდომებენ 2 თვეს. ჭიათურის მაღაროებში ერთის თვის ვადით, მიმაგრებული იქნა ე. პოლუმორდვინოვი. ტყიბულის მაღაროებში ერთი თვის ვადით მიმაგრებულია ა. მაშაშვილი. პიონერ ბანაკების ცხოვრების გასაცნობად გაემგზავრა ვ. ლუარსამიძე.

ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ შეადგინა ჯგუფი შემოქმედებითი პლატფორმის საკითხების დასამუშავებლად, შემოდგომაზე ჯგუფი თავის ნამუშევარს გამოსცემს წიგნათ.

ასოციაციის მეთოდური კომისია ამუშავებს ლიტერატურული წრეების სასწავლო მეთოდიურ მასალას, რომელიც ცალკე წიგნათ იქნება გამოცემული.

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის პრ. მწ. ასოციაციებმა გამოიწვიეს ერთმანეთი სოციალისტურ შეჯიბრებაში მასიური. მუშაობის დაყენების დარგში.

კინო

საქ. სახკინმრეწვში

ახალი სურათები

● „შეხვედრა“. ამჟამად მთავრდება სურათ „შეხვედრა“-ს სცენების გადაღება ბაქოში. ექსპედიცია ამ დღეებში ჩამოვა თბილისში პავილიონური სცენების გადასაღებად; სურათის გადაღებას ხელმძღვანელობს რეჟისორი გ. გრ მართელი, ოპერატორია პოზნანი, სცენარი ეკუთვნის ს. სულაკაურს. მთავარ როლებს ასრულებენ მახმუროვა, ყიფიანი, კუდიევი, ალექსიშვილი, მიხაილოვა და ჟ. ჩერქეზიშვილი.

სურათის თემაა აღმოსავლეთის განთავისუფლებული ქალის ბრძოლა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის.

● „განწირულნი“. ოდესაში და ბორჯომში დამთავრდა „განწირულნი“-ს ნატურული სცენების გადაღება. ექსპედიცია დაბრუნდა თბილისში და შეუდგა პავილიონურ გადაღებას, რაც დამთავრებული იქნება 1-ლ აგვისტოსათვის. რეჟ. ლ. პუში, ოპერატორი ვ. კერესელიძე, მხატ. ლადო გუდიაშვილი.

სურათის თემაა—რუს ჯარისკაცების დაბრუნება საფრანგეთიდან, მათი ვაჭრობა მაროკოში და აჯანყება გემზე.

სურათში მთავარ როლებს ასრულებენ: გალინა ეგოროვა, კოლომენსკი, ხუსკივაძე, მაროტი, ბონდარევი.

● „ჩემი დიდედა“. მთავრდება სურათ „ჩემი დიდედა“-ს გადაღება. სცენარი კ. მიქაბერიძის და გ. მდივანის. რეჟ. კ. მიქაბერიძე, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი, მხატვრები ი. გამრეკელი და ვ. სიდამონ-ერისთავი. მთავარ როლებში ლ. ჩერნოვა და ალ. თაყაიშვილი.

სურათი წარმოადგენს კინო-სატირას ბიუროკრატიზმზე და პროტექციონიზმზე საბჭოთა დაწესებულებებში.

● „ბრმა“. სვანეთში გაემგზავრა კინო-ექსპედიცია სურათ „ბრმა“-ს გადასაღებად; ექსპედიციაში შედიან რეჟ. მ. კალატოზიშვილი, ოპერატორი რ. ლიაპინსკი, მხატვ. დ. კაკაბაძე, მსახიობები—ა. ხინთიბიძე, ესაკია, ს. ჯალიაშვილი და ს. ფალავანდიშვილი.

● „კავკასიის ყაჩაღი“. რეჟ. მ. გელოვანი შეუდგა ახალი კომედიის „კავკასიის ყაჩაღი“-ს გადაღებას; სცენარი ა. ბელიაშვილის, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი. სურათის გადაღება იწარმოებს ლენინგრადში და თბილისში.

სურათის თემაა—დაცინვა გროტესკულ-კომიკური ფორმით იმ შეხედულებაზე, რომელიც შემუშავდა რუსეთში კავკასიაზე, როგორც ეგზოტიურ, აღმოსავლურ ქვეყანაზე ხანჯლებით, ბუხრის ქუდით, ჩოხით, ნაბდით, ღვინით და სხვა „საშინელ“ ატრიბუტებით, როგორც ეს აღნიშნულია ზოგიერთ რუს მწერლების ნაწარმოებებში(ა. ბელი, ერენბურგი, ა. ზორიჩი და სხვა).

● „კამერა № 79“. რეჟ. ზ. ბერიშვილი შეუდგა სურათ „კამერა № 79“-ის გადაღებას, სცენარი შ. ალხაზიშვილის და ს. დოლიძის, ოპერატორი ა. დიმელოვი. ნატურული გადაღება იწარმოებს ქუთაისში და მის მიდამოებში.

სურათის თემაა—ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობასთან. მთავარ როლში—სახ. არტისტი ნ. ჩხეიძე.

● „შოვი“. რეჟ. ნ. ლოლობერიძე შეუდგა დიდი კულტურულ ფილმის „შოვის“ გადაღებას. ოპერატორი ს. ზაბოზლაევი. მხატვარი დ. კაკაბაძე. ტურისტის როლს ასრულებს პ. ქიქინაძე. ექსპედიცია უკვე გაემგზავრა შოვში.

● „საქართველოს კურორტები“. ასისტენტი ე. სუპატაშვილი ოპერატორ გეგელესთან ერთად აწარმოებს ქრონიკულ ფილმის „მთის კურორტების“ გადაღებას; სურათში შევა წყალტუბო, ახტალა, ბახმარო, შოვი, აბასთუმანი, ბორჯომი, წაღვერი, ცემი, ლიბანი და ბაკურიანი, მათი მოწყობილობა, ყოფა-ცხოვრება, სამკურნალო თვისებები და სოციალური მნიშვნელობა.

კონფერენცია კინოს საკითხზე

(თათბირი ს.კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებაში

20 ივლისს, საღამოს 6 საათზე ს.კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებაში შესდგა თათბირი, რომელზედაც გადაწყდა, რომ უახლოეს ხანში მოწვეული იქნეს მუშათა ფართე კონფერენცია კინოს საკითხებზე.

კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ექნება იმ მხრივ, რომ იგი ხელს შეუწყობს საბჭოთა კინოს დამხმარე საზოგადოების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას, ჯამს გაუკეთებს სახკინმრეწველობის მუშაობას და დასახავს ღონისძიებებს კინო მრეწველობის საწარმოო და კომერციულ საქმიანობის გასაუმჯობესებლად, გამოარკვევს მუშა-მაყურებელთა შეხედულებას დღევანდელ კინოზე, საერთოდ, და კულტურფილმზე, კერძოდ.

თათბირმა საჭიროდ სცნო კონფერენციის დღის წესრიგში დაისვას ორი საკითხი, 1) მოხსენება კინო-მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ და 2) პროფსაბჭოს კინო-ბიუროს თანამოხსენება.

მოსამზადებელი მუშაობა უნდა დამთავრდეს 10 აგვისტომდე. გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. ოსიპოვის, მგალობლიშვილის და ფრინდლიანდის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება.

წითელარმიელების შეხვედრა მუშებთან

20 ივლისს, მელითონეთა კლუბში შესდგა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სხვადასხვა ნაწილებისა და ეროვნული დივიზიების დელეგაციების შეხვედრა თბილისელ მუშებთან.

საზეიმო საღამო გახსნა ამხ. ბაგრატ მაჩაიძემ.

— წითელი არმიისა და მუშების დაახლოებას, განაცხადა ამხ. მაჩაიძემ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს, როდესაც ჩვენი პროლეტარული სამშობლოს წინააღმდეგ ასისინდნენ მტრები. 12 წელიწადი სრულდება, რაც წითელი არმია სდარაჯობს საბჭოთა კავშირს და იგი შესძლებს მომავალშიაც დაიცვას ჩვენი საზღვრები გათავხედებულ მტრებისაგან.

შემდეგ, სიტყვას ამბობს კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ნემერზელი, რომელიც ესალმება წითელი არმიისა და მუშათა კლასის დაახლოებასა და შეკავშირებას. ორატორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისათვის საშიში არ იქნება არც ერთი მტერი, თუ კი მუშათა კლასსა და წითელ არმიას შორის მჭიდრო კავშირი იქნება.

— მე შემიძლია, — ამბობს დასასრულ ამხ. ნემერზელი, — დაგიდასტუროთ კავკასიის სახელოვანი და წითელ დროშოვანი არმიის სახელით, რომ მას შესწევს ძალა უზრუნველყოს თქვენი მშვიდობიანი შრომა როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებისაგან.

შემდეგი მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აზერბეიჯანის დივიზიის წითელარმიელთა და უფროს პოლიტშემადგენლობის სახელით ამხ. ფატალიევი. ამხ. ფრუნზეს სახელობის ქართ. მსროლელ დივიზიის წითელი არმიელებისა და პოლიტშემადგენლობის სახელით — წითელარმიელი ამხ. კუზანაშვილი და სომხეთის დივიზიის წითელარმიელებისა და პოლიტშემადგენლობის სახელით— წით. არმ. მარენცი.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საშეფო საზ-ბის კონფერენციის სახელით მუშა—თომაშვილი, ბაქოს საშეფო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამხ. შვეცოვი, გორის მაზრის გლეხთა დელეგატი — რთველაშვილი, რკინისგზის მუშების წარმომადგენელი — მუშა ბარათაშვილი. და პროფ. მოსე თოიძე.

დასასრულ, მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი თავდასხმის წინააღმდეგ.

ფიზკულტურა და სპორტი

„დინამო“-ს გამგზავრება

კვირას როსტოვში გაემგზავრა თბილისის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“, რომელსაც ამ დღეებში შეჯიბრება ექნება როსტოვის „დინამო“-სთან. თბილისის გუნდი შევსებულია ბაქოელი მოთამაშეებით (კოროტკოვი, ორეკინი, თურქია და გნეზდოვი).

—:—

პროფკავშირების ნაკრები გუნდი — კომუნალური მუშაკები

კვირას, 21 ივლისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა პროფკავშირების ნაკრები გუნდის და კომუნალურ მუშაკთა კავშირის გუნდის ამხანაგური შეჯიბრება.

კომუნალურ მუშაკთა გუნდმა წელს პირველი ადგილი დაიკავა მეორე კატეგორიის გუნდებს შორის; კვირის შეჯიბრება ერთგვარ გამოცდას წარმოადგენდა ახალგაზრდა გუნდებისათვის, რადგან მას მთელი თავისი ტეხნიკა და მომზადება უნდა გამოემჟღავნებინა ძლიერ გუნდთან თამაშში.

თუმცა მატჩი კომუნალურ მუშაკების დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ მიუხედავად იმისა შეიძლება ითქვას, რომ კომუნალურ მუშაკთა გუნდი მწყობრი და ერთმანეთთან კარგად შეთამაშებულ კოლექტივს წარმოადგენს. ხანგრძლივი ვარჯიშობის შემდეგ გუნდი უთუოდ საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს გუნდებს შორის.

შეჯიბრება დამთავრდა 6:2 პროფკავშირების ნაკრები გუნდის სასარგებლოდ.

—:—

მოსკოვის გუნდის მოგზაურობა

მოსკოვის ფეხბურთელთა პირველი გუნდი საგასტროლოდ გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სამხრეთ-ქალაქებში. გუნდი შედგენილია მოსკოვის საუკეთესო მოთამაშეებისაგან.

მოსკოველების პირველი გამოსვლა მოხდა ნიკოლაევში. პირველი შეჯიბრება ქალაქის მეორე ნაკრებ გუნდთან მოიგეს მოსკოველებმა 4:0, ხოლო მეორე შეჯიბრება პირველ ნაკრებ გუნდთან წააგეს 3:6.

ნიკოლაევიდან მოსკოველები ჩავიდნენ ოდესაში. აქაც პირველი შეჯიბრება ქალაქის მეორე ნაკრებ გუნდთან მოიგეს მოსკოველებმა, ხოლო მეორე შეჯიბრება პირველ ნაკრებ გუნდთან წააგეს 1:3. აღსანიშნავია, რომ ოდესის მხრიდან სამივე ბურთი გაიტანა საბჭოთა კავშირის საუკეთესო მარჯვენა ინსაიდმა ალ. შტრაუხმა, რომელიც რამდენიმეჯერ შედიოდა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში.

ოდესიდან მოსკოველები გაემგზავრნენ კიევში.

საღამოობით მუშაბა

თბილისის აღმასკომში

20 ივლისს შესდგა თბილისის აღმასკომის განყოფილებათა გამგეების, საბჭოს სექციების თავმჯდომარეთა და პროფსაბჭოს წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა აღმასკომის განყოფილებებში საღამოობით მუშაობის შემოღების საკითხი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა დაადგინა, რომ აღმასკომის პრეზიდიუმში შიტანილ იქნეს საღამოობით მორიგეობა

თათბირის დადგენილებით საოჯახო, სახლთ მმართველობის, კეთილმოწყობის, ადმინისტრატიულ, საორგანიზაციო, განათლების, კომუნალურ მეურნეობის (ცენტრალური აპარატის კანცელიარია, საფინანსო საგადასახადო ქვეგანყოფილება და შეფასებითი ბიურო) განყოფილებებში, თელასში და წყალსადენის სამმართველოში მუშაობა უნდა სწარმოებდეს დილის 8 საათიდან დღის 12,5 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე.

ამასთანავე თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ სადეპუტატო მაგიდებთან დაწესებული იქნეს პრეზიდიუმის წევრების და განყოფილებათა გამგეების მორიგეობა. შაბათობით და უქმე დღეების წინ მუშაობა იწარმოებს მხოლოდ დილით.

თათბირის დადგენილება განხილული იქნება აღმასკომის პრეზიდიუმის უახლოეს სხდომაზე.

ჭადრაკი

ჭიათურელ მოჭადრაკეთა შეჯიბრება

15 ივლისს დაიწყო ჭიათურელ მოჭადრაკეთა შეჯიბრება, რომელმაც მასიური ხასიათი მიიღო. შეჯიბრება მოაწყო ჭიათურის მუშათა კლუბის ახალგაზრდათა სექციამ. ორიხი დღის განმავლობაში გათამაშებულ იქნა 135 პარტია.

შეჯიბრებაში ჯერ-ჯერობით პირველობის შანსები აქვთ გ. კაციტაძეს და ივანოვს.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 23 ივლისი

დღეს გადაცემული იქნება შემდეგი რადიოპროგრამა:

საღამოს 6 საათიდან — რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; გაზეთი „პროლეტარი“ რადიოთი, სომხურ ენაზე; ლექცია ბუნების მეტყველებიდან — „შხამიანი ცხოველები“, ქართულ ენაზე; რადიოს მეგობართა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი.

საღამოს 8 საათიდან — კომკავშირელების შეკრება რადიოთი; კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის მდივანის—ამხ. ახუნდ ზადეს მოხსენება კომკავშირის სრულიად საკავშირო კონფერენციის შედეგების შესახებ, რუსულ ენაზე; ინტერნაციონალური მუსიკის კონცერტი; რადიო-გადაცემათა კვირეული პროგრამა, ესპერანტოს ენაზე; უკანასკნელი ამბები.

სასამართლო

უმსგავსოებანი ლითონის ტრესტში

ქ. თბილისში 1925 წლის ივნისამდე რკინეულობის მაღაზია ჰქონდა ვინმე ტერ-არუთინოვს.. ყველას უკვირდა, რომ ტერ-არუთინოვის მაღაზია ყოველთვის გაჭედილი იყო საქონელით. ვინ იცოდა, რომ ტერ-არუთინოვისათვის და მხოლოდ ტერ-არუთინოვის მოსალონიერებლად მუშაობდა ლითონტრესტის დირექტორი ნიკოლოზ პოლოსოვი, რომელიც მას უხვად აწვდიდა ნისიათ ყოველგვარ საქონელს.

ვაჭარ ტერ-არუთინოვის დავალიანება ტრესტისადმი ავიდა 20.000 მანეთამდე, გარდა ამისა ტერ-არუთინოვს ჰქონდა კიდევ სხვა დაწესებულებების დავალიანება. სულ ტერ-არუთინოვის ვალი სახელმწიფო დაწესებულებებისადმი უდრიდა 78.000 მანეთს. ერთ მშვენიერ დღეს ტერ-არუთინოვმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. ამ გარემოებამ გული აუჩუყა ლითონის ტრესტის დირექტორს ნიკოლოზ პოლოსოვს, რომელმაც გადასწყვიტა ყალთაბანდ ვაჭრის „გაჭირვებიდან“ გამოყვანა.

ლითონტრესტი ტერ-არუთინოვს აცხადებს შეუძლებელ ვალდებულ პირად. მას „შველად“ აჭყავს ვაჭარ ტერ-არუთინოვის მაღაზია. ლითონის ტრესტმა ჩაიბარა არუთინოვის მაღაზია და იკისრა უკანასკნელის ვალებს გადახდა სხვა დაწესებულებებისათვის.

რამდენიმე თვის შემდეგ ვაჭარ ტერ-არუთინოვს, რასაკვირველია დირექტორის წყალობით, ღებულობენ ტრესტში მოსამსახურედ, როგორც „შეუდარებელ სპეცს“. უნიშნავენ სპეც-ჯამაგირს 150 მანეთს; ტერ-არუთინოვს გარდა ჯამაგირისა ეძლევა ათი პროცენტი იმ მაღაზიის წმინდა მოგებიდან, რომელიც მას ეკუთვნოდა და რომელიც ტრესტმა „იშვილა“. არუთინოვი ინიშნება № 2 მაღაზიის გამგის თანაშემწედ.

პოლოსოვი და არუთინოვი შეხმატკბილებული არიან. ერთმანეთს პირში სულს უბერავენ.

№ 2 მაღაზიის გამგე ხანდეევი ღელავს და მოისხანებს იმის გამო, რომ მის თანაშემწეს ვაჭარს და „სპეციალისტს“ პროცენტებთან ერთად თვიური ჯამაგირი 1000 მანეთზე მეტი გამოუდის. ხანდეევის პროტესტი! რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. დირექტორი არუთინოვს წელს უმაგრებს, ვიღაც ხანდეევი რას დააკლებს.

ეს კიდევ არაფერი. გარდა ამისა პოლოსოვი თავის მეგობარ ვაჭარს აძლევს ავანსებს განუსაზღვრელი რაოდენობით. ყოველმხრივ ცდილობს დაფარვიოს თავისი დავალიანება ტრესტისადმი... დავალიანება არუთინოვმა სავსებით დაფარა ტრესტის ხარჯზე და გარდა ამისა მასზე ზედმეტია გაცემული ავანსი 5000 მანეთამდე შესანსლა.

პოლოსოვი და ტერ-არუთინოვი ვამსახლში სხედან. ისინი ახლო მომავალში წარუდგებიან პროლეტარულ სასამართლოს. ზერ.

შემთხვევები

გვამის პოვნა

რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა ბუჩქებში იპოვეს მამაკაცის გვამი. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ სისხლის სამართლის მილიციის და პროკურატურის წარმომადგენლები და სასამართლოს ექიმი ოსიპოვი. საექიმო შემოწმებით გვამს აღმოაჩნდა ძალდატანებითი სიკვდილის ნიშნები. როგორც ირკვევა, ბოროტმოქმედებს მოკლულისათვის ქვა დაურტყამთ თავში. მოკლული არის დაახლოებით 23—25 წლის.

მოკლულს ტანზე აცვია ტილოს შარვალი; სპორტსმენის ხალათი და ფეხებზე თეთრი ჩუსტები.

მიღებულია ზომები მოკლულის ვინაობის გამოსარკვევად და ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად.

პატიმრის გაპარვა

პირველ სამილიციო კომისარიატის საპატიმროდან გაიპარა სარქის საკის ძე მარტიროსოვი, რომელიც დაპატიმრებული იყო ქურდობისათვის.

მოტოციკლეტის მსხვერპლი

საბჭოთა ქ. სახლის № 143 პირდაპირ, მოტოციკლეტი № 101 დაეჯახა 6 წლის ვახტანგ სიმონის ძე ახალკაციშვილს (მცხ. ყუბანის ქ. № 2), რომელიც ქუჩაზე გადადიოდა და მძიმედ დააზავა. ბავში გადაგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში. მოტოციკლეტის მმართველი მიიმალა.

თავის ჩამოხრჩობა

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში თავი ჩამოიხრჩო სულით ავადმყოფმა გარეგინ მათეს ძე ადამიანმა (მცხ. ოქრო-წყალის ქ. № 13).

შეპყრობა

ბაგრატ სიმონგულოვის ბინის (ამოს ქ. № 11) გაქურდვის ცდისათვის დააპატიმრეს ნიკოლოზ სერგოს ძე ივანოვი (უბინაო);—დაპატიმრებულია აკოფ აკოფის ძე მარკაროვი. (უბინაო), რომელმაც თათრის მოედანზე ალაჯ პერ-ოღლის მოპარა 30 მანეთის ყველი. — შეპყრობილია ანა გრიგოლის ასული მოსკოლოვა, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები.

ქურდობა

გაქურდეს გრიგოლ შილაგაძის ბინა (ორჯონიკიძის ქუჩა № 102), წაიღეს 200 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ნიკოლოზ ოზმეპიშვილის ბინა (მეორე სამილიციო უბანი), წაიღეს ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი და ერთი მაჯის საათი.—გაქურდეს ინვალიდთა კოოპ. ამხანაგობის მაღაზია „გლარჯა“ (ეოერესის ქ. № 50), წაიღეს 55 მანეთის პაპიროსები.—ალიჭპარ ისმაილ-ოღლს (სასტუმრო „ირან“-ში) მოჰპარეს 250 მანეთის ნივთები. —ალექსანდრე ჯაყელის ბინიდან (ძნელაძის ქ. № 3) მოიპარეს 600 მანეთის ნივთები. — გაქურდეს საათის სახელოსნო (რუსთაველის პროსპ. № 25), წაიღეს სხვადასხვა ნივთები.

ნარევი

ჯილდო პროფ. გერმან ობერტს

საფრანგეთის ასტრონომიულმა საზოგადოებამ მის მიერ დაარსებული საერთაშორისო პრემია საუკეთესო შრომისათვის საპლანეტათა შორისო მიმოსვლის შესახებ მიუსაჯა ცნობილ გერმანელ პროფ. გერმან ობერტს.

12.000 პაპიროსი საათში

ინგლისში დამზადებულია მანქანა, რომელიც საათში ამზადებს 12.000 პაპიროსს. მანქანისათვის თვალყურის სადევნებლად საჭიროა სამი კაცი. წარმოების ძველი წესის დროს 12.000 პაპიროსის დასამზადებლად საათში საჭირო იყო 700 კაცის შრომა. ახალი მანქანა უკვე დადგმულია ლონდონის ერთ-ერთ ფაბრიკაში. ამ მანქანის დამზადების შემდეგ ფაბრიკაში სრული რეორგანიზაცია ჩატარდა. შტატი შემცირებული იქნა თითქმის 200-ჯერ. სამი მანქანა, რომელსაც თვალყურს ადევნებს 10 კაცი, ასრულებს 2.000 კაცის მაგიერობას. ფაბრიკა საათში ამზადებს 36.000 პაპიროსს.

ედისონის საათი

შეერთ. შტატებში უკვე რამდენიმე წელიწადია [illegible] მუზეუმი, [illegible] ლია ყველა საგნები, რომლებიც [illegible] თვნოდნენ, ყველა მისი გამოგონებანი და ნაჭ[illegible] ვენებია ის პირობები, რომელშიც გენიალური გამომგონებელი მუშაობდა. ყველაზე საინტერესო მუზეუმში თავმოყრილი საგნებიდან არის საათი, რომელიც თითქმის ოცი წლის განმავლობაში იდგა ედისონის ლაბორატორიაში.

საათი შესანიშნავია იმით, რომ იგი არ უჩვენებს დროს, მას არ აქვს არც ისარი და არც საათის მექანიზმი, ციფერბლატის როლს ასრულებს რგვალ ხის კუნძიდან მოჭრილი დისკი. მასზე ჩამოკიდებულია ხის ნაჭერი, რომელიც ქანქარას როლს ასრულებს. ამბობენ, რომ ეს საათი ედისონმა გაიკეთა მას შემდეგ, რაც მეგობრებმა თავი მოაბეზრეს რჩევით [illegible] საათი და 24 საათი არ გაეტარებია განუწყვეტელ მუშაობაში.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების 7 და 24 მუხლის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების (საქართველოს სსრ კან. კრებ. 1925 წ. 2 №-რი, მუხ. 45 და 1928 წ. 12 №-რი, მუხ. 114) 7 და 24 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 7. მთავარი საკურორტო სამმართველო განახორციელებს თავის მოქმედებას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ საერთო — სახელმწიფო მნიშვნელობის ყველა კურორტისათვის ყოველ წლიურად დამტკიცებული საექსპლოატაციო - სამეურნეო გეგმისა და ამ გეგმის საფუძველზე შედგენილი შემოსავალ - გასავლის წლიური ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

მთავარი საკურორტო სამმართველოს საექსპლოატაციო მოქმედებით მიღებული მოგება, ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1929 წლის მარტის 4-ის დადგენილების (ოქმი № 4 § 20) ძალით, მთლად ჩაირიცხება საკურორტო საქმის გაუმჯობესების სპეციალურ კაპიტალში და იგი გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტით სათანადო ასიგნობების გადიდების დროს.

შენიშვნა. აღნიშნული სპეციალური კაპიტალის შექმნისა, შენახვისა და დახარჯვის წესი დადგენილ იქნება საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული წესებით“.

„მუხ. 24. საკურორტო საქმის სფეროში სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მოქმედების შესათანხმებლად, მათ მიერ საკურორტო მშენებლობისათვის წარმოებულ მუშაობაში პარალელიზმის მოსასპობად და აგრეთვე საკურორტო პოლიტიკისა და გეგმის ერთიანობის უზრუნველსაყოფად — ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან მოქმედობს საკურორტო თათბირი, რომლის შემადგენლობასა და მოქმედების ფარგლებს განსაზღვრავს საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო“.

II

მიენდოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ერთი თვის ვადაზე შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს ს.ს.რ. ეკონომიურ საბჭოს პროექტი წესებისა საკურორტო საქმის გაუმჯობესების სპეციალური კაპიტალის შექმნისა, შენახვის და ხარჯვის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი: **ს. თოდრია**

თბილისი—სასახლე.
1929 წლის ივნისის 26

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 23 ივლისს, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში უნდა გამოცხადდნენ აღმოსავლეთის შემსწავლელ ინსტიტუტში გასაგზავნი შემდეგი ამხანაგები: მამულოვი, ლოლობერიძე, ავეტისოვი, არაბ-ოღლი და ჯაფარიძე (გარდა პროვინციელი ამხანაგებისა).

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება, დღეს, 23 ივლისს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე იწვევს თათბირს.

თათბირზე სავალდებულოა ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება: ხომერიკი, ჩხიკვიშვილი (გლეხკომების ცეკა), მჭედლიშვილი (გლეხთა სასახლე), ქუჩულორია (საქ. ცეკა), ვამაკიძე ან ცინცაძე (სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატი).

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი განმეორებით იუწყება, რომ დღეს, საღ. სრულ 6 საათზე, მუშათა ახალი კლუბის შენობაში (კომინტერნის ქ. 5) მოწვეულია რაიკომის პლენუმი, რომელსაც უნდა დაესწრონ რაიკომის ყველა წევრები და კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები და ქალაქის რაიონის კომუჯრედთა მდივნები.

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება, დღეს, დილის 10 საათისათვის იწვევს თათბირს, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ: ამხ. კობახიძე (საქ. ვაჭრ. კომისარიატი), დავიდხანოვი (იქიდანვე), ქებურია („სოიუზხლებ“), ქურდაძე (სოფლის კავშირი), იარალოვი (ცეკავშირი) და ცეკას საორგანიზაციო განყოფილების წარმომადგენელი.

დამწუხრებული მეუღლე მარიამი, შვილები: ზიზი, მზია და გიგი, და—ანასტასია გრიგოლის ასული ვაჩ ახიშვილისა შვილებით და ძმა გიორგი ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი

სვიმონ (სიკო) გრიგოლის ძე ავალიშვილი

პანაშვიდი ოთხშაბათს, 7 საათზე ცენტ. კლინიკ ინსტიტ. პროზექტურაში (ყოფილი მიხეილის საავად.). დაკრძალვა ხუთშაბათს 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე.

დამწუხრებული მეუღლე მარიამ გიორგის ასული, შვილები მიხეილი და ნინო მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი საყვარელი

ექ. ნესტორ მიხეილის-ძე კლიმიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი სამშაბათს, ივლისის 23-ს, საღამოს 7 საათზე. ბინაზე გოგოლის ქ. № 64. 2646

მეგობრები ვ. თვალაძე, თ. ჰრელაშვილი, კ. გედევიძე, მ. თოდ ძე, ქურხული, ს. მიმინაშვილი უწყებენ ნათესავთ და მეგობრებს

ექიმ ნესტორ მიხეილის-ძე კლიმიაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 ივლისს, ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 2644

მეუღლე ელისაბედ, ქალიშვილები: თამარ, ნინო და ქეთევან კვალიაშვილები იუწყებიან, რომ 23 ივლისს, საღამოს 6 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

მიხეილ ლავრენტის-ძე კვალიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2646

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო საზოგადოების გამგეობა და თანამშრომლები მწუხარებით აცხადებენ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი და ძვირფასი ამხანაგი

ადამ ისაკის-ძე სვანიძე

გამოსვენება მოხდება 23 ივლისს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, საკუთარ ბინიდან (მეტეხის ღმართი № 18). 2647

სახელმწიფო. აკადემიური საოპერო თეატრი
საზაფხულო სიმფონიური კონცერტების ციკლი
სამშაბათს, 23 ივლისს,
გამოსათხოვარი კონცერტი
ვლადიმირ საფონოვის ხელმძღვანელობით
1-ლი განყოფ.
ჩაიკოვსკი—სიმფონია № 6 (პათეტიური)
მე-2 განყოფ.
1. რაველი—დაფნის და ხლოა: ა) ნოკტიურნ; ბ) საომარი ცეკვა.
2. პიერნე—პატარა ფავნების მარში. 3. ვაგნერი—ვალკირიის გაფრენა. 4. ვაგნერი—უვერტ. ოპერ. „რიენცი“

საზაფხულო ბაღი ყოფ. „არტო“)
დღეს, მოსკოვის დრამატიული ბალეტი
ნ. ს. გრემინას ხელმძღვანელობით
30 GIRLS 30
ახალი დადგმები:
კ. გოლეიზოვსკის, ა. მესერერის, ე მე სი, ნ. კოლ ფინის და გ. გევოსკიანისა
კონფერანსიე: კ. კარეევი. მუსიკის ნაწ. გამგე ო. ი. ტიხონოვა. დასაწყისი საღ. 9 საათზე. ნ. 3014

სახკინმრეწვის კინოები
საზაფხულო აპოლო — მხატვრ. კომედია იღბლიანი ბიჭები
საზაფხულო ეთერი — ისტორიული ფილმი ნიკოლოზ I-ის ეპოქიდან (დეკაბრისტების ჯგუფი) С. В. Д.
საზაფხულო პალასი — თავისი დადგმით უდიდესი ფილმი მეთევზეს შვილი დადგმა რეჟ. ივანოვსკისა
მინიონი — კომედია პატი--არისტოკრატი
მალე—ჯალმა, ტარიელ მკლავაძე

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19
იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1 2561

პროფესორი
გ. მ. მუხაძე
წასულია კისლოვოდსკში და დაბრუნდება ენკენისთვეში.
2579 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
253325—1

საჭიროა
გაზეთ „კომუნისტი“-ს ცალობით
გამყიდველები
რუსთაველის პრ. № 34
„კომუნისტი“-ს გამომცემლობა

საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები
1928—29 წლის სეზონი
რეჟისორმა ე. ძიგანმა
დაამთავრა სურათის
„თეთრი მხედარი“-ს
დადგმა
ნ. 3015

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12-67.
25—1

დაიკარგა მედსანშრომის მუშაკთა კავშირის წიგნაკი ანა ალექსანდრეს ასული დარიალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2645

დაიკარგა: პასპორტი მე-9 სამილიციო რაიონიდან გაცემული არტემ დავითის-ძე ძოძუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2642

სრ. საქ. ცაკთან არსებული ქალთა შრომის და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებელი კომისია
ამით აცხადებს, რომ საქ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის დადგენილებით, მას დაევალა რომ კოლექტივ „სალამი“-ს წარმოებათა (სასადილოები და საშაქარლამოები) ლიკვიდაცია. რის გამო ქალთა კომისია წინადადებას აძლევს კოლექტივ „სალამის“ გამგეობას მოიყვანოს სისრულეში ზემოაღნიშნული განკარგულება სალიკვიდაციო კომისიის საშუალებით; სალიკვიდაციო კომისიაში შედიან ე. რევია, გ. გაბუნია და დ. სოხაძე, რომელთაც გამგეობამ უნდა გადასცეს მთელი საქმეები.
ვისაც რაიმე პრეტენზია აქვს აღნიშნულ კოლექტივის მიმართ, შეუძლია მიმართოს სალიკვიდაციო კომისიას ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა შემდეგი მისამართით:
თავისუფლების მოედანი-ქარვასლა-დარაბა № 1987; 8025
ნ. 3013

მათემატიკის
მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს შემოდგომის განმეორებითი გამოცდებისათვის სუსტს მოწაფეებს და მისაღებ გამოცდებისათვის სპეც ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმიურ და რკინის გზის). პლეხანოვის გამზირი № 25, შესავალი კუთხიდან, ჩერნიშევის ქ № 5 (ყოფ. ალექსის) 9—1 საათამდე და 2—6 საათ.
2626 4—2

დაიკარგა: მშენებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 24552 შალვა პიჟინაძის სახელზე, ჩ. გ. 2648

პ. ს. ფონ-ირეცკი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე.
13—10

დაიკარგა, პირადობის მოწმობა № 394 გაცემული მლეთის თემამასკომის მიერ ვანო ისაკის-ძე გულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2637

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ ის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა (ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26-01.
2468 13—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 14 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის ძაბლოვლად. ტელეფონი: 1—90.
25—11

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალები 4—5 საათამდე. ვასეოის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე).
25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი („914“ შეხაპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და კანის სნეულება.
მიღება: დილ 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ 7—9 საათ
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი ვიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავ. დმყოფოს პირდაპირ.
2578 25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ.
მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.
25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 6. 10. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილისა და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10 3 საათ. და 5—7 საათ. საღ. —ძისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

ქუთაისში
ექიმი ვ. დ. კუჭაიძე
ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით საღ. 5—7 ს.
იღებს სპეციალურად მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში შარდის ბუშტის, მილის და თირკმლების დაავადებანი). პუშკინის ქ. № 7
2463 25—1

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 13/0711 გაცემული აღმშენებელთა კავშირიდან ვარლამ მოძღვრიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2641

დაიკარგა საპენსიო წიგნაკი გაცემული ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტიდან იოხაბედ ხახამაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა კოოპერატივის წიგნაკი 3703 და ტრამვაის უფასო წიგნაკი სილიბისტრო გეწაძის სახელზე, ჩ. გ. 263

ტირაჟი—42.649
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამ ოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.